





غار یخی چما-کوہرنگ

دانش

ქართული გაემოდის ირანის ისლამური რესპუბლიკის სეულდოს კულტურის განყოფილების მხარდაჭერით

	
№21-22, 2023	
რედაქტორი: ანი ლაზვიაშვილი	
სარედაქციო კოლეგია: ნომადი ბართაია ელენე გიუნაშვილი თამარ აბულაძე მია სახოკია გულიკო მამულაშვილი ქეთევან ნიკოლაძე	
e-mail: kalamigeo@yahoo.com	

آبشار زردلیمه، شهر کرد



შინაარსი

ქართულ-ირანული ურთიერთობებიდან

- ინტერვიუ პროფესორ თეა ვარდოსანიძესთან - გზა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ესპანეთის ირანისტიკის საზოგადოების პრეზიდენტობამდე 2
- ესპანეთის ირანისტიკის საზოგადოების (SEI) მეათე საერთაშორისო კონგრესი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 6
- ირანის ისლამური რესპუბლიკის წლის წიგნის საერთაშორისო პრემია პროფესორ ნანი გელოვანს გადაეცა 9
- თბილისში ნიზამი განჯელის დღისადმი მიძღვნილი საღამო ჩატარადა 10
- მარია დემეტრაძე - ლიტერატურული ჟურნალი „არმაღანი“ 11
- ირანული ახალი წლის - ნოვრუზის აღნიშვნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 14
- ზელა შალვაშვილის მიერ შესრულებული „შაჰნამეს“ სრული ქართული თარგმანის პირველი ოთხი ტომი გამოიცა 16
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფინდოუსის დღე აღნიშნეს 18
- ქეთევან ნიკოლაძე - ინგა კალაძე - კლასიკური სპარსული ლიტერატურის გამორჩეული მკვლევარი 20
- დათო ტურაშვილის „ჯინსების თაობის“ სპარსული თარგმანი 22

ახალი თარგმანები

- გიორგი ხულორდავა - აზდ ორ-რაჰმან ჯამის „ბაჰარესთანის“ ქართული თარგმანის შესახებ (ნაწყვეტები აზდ ორ-რაჰმან ჯამის თხზულებიდან „ბაჰარესთანის“). 23

თარგმანები კლასიკური სპარსული პოეზიიდან

- მაგალი თოდუას თარგმანები 28

სხვადასხვა

- თამარ აბულაძე - „შაჰ-ნამეს“ დასთანები სპარსულ ხელნაწერთა შუა აზიურ კოლექციაში 35
- ნიკა თურმანიძე - ყავახანებიდან თანამედროვე კაფეებამდე (ირანის კულტურული ცხოვრების ისტორიიდან) . პირველი ნაწილი 40
- ჩაჰარმაჰალისა და ბახთიარის ოსთანის 53

სპარსული გვირი



ინტერვიუ ჰროფანსკი თაა ჰარდოსანიძესთან - გზა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ესპანეთის იანისტიტიის საზოგადოების ჰაზიდიენტოზაჰე

დასაწყისისთვის იქ დაგზრუნდეთ, როცა პირველ ნაბიჯებს დგამდით მომავალი პროფესიის ასარჩევად. როგორ მოხვდით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე? გახსოვთ მომენტი, როცა გადაწყვიტეთ, რომ ირანისტი გამხდარიყავით?



მასხოვს, რომ მინდოდა რაღაც განსხვავებული ენა მესწავლა, არაევროპული, არა-ჩვეულებრივი და ასე მივედი აღმოსავლეთმცოდნეობამდე, მაგრამ არ ვიცოდი, კონკრეტულად რომელი ენა შემერჩია. დედა მივიდა ჩვენს ფაკულტეტზე სიტუაციაში გასარკვევად და შემთხვევით ქალბატონ ირა გოცირიძეს შეხვდა, გაესაუბრენ ერთმანეთს და ქალბატონმა ირამ დედას ურჩია, თუ ბავშვს ლიტერატურა უყვარს, სპარსულზე უკეთესს ვერაფერს აირჩევსო. ამ სიტყვებმა გადაწყვიტა ყველაფერი, ასე გავხდი აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის, სპარსული ენისა და ლიტერატურის განყოფილების სტუდენტი.

როგორ გახსენდებათ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე სწავლის პერიოდი? როგორ კარიერაზე თქვენთვის მამინ?

მისაღები გამოცდების დროს (1994 წელს) შემთხვევით ბატონი ალექსანდრე გვახარიას ლექციას და მის ინტერვიუს მოვისმინე. ეს ის პერიოდი იყო, როცა ირანთან ურთიერთობა იხსნებოდა, ბატონი შურას ლექციამ და მისმა საუბარმა სწავლის დაწყებამდე დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. მერე ეს ყველაფერი რეალობად იქცა, ბატონი შურა შვილებივით თავს გვევლებოდა სტუდენტებს. მათგან მისი ამოუწერავი ცოდნა, მიკვირდა, როგორ შეეძლო დაესახელებინა უამრავი წყარო თავისი ავტორით, გამოცემის თარიღით, გამომცემლობით, რედაქტორით. ეს ნამდვილი საოცრება იყო. ბედნიერი ვარ, რომ ბატონ შურას მოწაფე ვიყავი და მისი მაგისტრანტი. ბატონი შურას ხელმძღვანელობით დავიწყე სამაგისტრო ნაშრომი “გოეთეს აღმოსავლურ-დასავლური დივანი და კლასიკური სპარსული მწერლობა“.

ასევე ძალიან კარგად მასხოვს ქალბატონი ნონა დარსაველიძისა და ლეილა თუშიშვილის ლექციები. ქალბატონი მარინა ალექსიძე პირველად რომ ლექციაზე შემოვიდა, სტუდენტი მეგონა, ისეთი მეგობრული, უშუალო და გახსნილი იყო ჩვენთან. არ ვიცი, რომელი ერთი გავიხსენო, ქალბატონი ლილი ჟორჟოლიანი და მზია ბურჯანაძე, ბატონი ნიკო ნახუცრიშვილი, ქალბატონი მანანა კვაჭაძე, ბატონი თენგიზ კემელაშვილი, ვახუშტი კოტეტიშვილი, თთარ ურიდია. თითოეულმა მათგანმა არა მხოლოდ სპარსული ენა შეგვასწავლა, არამედ სული შთბერა იმ ურთიერთობას, რაც წლების შემდეგ, გავთამამდები და ვიტყვი, მეგობრობაში გადაიზარდა.

სწავლის პროცესი იყო უაღრესად საინტერესო, თითოეული დღე იყო ახალი აღმოჩენა, ახალი კარის შეღება უცნობ სამყაროში. მასხოვს, როგორი ბედნიერი ვიყავი, როცა რამეს კარგად ვთარგმნიდი და შემაქებდნენ. 90-იანი წლები რთული პერიოდი იყო ძალიან, არ იყო შუქი, გათბობა, არ იშოვებოდა წიგნები. ბატონი შურა თავის პალატოს მოგვახურავდა ხოლმე, როცა სიცივით მობუზულეებს დაგვინახავდა ლექციაზე, ბატონი ნიკო ცხელ ჩაიზე გვეპატუებოდა ბუფეტში, ქალბატონ მარინას სახლში მივყავდით და ლექციის ჩატარების დროს მასაც ჩაი და სასუსნავი მოჰქონდა. ასე გვანებიერებდნენ ჩვენი მასწავლებლები და მართლაც რომ ერთ-ერთი უბედნიერესი ხანა იყო ჩემს ცხოვრებაში, დაუვიწყარი პერიოდი, დღესაც რომ მათბობს. აი, კარიერაზე კი რა ვითხრათ, მამინ არ ვფიქრობდი, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო ჩემი მომავალი კარიერა.

კაჟაში

ირანში პირველად გამგზავრების ემოციები გახსოვთ? რა მოლოდინები გქონდათ და გაგიმართლათ თუ არა ირანმა იმედები პირველ შეხვედრაზე?

ირანში პირველი გამგზავრება საოცრება იყო. სამი გოგო ერთად წავედით ტაქსით წითელ ხილამდე, იქედან ტაქსით ასტარამდე, შემდეგ ისევ ტაქსით რაშთამდე და ბოლოს ავტობუსით თეირანამდე ჩავედით. ბატონმა შურამ წერილი გავგატანა აზერბაიჯანის საზღვარზე წარსადგენად, რომ ფული არ მოეთხოვათ ჩვენთვის. დღემდე შენახული მაქვს ის წერილი. ეს იყო პირველი დიდი და დაუვინყარი თავგადასავალი. ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა, მოვიხიბლეთ ირანით და უკან დაბრუნება აღარ გვინდოდა.

ირანში მოგზაურობებიდან ყველაზე საინტერესო კადრად/ამბად რა დაგამახსოვრდა?

თეირანის დუღაბის სასაფლაოსა და მინალორა ხოშტარიას აკლდამის მონახულება ძალიან შთამბეჭდავი იყო ჩემთვის, ასევე გოლესთანისა და საადაბადის სასახლეები, ისპაჰანის ალი ყაფუ და ჩეჰელ სოთუნი ...

აი, ამბავს რაც შეეხება, მახსოვს ტაქსის მძღოლი, რომელსაც ასტარიდან რაშთამდე მივყავდით, ველოსიპედის სანაცვლოდ ხელს მთხოვდა. (წინ დამსვეს, როგორც უფროსი ჯგუფში და შედეგმაც არ დააყოვნა ./იციინს/.

რა კვალი დატოვა დატოვა თქვენზე ირანში გატარებულმა პერიოდმა? გიჩნდებათ ხოლმე ირანში დაბრუნების სურვილი?

ირანში დაბრუნების სურვილი ყოველთვის მაქვს. თითქოს, მოთხოვნილებად გადაქცევა იქ დაბრუნება, იქაური სურნელისა და თეირანის ორომტრიალის კიდევ ერთხელ შეგრძნება, ნაცნობი ადგილების მონახულება და ახლის გაცნობა.

თქვენი იდენტობის რა ნაწილს შეადგენს ის ამბავი, რომ ირანისტი ხართ, აღმოსავლეთმცოდნე?

ძალიან მსიამოვნებს, როცა ვფიქრობ, რომ არ დაგვარგე ჩემი სპეციალობა. ეს დიდი ბედნიერებაა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბევრმა ჩემმა ჯგუფელმა თუ კურსელმა ვერ შეძლო სხვადასხვა მიზეზის გამო გაჰყოლოდა საკუთარ პროფესიას. არ არის ადვილი, დარჩე მოქმედ აღმოსავლეთმცოდნედ/ირანისტად, მით უმეტეს, სამშობლოდან შორს, სხვა ქვეყანაში.

როგორც ვიცი, ირანმა გავიხსნათ გზა ახალი მიწისკენ - ესპანეთისკენ. როგორი იყო ეს გზა?

თავად გზა რთულად არ მახსენდება, ძნელი უფრო ესპანეთში ირანისტობის შენარჩუნება თუ ირანისტობისკენ

მობრუნება იყო.

ჩემი მეუღლის გაცნობამდე, საქართველოში ირანის საელჩოში ვმუშაობდი და ვიყავი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის (მაშინდელი ინსტიტუტის) ასპირანტი. ხშირად მიფიქრია, თბილისში რომ დავრჩენილიყავი, რა მოხდებოდა. თავიდან ესპანეთში ადგილის პოვნა ძალიან გამიჭირდა, არც ენა ვიცოდი და იმაზე ფიქრი, რომ ოდესმე სპარსულს ესპანეთში ისევ დავუბრუნდებოდი, შეუძლებლად მეჩვენებოდა.

როგორ მოახერხეთ ახალ ქვეყანაში, ახალ გარემოში თავის დაძვინდობა და თან საკუთარი პროფესიის შენარჩუნება? ვფიქრობ, რთული გზა უნდა ყოფილიყო.

კი, ნამდვილად რთული იყო ეს პერიოდი, მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთში ჩამოსვლისთანავე მეუღლესთან ერთად ირანის შესახებ წიგნზე დავინყე მუშაობა (მე მხოლოდ დეტალებში ვეხმარებოდი, არ იფიქროთ, რომ თანაავტორი ვარ). თავიდან სრულიად სხვა სპეციალობით ვმუშაობდი (სადაზღვევო კომპანიაში), მაგრამ ეს მე მჭირდებოდა საკუთარი თავის საპოვნელად, იმისთვის, რომ შემენარჩუნებინა საკუთარი დამოუკიდებლობა, მეპოვნა მეგობრები, მესწავლა ენა. გულხელდაკრეფილი ვერ დაველოდებოდი შანსს, თუ როდის შემომთავაზებდა ვინმე, მეკეთებინა რამე ირანისტიკაში, ჩემი პროფესიით.

თქვენს დისერტაციაზე ვისაუბროთ, რომელიც ესპანეთში დაიცავით. როგორი იყო კვლევისა და მუშაობის პროცესი?

დისერტაციაზე ნამდვილად არ ვფიქრობდი, თავიდან ამას ვერც კი წარმოვიდგენდი ამას, მაგრამ შემდეგ, როცა უკვე ენას დავეუფლე, მივხვდი, რომ თუ მინდოდა, ესპანეთში ირანისტიკას ისევ დავბრუნებოდი, ეს მხოლოდ სადოქტორო თემაზე მუშაობის გავლით იქნებოდა შესაძლებელი და ასეც მოხდა.

კვლევის პროცესი იყო რთული და საინტერესო, საბედნიეროდ, სწორედ ამ პერიოდში ისევ მოვხვდი ირანში ორჯერ, რამაც უფრო გაამარტივა მასალების მოძიება და ჩემი სადისერტაციო თემაც გაამდიდრა.

ძალიან მნიშვნელოვან საკითხს მივადექით, თქვენ დღეს ესპანეთის ირანისტიკის საზოგადოების პრემიადენტი ხართ. როდის შემოვიდა თქვენს ცხოვრებაში ეს საზოგადოება და როგორ გახდით მისი ხელმძღვანელი?

ესპანეთის ირანისტიკის საზოგადოების წევრი ვარ 2014 წლიდან. თავად საზოგადოება 2009 წელს დაარსდა და მას შემდეგ საკმაოდ აქტიურად მოღვაწეობს. თავიდან





მათ კონგრესებში ვიღებდი მონაწილეობას, ვესწრებოდი მათ ყველა ღონისძიებას. 2020 წლის არჩევნების შედეგად გაეზარდა საზოგადოების პრეზიდენტი, რასაც ნამდვილად არ ვაპირებდი, მაგრამ საჭიროებამ მოიტანა და საზოგადოების სხვა წევრების თხოვნით მივიღე მონაწილეობა საარჩევნო პროცესში.

რა წარმოადგენს ესპანეთის ირანისტიკის საზოგადოების საქმიანობის ძირითად მიმართულებას და როგორია თქვენი, როგორც პრეზიდენტის, როლი ამ ყველაფერში?

ჩვენი ძირითადი მოვალეობაა, ესპანურ საზოგადოებას ახლოს გავაცნოთ ირანი და ირანული კულტურა. როცა ეს ყველაფერი დაიწყო, ესპანურმა საზოგადოებამ ირანის შესახებ, საინფორმაციო საშუალებებით მონოდეზიანი ინფორმაციის გარდა (რაც ხშირად არც თუ მაინც და მაინც დადებითია), ძალიან ცოტა რამ იცოდა. ჩვენ, გარდა ყოველწლიური საერთაშორისო კონგრესისა (რომელსაც აკადემიური ხასიათი აქვს და სხვადასხვა უნივერსიტეტში ტარდება), ვმართავთ ირანის შესახებ ახალი წიგნების პრეზენტაციებს, ირანელი და ესპანელი

მწერლების ერთობლივ ლიტერატურულ საღამოებს, ვთანამშრომლობთ სხვადასხვა უნივერსიტეტთან.

მაგალითისათვის გეტყვი, რომ წელს შეიქმნა ახალი პროექტი მადრიდის კომპლუტენგეს უნივერსიტეტთან ერთად. ეს სამაგისტრო კურსია, რომლის ხანგრძლივობა არის ერთი წელი და მოიცავს ირანული კულტურის ძირითად ელემენტებს, ეს არის ისტორია, ლიტერატურა, რელიგია, კულტურა, საქმიანი ურთიერთობები ამ ქვეყანასთან. ეს კურსი ხორციელდება კომპლუტენგეს უნივერსიტეტისა და ჩვენი საზოგადოების თანამშრომლობით. კურსის ცხრა პროფესორიდან, ხუთი ჩვენი საზოგადოების წევრია, მათ შორის, თქვენი მონამორჩილი, რომელიც თანამედროვე სპარსული ლიტერატურის ისტორიას წაიკითხავს. ეს არის ესპანეთის უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში პირველი სამაგისტრო კურსი ირანისტიკაში. აქამდე ასეთი რამ არ არსებობდა და ეს ძალიან გვახარებს. შესაბამისად, შედეგად სახეზეა, დღითიდღე უფრო მეტად ინტერესდება ესპანური საზოგადოება ირანით. მე ამას თვალნათლივ ვხედავ, თუნდაც იმიტომ, რომ როცა პირველად 2016 წელს მადრიდის „კასა ასიაში“ (აზიური სახლი) სპარსულის სწავლება დაიწყო, მხოლოდ ერთი ჯგუფი გვყავდა. 2021 წლიდან კი, მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის გამო



ონლაინ სწავლებაზე გადავდით, ორი ჯგუფი გაიხსნა და მსურველები დამატებითი ჯგუფის გახსნასაც ელოდებოდნენ.

ესპანეთის ირანისტიკის სამოვადოების (SEI) მეათე საერთაშორისო კონგრესი „ირანისტიკა - ხიდი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის“ 2022 წლის სექტემბერში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა. როგორ გაჩნდა კონგრესის თბილისში ჩატარების იდეა? როგორი იყო მოსამზადებელი ეტაპი?

ჩვენს კონგრესებში სხვადასხვა დროს მონაწილეობა მიღებული აქვთ ჩვენს პროფესორებს: ქ-ნ თეა შურლაიას, ასევე ბატონებს - ნიკოლოზ ნახუცრიშვილსა და გიორგი სანიკიძეს. მაშინ დაიბადა ეს აზრი, მაგრამ მხოლოდ იდეის დონეზე. რადგან ამჯერად რიგით მეათე - საიუბილეო კონგრესს ეხებოდა საქმე, ჩავთვალე, რომ რაიმე განსაკუთრებული უნდა გავგეგვით და ამისათვის საქართველო და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი იდეალური იქნებოდა. გარდა იმისა, რომ მე აქ ვისწავლე სპარსული ენა, ჩვენს კათედრას უფრო მეტი გამოცდილება აქვს ამ სფეროში, ვიდრე თეიანის უნივერსიტეტს. მინდოდა, ესპანელებისათვის მეჩვენებინა, თუ რა სიმალლეზე დგას საქართველოში ირანისტიკა, როგორი სპეციალისტები გყავს და რა გამოცდილება არის დაგროვილი ჩვენთან ამ სფეროში. დავეუკავშირდი ქალბატონ თეა შურლაიას და ისიც მაშინვე დამთანხმდა. მხოლოდინი გამართლდა - ჩვენი სტუმრები აღფრთოვანებულები დარჩნენ ამ ყველაფრით.

როგორ ფიქრობთ, რამდენად მნიშვნელოვანია კონკრეტულად ამ კონგრესის და ასევე სხვა მსგავსი ტიპის ღონისძიებების საქართველოში ჩატარება ირანისტიკის დარგის განვითარებისა და ახალგაზრდებში მისი პოპულარიზაციისთვის?

მე ვფიქრობ, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ახალგაზრდებმა ნახონ, რა შეიძლება მოუტანოს ირანისტიკამ ადამიანს, როგორ შეიძლება გაუფართოოს ცოდნის არეალი, გააცნოს უცხო კულტურა, ენა, ქვეყანა, რომელიც ბავშვობაში, პირადად ჩემთვის, მხოლოდ დამპყრობელი იყო. დღეს ძალიან ბევრი რამ არსებობს იმისათვის, რომ ეს ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდოს და სწავლის ეტაპებიც გამარტივდეს. ჩვენი სტუდენტობის დროს ლექსიკონებიც კი არ იშოვებოდა. მასხოვს, როცა სპარსული ქრესტომათიის მეორე ტომს გადავანყიდი შემთხვევით, ვერაზე, მელიქიშვილის გამზირზე, დიდ ზეიმი იყო ჩემთვის (ამ ტომის შექმნა განსაკუთრებით ჭირდა). ფილმებიც რთულად

სანახავი იყო. დღემდე ზეპირად მასხოვს ქალბატონი მარინა ალექსიძის მიერ კასეტით მოტანილი დიალოგები, რომლებსაც მაგნიტოფონით გვასმენინებდა ლექსიაზე.

როგორი იყო ესპანეთის ირანისტიკის სამოვადოების პრეზიდენტის რანგში საქართველოში დაბრუნება და ძველ მასწავლებლებთან / მენტორებთან შეხვედრა, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ამ კონგრესში?

ეს იყო ძალიან დიდი სიხარული, სიამაყე და პასუხისმგებლობა. მე ვიყავი სტუმარი და ამავე დროს მასპინძელი. ჩვენი პროფესორებისა და უნივერსიტეტის თანამშრომლების აქტიური და გულითადი გვერდში დგომის შედეგად, ეს კონგრესი გახლდათ ყველა წინა კონგრესისაგან გამორჩეული და საუკეთესო (როგორც ესპანელმა სტუმრებმა აღნიშნეს). აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და კიდევ ერთხელ მაღლობას გადავუხდი ჩვენი კათედრის გამგეს, ქალბატონ თეა შურლაიას, რომელიც კონგრესის დასრულების ბოლო წუთამდე და შემდეგაც გვერდით მედგა (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით), ბატონ ნიკოლოზ ნახუცრიშვილს, ბატონ გიორგი სანიკიძეს, ქალბატონ ეკატერინე ნავროზაშვილსა და ქალბატონ ნათია ფუტკარაძეს. ამ ადამიანების შრომის შედეგად კონგრესმა არაჩვეულებრივად ჩაიარა. თითოეული დეტალი დიდი სიზუსტით და მონდომებით იყო დაგეგმილი და გათვალისწინებული, რისთვისაც მათი ძალიან მაღლიერი ვარ.

და ბოლოს მომავალ ამბებზე ვისაუბროთ. თქვენი პროფესიული გეგმები მხოლოდ ესპანეთს უკავშირდება, თუ საქართველოს კონტურებიც ჩანს თქვენს სამომავლო პროფესიულ რუკაზე?

ძალიან მოხარული ვიქნები, თუ სამომავლოდ საქართველოშიც შევძლებ ჩემი პროფესიით რაიმეს გაკეთებას. ჯერჯერობით, როგორც მოგახსენეთ, ოქტომბრიდან უნივერსიტეტის სამაგისტრო კურსის ერთ-ერთი საგნის მასწავლებელი ვიქნები და გავაგრძელებ სპარსული ენის სწავლებას მადრიდის „კასა ასიაში“.

მომავალი კონგრესიც დაგეგმილია და გალიციის სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტისა და ამავე ქალაქის წმინდა იაკობის აკადემიის (Academia Xacobeia) მხარდაჭერით ჩატარდება 26-27 ოქტომბერს. დიდი იმედი მაქვს, რომ შევძლებთ, ვუმასპინძლოთ ჩვენს ქართველ პროფესორ-მასწავლებლებს ამჯერად უკვე ესპანეთში.

ინტერვიუ მოამზადა ანი ლაშვიაშვილმა

ესპანეთის ირანისტიკის საზოგადოების (SEI) მეათე საერთაშორისო კონგრესი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში



2022 წლის 20-21 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტმა უმასპინძლა ესპანეთის ირანისტიკის საზოგადოების საიუბილეო მეათე საერთაშორისო კონგრესს - «ირანისტიკა - ხიდი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის».

ღონისძიება ესპანეთის ირანისტიკის საზოგადოებისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ირანისტიკის კათედრის ორგანიზებით ჩატარდა.

ირანისტიკის საერთაშორისო კონგრესში მონაწილეობა მიიღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პედაგოგებმა და, ასევე, აღმოსავლეთმცოდნეებმა საქართველოს, ესპანეთის სამეფოს, ირანის ისლამური რესპუბლიკის, პოლონეთის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის საუნივერსიტეტო და სამეცნიერო ცენტრებიდან.

კონგრესი ჰიბრიდულ რეჟიმში მიმდინარეობდა. ისლამამდელი და თანამედროვე ირანის სექციებზე წარ-

მოდგენილი იყო მოხსენებები ძველი და თანამედროვე ირანის ისტორიის, კულტურის და ლიტერატურის მნიშვნელოვან საკითხებზე. კონგრესში მონაწილე აღმოსავლეთმცოდნეთა მოხსენებები თემატურად ძალიან მრავალფეროვანი იყო და შეეხებოდა სპარსული ენის სხვადასხვა პრობლემას, ირანისა და სხვა ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს, მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობების ასპექტებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული ირანისტიკის საერთაშორისო კონგრესის ფარგლებში გაიმართა ორი წიგნის: მოჰსენ ბაჰრამნეჟადის (ყაზვინი) - „ქართველი სპასალარის, როსტომ ხანის ისტორია“ და მანდანა თიშეიარის (თეირანი) - „ქართული მოთხრობების“ სპარსული თარგმანის პრეზენტაცია.

ასევე, კონგრესის მონაწილეები კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს ესტუმრნენ, დაათვალიერეს ცენტრში დაცული როგორც ქართული ისე აღმოსავლური კოლექციის გამორჩეული ნიმუშები: რუმის „მესნევი“, ნიზამის „ხამსა“ (ხუთი პოემა), საადის „ბუსთანი“, „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე ხელნაწერი და სხვა.

კონგრესის მხარდამჭერები იყვნენ: აკად. გ.წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, კ.კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი და თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია.

ესპანეთის ირანისტიკის საზოგადოების (SEI) კონგრესი ყოველწლიურად ტარდება ესპანეთის სამეფოს სხვადასხვა უნივერსიტეტში. წარმატებული ფორუმების შემდეგ, SEI-მ საზღვრების გაფართოება გადაწყვიტა. მერვე ფორუმი ესპანეთის ფარგლებს გარეთ 2018 წლის ნოემბერში ირანში, თეირანის უნივერსიტეტში გაიმართა. ესპანეთის ირანისტიკის საზოგადოების საიუბილეო კონგრესს კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმასპინძლა. აღსანიშნავია, რომ SEI-ის პრეზიდენტი, ირანისტი, პროფესორი თეა ვარდოსანიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია.

„ესპანეთის ირანისტიკის საზოგადოება 2009 წელს დაარსდა და მისი მიზანია ესპანურ საზოგადოებაში ირანული კულტურის გაცნობა და გავრცელება. კონგრესი



©2022 yuuibb



ყოველწლიურად ტარდება ესპანეთის სხვადასხვა უნივერსიტეტში. 2018 წელს თეირანშიც ჩატარდა, მაგრამ მეთავე, საიუბილეო კონგრესის ჩატარება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადაწყვიტეთ, სადაც ირანისტიკა და ირანისტიკის კათედრა უნივერსიტეტის დაარსების დღიდან წარმატებით ფუნქციონირებს. მას დიდი გამოცდილება, აღიარება და მხარდაჭერა აქვს უცხოელი მეცნიერების მხრიდან. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის დიდი პატივია, რომ ესპანეთის ირანისტიკის საზოგადოების (SEI) მეთავე საერთაშორისო კონგრესს სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მასპინ-

ძლობს“, – განაცხადა ესპანეთის ირანისტიკის საზოგადოების პრეზიდენტმა თეა ვარდლოსანიძემ.

ირანისტიკის საერთაშორისო კონგრესის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარება ამ საუნივერსიტეტო სივრცეში ირანისტიკის შესწავლის საკმაოდ მდიდარი ისტორიისა და ტარდიციის აღიარება და დაფასებაა.

ტექსტი მომზადებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოქვეყნებული მასალისა და სხვა წყაროების საფუძველზე



ირანის ისლამური რესპუბლიკის წლის წიგნის საერთაშორისო პრემია პროფესორ ნანი გელოვანს გადაეცა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პროფესორი ნანი გელოვანი ირანის ისლამური რესპუბლიკის წლის წიგნის საერთაშორისო პრემიით დაჯილდოვდა მონოგრაფიისათვის - თბილისის მუსლიმური თემი (1801-1917).

2023 წლის 8 თებერვალს თეირანში გამართულ დაჯილდოების საზეიმო ცერემონიაზე თსუ პროფესორს - ნანი გელოვანს პრემია გადასცა ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ებრაჰიმ რაისმა. იმავე დღეს თეირანის წიგნისა და ლიტერატურის სახლში გაიმართა ნანი გელოვანის წიგნის პრეზენტაცია.

ნანი გელოვანის მონოგრაფიაში - თბილისის მუსლიმური თემი (1801-1917), პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში, მონოგრაფიულადაა შესწავლილი და გაანალიზებული 1801-1917 წლებში თბილისის მუსლიმური თემის პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების სხვადასხვა ასპექტი. ნაშრომი ეყრდნობა ძირითადად საარქივო მასალებს (200-ზე მეტი დოკუმენტი).

ირანის ისლამური რესპუბლიკის წლის წიგნის საერთაშორისო პრემია დაწესდა 1993 წელს და მიზნად ისახავს გასული წლის საუკეთესო წიგნების ავტორის გამოვლენას ისლამმცოდნეობისა და ირანისტიკის დარგებში. 2022 წელს ირანის ისლამური რესპუბლიკის წლის წიგნის საერთაშორისო პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილი იყო სხვადასხვა ენებზე გამოცემული 1500 წიგნი ისლამმცოდნეობისა და ირანისტიკის დარგში. საკონკურსო კომისიამ, რომელიც შედგებოდა 41 წევრისაგან, პირველ ეტაპზე შეარჩია 140 წიგნი. კონკურსის ბოლო ეტაპზე, 24 წიგნიდან გამარჯვებულად დასახელდა სამი (2 ისლამმცოდნეობა და 1 ირანისტიკა).

ტექსტი მომზადებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოქვეყნებული მასალისა და სხვა წყაროების საფუძველზე



თბილისში ნიზამი განჯელის დღისადმი მიძღვნილი საღამო ჩატარადა


2023 წლის 10 მარტს თბილისში ჩატარდა ნიზამი განჯელის დღისადმი მიძღვნილი საღამო, რომელიც ინიციატორებიც იყვნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ირანისტიკის კათედრა და საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილება. ღონისძიება გაიმართა ორ ლოკაციაზე - ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკასა და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

ღონისძიების ფარგლებში, საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გაიმართა ამ ბიბლიოთეკაში დაცული ნიზამი განჯელის შემოქმედების, თარგმანების, სამეცნიერო სტატიების და სხვა ბეჭდური გამოცემების გამოფენა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ირანისტიკის კათედრის პროფესორებმა ისაუბრეს ნიზამი განჯელისა და მისი შემოქმედების შესახებ.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილების წარმომადგენლები, მათ შორის კულტურის ატაშე აჰმადალი მეჰრი არდესთანი.

ნიზამი განჯელის დღისადმი მიძღვნილი საღამოს მეორე ნაწილი ჩატარდა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, სადაც დამსწრე საზოგადოებას ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აღმოსავლურ ხელნაწერთა ფონდში დაცული ნიზამი განჯელის პოეტური კრებულის რამდენიმე ხელნაწერის გაცნობის შესაძლებლობა მიეცა.





აღმოსავლური ლიტერატურის კრებულის „არმაღანის“ შესახებ პირველად მას შემდეგ გავიგე, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ირანისტიკის საბაკალავრო პროგრამაზე ჩავაბარე. კრებულმა ძალიან დამაინტერესა და დავიწყე მის შესახებ ინფორმაციის მოძიება. რაც უფრო მეტად ვეცნობოდი კრებულს და მისი შექმნის ისტორიას, უფრო მეტად ვხვდებოდი, თუ რამდენად მნიშვნელოვან წიგნთან მქონდა შეხება. სამწუხაროდ, ახალგაზრდების დიდ ნაწილს ამ წიგნის შესახებ არათუერი სმენია, რადგან იგი მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში გამოიცემოდა. ამგვარად, ვფიქრობ, საინტერესოც იქნება და მნიშვნელოვანიც, რომ მომავალ აღმოსავლეთმცოდნეებს გავაცნო „არმაღანის“ შექმნის ისტორია და მიზანი, ასევე წარუდგინო მისი შვილობილი უურნალი.

„არმაღანი“ გახლავთ კრებული, რომელშიც იბეჭდებოდა აღმოსავლური ლიტერატურული ძეგლების ქართული თარგმანები. ქართველები მუდამ ცდილობდნენ, ეთარგმნათ მსოფლიო ლიტერატურის მნიშვნელოვანი ძეგლები და ამ გზით ისინი საკუთარი კულტურის ნაწილად ექცაათ. „არმაღანიც“ ამ მიზნით შეიქმნა, რომ ქართველებს შეძლებოდათ აღმოსავლური ლიტერატურის ნიმუშების მშობლიურ ენაზე ნაკითხვა.

„არმაღანის“ შექმნის ინიციატივა დიდ ქართველ აღმოსავლეთმცოდნეს, მეცნიერსა და მთარგმნელს მაგალი თოდუას ეკუთვნის. გარდა ძალიან ნაყოფიერი

მასალა მოამზადა მარია ღემეტრაძემ

არმაღანი

„უოჩით მოსადისაგან
მოღაჯული მის თაჲის ქლჳენი“

და საინტერესო სამეცნიერო მოღვაწეობისა, მაგალი თოდუა წლების განმავლობაში იყო ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, მისი ინიციატივით დაარსდა დიალექტოლოგიის ინსტიტუტი. იგი იყო დამაარსებელი და რედაქტორი უურნალებისა: „ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე“, „გელათის მეცნიერებათა აკადემიის უურნალი“, „ქართველოლოგია“ და „არმაღანი“. მაგალი თოდუამ წარუშლელი კვალი დატოვა ქართულ ირანისტიკაში.

იქედან გამომდინარე, რომ „არმაღანზე“ ვსაუბრობთ, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა მაგალი თოდუას მთარგმნელობითი საქმიანობა. მან ქართველ მკითხველს სპარსული კლასიკური ლირიკის შესანიშნავი თარგმანები შესთავაზა. ასევე, ქართულად თარგმნა ნიზამი განჯელის პოემები, ნაწყვეტები ფირდოუსის „შაჰნამედან“, გამოაქვეყნა აბდ-ორ-რაჰმან ჯამის პოემა „იოსები და ზოლეიხას“ პროზაული თარგმანი. მაგალი თოდუას ინიციატივითა და მისსავე პწკარედულ თარგმანზე დაყრდნობით შესრულა იუსეფ-ფურმა „ვეფხისტყაოსნის“ სპარსული თარგმანი. კლასიკური სპარსული პოემიის გარდა, რომლის ქართულად თარგმნის საქმეში მაგალი თოდუას წვლილი განუზომლად დიდია, იგი თარგმნიდა თანამედროვე ირანელი პოეტების ლექსებსაც. მეოცე საუკუნის

მეორე ნახევარში კი გაუჩნდა აღმოსავლური ენებიდან თარგმნილი ლიტერატურის ნიმუშების წიგნად გამოცემის იდეა. წიგნს სახელად „არმაღანი“ ცნობილი აღმოსავლეთმცოდნისა და მაგალი თოდუას მასწავლებლის - ვლადიმერ ფუთურაძის რჩევით დაერქვა. კრებულის შექმნის თაობაზე მაგალი თოდუა პირველი წიგნის შესავალ წერილში საუბრობს: „ეს კრებული შეიცავს ახლო აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურის ნიმუშებს... ძირითადად მასში მხოლოდ ის ძეგლებია თავმოყრილი, რომელიც ქართველ კაცს გზადაგზა მოსწონებია და უთარგმნია... ასეთი ხასიათის კრებული ჩვენში პირველად გამოდის და, ვიმედოვნებთ, რომ იგი გამოადგება ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობასა და სტუდენტობას,


დასაწყისი

საერთოდ ყველას, ვისაც აღმოსავლეთი და მისი კულტურა აინტერესებს.“ ეს ამონარიდი რამდენიმე თვალსაზრისით არის საინტერესო: მასში ხაზგასმული და გამოკვეთილია კრებულის განსაკუთრებული მნიშვნელობა, მისი სიახლე და ინოვაციურობა და, რაც მთავარია, მისი სასწავლო-პრაქტიკული ფუნქცია და დანიშნულება.

ასევე, ამ კრებულის მეშვეობით მოწმენი ვხვდებით იმისა, თუ როგორი პასუხისმგებლობითა და მოვალეობის გრძნობით ეკიდებოდნენ ქართული მეცნიერების კორიფეები თარგმანის საკითხებს. მათ მთარგმნელობითი საქმიანობა საშურ და საპატიო ღვაწლად მიაჩნდათ. „აქ მოტანილი ძეგლების კაიძალი ნაწილი, ცნობილი აღმოსავლეთმცოდნეების: გიორგი ახვლედიანის, გიორგი წერეთლის, ვლადიმერ ფუთურძის, სერგი ჯიქიას, დავით კობიძის მიერაა თარგმნილი“- წერდა მაგალი თოდუა.


ასევე, აღსანიშნავია, რომ „არმაღანის“ პირველი ნაწილის მხატვრულ გაფორმებაზე იზრუნა ცნობილმა მხატვარმა და ილუსტრატორმა გოგი გორდელაძემ, რაც კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ ამ აღმოსავლური კრებულის გამოსვლა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართული კულტურისთვის.

„არმაღანის“ სულ ოთხი წიგნია გამოცემული (1965, 1977, 1982 და 1988 წლებში). მათში შესულია თარგმანები, როგორც ცოცხალი, ასევე, მკვდარი ენებიდან: არაბული, სპარსული, თურქული, სომხური, აზერბაიჯანული, ოსური, უზბეკური, ტაჯიკური, შუამდინარული ლიტერატურის ნიმუშები.



„არმაღანის“ ბოლო, მეოთხე წიგნი გამოიცა 1988 წელს. ამის შემდეგ კი ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის, ფინანსური კრიზისის, მწვავე სოციალური ფონის, დაფინანსების შეწყვეტისა და სხვა სირთულეების გამო შეჩერდა წიგნის გამოცემა. თუმცა, როგორც ჩანს, მაგალი თოდუას კრებულზე ფიქრი არასდროს შეუწყვეტია და გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, 2016 წელს, „არმაღანს“ ახალი სიცოცხლე შესძინა. მან ამჯერად უკვე არა წიგნის, არამედ ჟურნალის სახით დააარსა აღმოსავლური კრებული „არმაღანი“. მაგალი თოდუას თავდაუზოგავი მცდელობის მიუხედავად, ჟურნალის დაფინანსება არაფინ აიღო საკუთარ თავზე, იგი ჟურნალის პირველ ნომერში წერს: „დღეს რამდენ ქართველ მილიონერს დაუჭოქე, რამდენ ჩვენს მდიდარ თანამემამულეს ჩამოვახიე ჩოხის კალთა, დაეფინანსებინათ „არმაღანი“, მაგრამ ზედაც არაფინ შემომხედა“, მაგრამ მისთვის ეს მაინც არ გამხდარა იმის მიზეზი, რომ ამ საქმისთვის თავი დაენებებინა. მაგალი თოდუამ გადაწყვიტა ჟურნალი საკუთარი სახსრებით გამოეცა: „უკან არ ვიხევე და საკუთარი ხარჯით ვაპირებ „არმაღანს“, როგორც ჟურნალის, მხოლოდ 30 ცალად გამოეცმას. ამით იმ მკითხველთ, რომელთაც ეს ამბავი გაუხარდებათ, მინდა ვახარო, „არმაღანი“ არ მომკვდარა, ის კიდევ სუნთქავს“.

2016 წლიდან ჟურნალზე მუშაობა დაიწყო მაგალი თოდუამ, მზია ბურჯანაძემ და ნანა ჯანაშიამ. მაგალი თოდუამ თავადვე დანიშნა ჟურნალის რედაქტორი და სწავლული მდივანი. პირველი ნომერი ერთად გამოსცეს, თუმცა, სამწუხაროდ, ჟურნალის გამოცემიდან მალევე მაგალი თოდუა გარდაიცვალა. დღეს კი მის მიერ






ნამოწებულ საქმეს კვლავ აგრძელებენ მზია ბურჯანაძე და ნანა ჯანაშია. ჟურნალის მესამე ნომერი მისი დამაარსებლისა და მოამაგის ნათელ ხსოვნას მიეძღვნა - „ნომერში იმ ადამიანების მოგონებები შევიდა, ვისთვისაც ძვირფასი იყო ამ დიდ და უბრალო პიროვნებასთან ნაცნობობა თუ მეგობრობა. სრულიად სხვადასხვა ასაკის, საზოგადოებრივი სტატუსისა და ცენზის ადამიანების მოგონებების ფონზე ყველაზე უკეთ იკვეთება მაგალი თოდუას - პიროვნებისა და მეცნიერის, ორგანიზატორისა და შემოქმედის - პორტრეტი“.

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ჟურნალში გამოცდილი, პროფესიონალი მთარგმნელების ნამუშევრების გვერდით რედაქცია ბეჭდავს დამწყებთა და, ასევე, მთარგმნელობითი საქმიანობით დაინტერესებული სტუდენტების თარგმანებსაც. ამ თვალსაზრისით, „არმაღანი“ მთარგმნელთა ახალი თაობის საწვრთნელ ასპარეზსაც წარმოადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე არსებობს სასწავლო დისციპლინა „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“, ასეთი აღმოსავლური კრებულის არსებობა უდავოდ დიდი სტიმული უნდა იყოს მთარგმნელობითი საქმიანობით დაინტერესებული სტუდენტებისთვის.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჟურნალის სამი ნომერი მიეძღვნა გამოჩენილი აღმოსავლეთმცოდნე მთარგმნელების საიუბილეო თარიღებს (ალექსანდრე გვახარიას და ნოდარ ჯანაშიას ხსოვნას).

ასევე, 2017 წელს არმაღანის მეორე ნომერი მიეძღვნა ირანელი და არაბი მწერლების - გოლი თარაყისა და იბრაჰიმ ალ-ქუნის შემოქმედებას. 2017 წელს ორივე მწერალი მონვეული იყო თბილისის საერთაშორისო ლიტერატურის ფესტივალზე, თუმცა მასში მონაწილეობა მხოლოდ იბრაჰიმ ალ-ქუნიმ შეძლო. სწორედ ამ მოვლენას მიეძღვნა „არმაღანის“ აღნიშნული ნომერი.

ჟურნალი „არმაღანი“ დღესაც რედაქციის ხარჯით გამოიცემა, მაგრამ, როგორც ჟურნალის დამაარსებელი - მაგალი თოდუა, ბრძანებდა, მთავარი ის არის, რომ „ის მაინც სუნთქავს“.





ირანული ახალი წლის - ნოურუზის აღნიშვნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ირანისტიკის მიმართულეების სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა ირანული ახალი წელი - ნოურუზი აღნიშნეს.

ამ დღესთან დაკავშირებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ესტუმრნენ ირანელი დიპლომატები, რომელთაც სტუდენტები სპეციალური, სპარსულ ენაზე შესრულებული პროგრამით დახვდნენ.

ნოურუზი - ახალი წლის ეროვნული დღესასწაული ირანულ კალენდარულ დღესასწაულებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია და მას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ნოურუზი ირანში დღესაც თითქმის უცვლელად, ძველი ტრადიციების მაქსიმალური შენარჩუნებით აღინიშნება. ნოურუზს გაზაფხულზე, ფარვარდინის თვეში, დღელამსწორობის დღეს ზეიმობენ.

ამ უძველესი ეროვნული დღესასწაულის გენეზისის შესახებ ირანში მრავალი მოსაზრება არსებობს. უმეტესობა ნოურუზის წარმოშობასა და მის დღესასწაულად ქცევას ლეგენდარული მეფე ჯამშიდის სახელს უკავშირებს. ეს დღესასწაული ითვლება ჯამშიდის მიერ დევებზე გამარჯვების სიმბოლოდ.

ირანულ ახალ წელთან მრავალი ტრადიცია თუ რიტუალია დაკავშირებული. ზოგი მათგანი წინ უსწრებს ახალი წლის დადგომას, ზოგი უშუალოდ ახალი წლის დადგომის დროს სრულდება, ზოგი - მოსდევს მას. საახალწლო ზეიმი 13 დღეს გრძელდება. თუმცა ამ დღესასწაულთან დაკავშირებული მზადება გაცილებით უფრო ხანგრძლივ დროს მოითხოვს და ჯერ კიდევ მიმავალი წლიდან იწყება.

„ხანეთეჯანი“ - სახლის საკულდაგულოდ დაგვადასუფთავება, რომელიც იწყება ნოურუზამდე ორი - სამი

კვირით ადრე. ამ დროს სახლში ყველაფერს ასუფთავებენ, არემონტებენ, ახალს ყიდულობენ, ძველ ნივთებს კი ყრიან.

ახალ წლამდე, ძველი წლის ბოლო სამშაბათს, ღამით, სრულდება დღემდე ძალზე პოპულარული რიტუალი - კოცონზე ხტომა. ეს ტრადიცია ჩაჰარმანზე სური -ს („წითელი ოთხშაბათი“) სახელით არის ცნობილი. სამშაბათის საღამოს სახლის გარეთ ან კარის წინ ცეცხლს ანთებენ. სახლის ყველა წევრი კოცონს ასტემა და ამბობს: „ჩემი სიყვითლე შენ, შენი სინითლე მე“.

ამ სიტყვებით წინა წლის სატკივარსა და ავადმყოფობებს ცეცხლს ატანენ, რათა ახალი წელი მშვიდად დაიწყონ. ძველად, შის ჩასვლისას, ჩაჰარმანზე სურის დღეს ძველ ჭურჭელში რამდენიმე მონეტას ყრიდნენ და შემდეგ ჭურჭელს სახლის კართან ამსხვრევდნენ ან ბანიდან ისროდნენ, თან ამბობდნენ: „ნავსო ჩაჰარმანზე სური, წაღი და ყველა უბედურება თან გაიყოლე!“

ერთ-ერთი ადათი, რომელიც ნოურუზამდე კარგა ხნით ადრე სრულდება, არის ჯეჯილის გახარება საახალწლოდ სხვადასხვა ჭურჭელში ქერს, ხორბალს, ოსპს და სხვა მარცვლეულს ახარებდნენ. ჯეჯილს ახალი



წლის მე-13 დღემდე ინახავენ და მე-13 დღეს გამდინარე წყალს ატანენ. ოჯახებში საახალწლო სუფრაზე ჯეჯილის სამ თევზს დებენ, როგორც ზოროასტრული ტრადიის - კეთილი ამრის, კეთილი ქცევისა და კეთილი სიტყვის სიმბოლო. ჯეჯილის ფერი ეროვნული და რელიგიური ფერიც არის. ასევე, ამემასპენტების უკვდავების სიმბოლოა.

წლის ბოლო ხუთშაბათი მიცვალებულთა ხსენების დღეა. ამ დღეს სასაფლაოზე მიდიან, საჭმლები მიაქვთ და სხვებს ურიგებენ. განსაკუთრებით სასურველია ახალ საფლავეებზე, იმ ოჯახთან მისვლა, ვინც იმ წელს ახლობელი დაკარგა.

ნოურუმის საღვთისმშობლის ციკლი ახალი წლის მეცამეტე დღეს სიზღაპ ბე-დარ-ის („მეცამეტე გარეთ“) რიტუალით სრულდება. ძველი დროიდან 13 რიცხვი ნავსად მიიჩნეოდა და ამიტომ მე-13 დღეს სახლიდან გარეთ, ბუნებაში ატარებდნენ. შენახული ჯეჯილი ამ დღეს თან მიაქვთ და გამდინარე წყალს ატანენ. მთელ დღეს მხიარულებასა და ცეკვა-თამაშში ატარებენ. ახალგაზრდები კვერცხებით თამაშობენ, საქანელაზე ქანაობენ და სხვ. საღამოს სახლში ბრუნდებიან. გოგონები ამ დღეს სურვილს ჩაიფიქრებენ, ბალახს გამონასკვავენ და ღმერთს სთხოვენ, რომ შემდეგ წელს ქმრის ოჯახში შეხვდნენ ბავშვით ხელში.

ირანული ახალი წლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ატრიბუტია საახალწლო სუფრა, ე.წ. „ჰაფთ სინ“. წლის დადგომისას ოჯახის ყველა წევრი „ჰაფთ სინის“ სუფრასთან უნდა შეიკრიბოს.

თეთრ სუფრაზე აწყობენ 7 სახეობის საკვებს, რომელიც ასო „სინ“-ზე იწყება: ვაშლი, ძმარი, ნიორი, სამანუ, ჯეჯილი, ესფანდი (მარიამსაკმელა), ფშატი. აგრეთვე, დებენ მონეტას, სანგაქს, სუმბულს და მისთ. სუფრაზე, ასევე, იდება: ხორბალი, ფერადი კვერცხები - ნაყოფიერების სიმბოლო, ჭურჭელი წყლით, რომელშიც თევზი უნდა დაცურავდეს, რაც ზოღიაქოს სიმბოლოა და, ასევე, სიახლის და სიხარულის ნიშანი.



ტექსტში გამოყენებულია ნაწყვეტები ვერონიკა ხითარნიანის საზაქალაგრო ნაშრომიდან „ირანული და სომხური საახალწლო ტრადიციები“




**ბელა შალვაშვილის მიერ
შესრულებული „შაჰნამეს“
სრული ქართული თარგმანის
პირველი ოთხი ტომი გამოიცა**

2023 წლის 3 აპრილს აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ფირდოუსის „შაჰნამეს“ პირველი სრული ქართული თარგმანის 4 ტომის პრეზენტაცია გაიმართა. პოეტმა და მთარგმნელმა, ბელა შალვაშვილმა ამ თარგმანს სიციოცხლის ნახევარი მიუძღვნა.

ბელა შალვაშვილმა „შაჰნამეს“ თარგმნა თავისი მასწავლებლის, ვახუშტი კოტეტიშვილის, დავალებით 1970 წელს დაიწყო და 2016 წელს დაასრულა. სამწუხაროდ, არაერთი ცდის მიუხედავად, წლების განმავლობაში თარგმანის გამოცემა ვერ ხერხდებოდა. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ძალისხმევით ამ უაღრესად მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება 2021 წელს დაიწყო და 2023 წელს, ქართული თარგმანის V-IX ტომების გამოცემით, დასრულდება.

«შაჰნამეს» ამ გამოცემის რედაქტორია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი მანანა კვაჭაძე. ეს გამოცემა, რომელიც მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდა გამოცემლობა «მერიდიანმა», შესანიშნავი საჩუქარია წიგნის მოყვარულებისთვის.



თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში, რომელიც თავად წარმოადგენს ირანული კულტურისა და არქიტექტურის გავლენით შექმნილ გამორჩეულ ძეგლს, „შაჰნამეს“ ქართული თარგმანის პრეზენტაციას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, ირანის ისლამური რესპუბლიკის ელჩი საქართველოში მაჰმუდ ადიბი, ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი აჰმადალი მეჰრი არდესთანი, ასევე, საქართველოს ლიტერატურული



და სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლები, მწერლები, პოეტები, ირანისტები, ქართველოლოგები, კულტურის მოღვაწეები, სტუდენტები. სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა სამხატვრო აკადემიის რექტორმა ყარამან ქუთათელაძემ.

ირანის ელჩმა სამახსოვრო საჩუქარი გადასცა ქ-ნ ბელას და ის ირანში, პოეტის მშობლიურ მხარეში, სამოგზაუროდ მიიწვია. ასევე, წიგნის პრეზენტაციაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ირანისტიკის კათედრის პირველკურსელმა სტუდენტებმა სპარსულ და ქართულ ენაზე წაიკითხეს ნაწყვეტები ქალბატონი ბელას მიერ თარგმნილი „შაჰნამედან“. საქართველოს კულტურის სამინისტრომ ღონისძიებაზე მყოფ ყველა ირანისტ სტუდენტს „შაჰნამეს“ ოთხი ტომი საჩუქრად გადასცა.

„შაჰნამე“ ანუ „მეფეთა წიგნი“ ვრცელი ლეგენდარულ-მითოლოგიური და საგმირო-სარაინდო ეპოსია, რომელიც ორმოცდაათამდე მეფის ცხოვრებაზე მოგვითხრობს. ტექსტი დაწერილია მესნევის ფორმით (ორსტრიქონიანი წყვილად შერითმული სალექსო ფორმა, გავრცელებული კლასიკურ სპარსულ პოეზიაში), რომლისთვისაც დამახასიათებელია სისადავე და უშუალობა, რასაც ხატოვანება და ემოციური აზროვნებაც ბუნებრივად ერწყმის.

„შაჰნამე“ ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტექსტია დღემდე დაწერილ პოემებს შორის. ქართველებს ამ პოემის ადაპტირებისა და თარგმნის ხანგრძლივი ისტორია გვაქვს. ჩვენმა შესანიშნავმა მეცნიერებმა ამ ძეგლის კვლევის საქმეში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს. „შაჰნამე“ სხვადასხვა დროს მრავალ ენაზე ითარგმნა, თუმცა სრული ქართული თარგმანი, რომელიც ერთმა



ამბთი „შაჰნამეს“ შექმნისა

რაზე დაკწერო, აღარ ვიცი, სულ ჳველაფერი —
აღრვევ თქმულა, — ბრძნულიცა და ჭკუის საფერიც.
ძველთა ნათქვამის მომიწევსდა გამეორება,
უკვე მოიშკეს მოსავალი ჩემმა სწორებმა.
გარნა მოსავლის აღება თუ დღეს აღარ ძალძმის,
თუ ავიწვევ ძალდა, ისიც — ძალიან კრძალვით.
აჰა, უეცრად შემიტყუა საამო ჩრდილმა,
თავი წამართვა მეყვსეულად იქავე, ძილმა...
იქნება ბოლოს, იქვე ჩემი ვპოვო ადგილიც,
იქნებ ძნელია ხის ქვეშ ყოფნა, იქნებ — ადვილი;
მიწაში ჩავალ, გავექცევი თავდავიწყებას,
დიდებულთ მიწას შევეფარო, — კარგი იქნება!
სხვადასხვაგვარი გზა აქვს კაცთა, სხვათა და სხვათა,
გამონაგონად ნუ ჩამითვლით ამ მართალ ნათქვამს;

მთარგმნელმა შეასრულა, მსოფლიოში ერთადერთია. „შაჰნამეს“ ნაწილები თარგმნილი აქვთ: ა. ჭელიძეს, მ. თოდუას, ვ. კოტეტიშვილს, ა. ელერდაშვილს, თუმცა სრული პოეტური თარგმანი მხოლოდ ბელა შალვაშვილს ეკუთვნის. სპეციალისტების შეფასებით, ეს არის „შაჰნამეს“ პირველი სრული და დედანთან მაქსიმალურად მიახლოებული თარგმანი.

მასალა მოამზადა მარია დემეტრაძემ



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფირდოუსის დღე აღნიშნეს



2023 წლის 16 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ირანისტიკის კათედრაზე გაიმართა ფირდოუსისა და სპარსული ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელსაც ესწრებოდნენ ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი - აჰმადალი მეჰრი ადრესთანი, მოწვეული ირანელი პედაგოგი - დოქტორი აქზარ ჰესამი, ასევე ირანისტიკის კათედრის პროფესორები და სტუდენტები.



ღონისძიებაზე ირანისტიკის მიმართულების ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურების სტუდენტებმა სპარსულ ენაზე წარმოადგინეს პრეზენტაციები ფირდოუსისა და „შაჰნამეს“ შესახებ. პირველკურსელმა შალვა მილაშვილმა, ასევე, სპარსულ ენაზე წაიკითხა ფირდოუსის პოემის დასაწყისი. ირანისტიკის სამაგისტრატო პროგრამის მეორე კურსის სტუდენტმა, შორენა ჯიმშერიშვილმა, ისაუბრა სეფიანთა ირანის სამეფო კარზე მოღვაწე ქართული წარმოშობის მხატვრის, სიაუშ (სიავამ) ბეგ გორჯის მიერ მოხატული „შაჰნამეს“, აგრეთვე, მისი სხვა ნამუშევრების შესახებ, რომლებიც მსოფლიოს მუზეუმებსა და კერძო კოლექციებშია გაფანტული. სიავამ გორჯი ქართველი წარმოშობის ირანელი მხატვარი და მინიატურისტი,

რომელიც ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა სეფიანთა ირანში მოღვაწე მხატვრებს შორის. იგი ერთ-ერთი იყო იმ ხუთ მხატვართაგან, რომელთაც სპარსული ეპოსის - „შაჰნამეს“ ხელნაწერის მინიატურებით გაფორმება დაავალეს. აღსანიშნავია, რომ 2022 წელს აუქციონზე სიავამ გორჯის მიერ ილუსტრირებული „შაჰნამეს“ ერთი ფურცელი 15 000 ფუნტამდე შეფასდა.

მეოთხე კურსის სტუდენტებმა, ნუნუ ჯანჯარიამ და ანა ბერაძემ სპარსულ ენაზე ისაუბრეს „შაჰნამეს“ ქართველ მთარგმნელებსა და ქართული თარგმანის უახლეს გამოცემებზე.

ღონისძიებაზე დამსწრე ირანელმა სტუმრებმა მესამეკურსელი კონსტანტინე პატარაიას მიერ გადაღებული კლიპიდან შეიტყვეს, რომ თბილისში არსებობს ფირდოუსის ქუჩა, რომელიც მირზა ფათალი ახუნდოვისა და მირზა შაფის ქუჩების სიახლოვესაა. კ. პატარაიას პრეზენტაციაში აღნიშნული იყო, რომ თბილისში სხვა დიდი ირანელი პოეტების, მაგალითად, საადისა და ნიზამის ქუჩებიც არსებობს. კლიპის ბოლოს ავტორმა გამოთქვა იმედი, რომ ოდესმე თეირანში ან ირანის რომელიმე ქალაქშიც იარსებებს შოთა რუსთაველის სახელობის ქუჩა.



ლონისძიებზე ასევე აჩვენეს ირანისტიკის მაინორ პროგრამის სტუდენტის, ნიკოლოზ მაჭარაშვილის მიერ სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის შექმნილი, ფირდოუსის ბიოგრაფიაზე დაფუძნებული, ანიმაცია. სტუდენტის ნამუშევარმა დიდი მოწონება დაიმსახურა, ირანის საელჩოს კულტურის განყოფილება კი დაინტერესდა ამ მიმართულებით ნიკოლოზთან მუშაობის გაგრძელებით.

სპეციალურად ამ დღისთვის კათედრამ ირანელი სტუმრებისთვის გადასაცემად დაამზადა გაზეთ „კომუნისტის“ 1934 წლის 213-ე ნომრის ასლი, რომელშიც 1934 წლის სექტემბერში თბილისში გამართულ ფირდოუსის ათასწლოვან იუბილეს მთელი გვერდი ეთმობა.

ირანისტიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებმა, გიორგი სხირტლაძემ და ფათიმე აბასიმ, აგრეთვე, ირანისტიკის მაინორ პროგრამის კურსდამთავრებულმა ნათია-ელისაბედ ჩიქოვანმა (ძირითადი სპეციალობა - საერთაშორისო ურთიერთობები) დამსწრეებს უამბეს, როგორ მზადდებოდა საქართველოში ფირდოუსის იუბილე, რა ღონისძიებებით აღინიშნა ის. ასევე, წარმოადგინეს ამ მოვლენების ამსახველი იშვიათი ფოტოები. როგორც ცნობილია, საპატიო სტუმრებს შორის იყო ცნობილი ირანელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე - საიდ ნაფისი.

აღინიშნა ისიც, რომ ამ იუბილეს მიეძღვნა „შაჰნამეს“ ქართული ვერსიების („როსტომიანი“) მეორე ტომი (1934). ეს რარიტეტული გამოცემა თსუ ირანისტიკის კათედრაზეც ინახება. სწორედ ამ ეგზემპლარის რესტავრაციას ასახავს Middle Eastern Antiquarian Agency-ის მიერ მომზადებული დოკუმენტური ფილმი

(<https://www.youtube.com/watch?v=vN6pbr0h3LI&t=44s>), რომელიც აუდიტორიას ღონისძიების ბოლოს წარედგინა.



მასალა მოამზადა მარია დემეტრაძემ



ინგა კალაძე - ქვანთქუჩის სპარსული ღიბერაბუჩის გამორჩეული მკვლევარი



გამოჩენილი ქართველი ირანისტი, მთარგმნელი, ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგიის დოქტორი, ინგა კალაძე 1937 წელს ქალაქ თბილისში დაიბადა. მან 1960 წელს წარმატებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სპარსული ფილოლოგიის განხრით. ამ დროიდან 2009 წლამდე გიორგი წერეთლის სახელობის აღმო-საგლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეც-ნიერ თანამშრომლად ინიცებოდა, 2009 წლიდან კი ამავე ინსტიტუტის სამეცნიერო სამჭოს წევრი და სპარსული ფილოლოგიის განყოფილების უფროსი მკვლევარი გახდა.



ინგა კალაძემ პედაგოგიური საქმიანობა 1981 წელს ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში სინქრონული თარგმანის კურსებზე ლექციების კითხვით დაიწყო. 1991-1995 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპარსულ ენას ასწავლიდა, 1995-2007 წლებში კი თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტში სპარსული ენის, კლასიკური და თანამედროვე სპარსული ლიტერატურის კურსებსა და სპეცკურსებს უძღვებოდა. მ. ფათემისთან ერთად, ივია ავტორი წიგნისა „ვისაუბროთ სპარსულად“.

რომელიც თანამედროვე ყოფის ამსახველ აუცილებელ თემებს ეხება, შეიცავს ტექსტებს, დიალოგების და საუბრების სახით, და ასახავს სასაუბრო ენაში დამკვიდრებულ ყოფით ლექსიკას. წიგნის გამოცემის დროისათვის მსგავსი სახელმძღვანელო ყოფით ლექსიკაზე აგებული თემებით არ არსებობდა და „ვისაუბროთ სპარსულად“ ამ ენის შემსწავლელთა მეგზურად იქცა.

2002-2003 წლებში ინგა კალაძემ მუშაობა დაიწყო იელის უნივერსიტეტის გამომცემლობის (Yale University Press, USA) მიერ მოწონებული პროექტის - ოთხენოვანი: ინგლისურ-სპარსულ-ტაჯიკურ-დარი ლექსიკონის შედგენაზე, რომელსაც ერთვის ინვერსიული ინდექსები.



ინგა კალაძე, პირველ რიგში, ცნობილია, როგორც კლასიკური სპარსული ლიტერატურის მკვლევარი. 1984 წელს მან მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის აზიისა და აფრიკის ქვეყნების ინსტიტუტში დაიწვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „უნსურის ეპიკური მემკვიდრეობა“. მან ამ თემაზე მუშაობა 70-იანი წლების მიწურულს დაიწყო და 1983 წელს წარმოადგინა მონოგრაფია, რომელიც მოიცავს ავტორის მიერ მოპოვებულ ახალ ფრაგმენტებს, უნსურის ეპიკური სტრიქონების კლასიფიკაციას ტექსტოლოგიური ვარიანტებით, რუსულ თარგმანს ვრცელი კომენტარებით, გამოკვლევას და სხვადასხვა წყაროს მიხედვით რეკონსტრუირებულ სიუჟეტს. პოემაში ძირითადი მოქმედება საბერძნეთის კუნძულებზე ხდება და მასში ანტიკური სამყაროს ცნობილი გმირები მონაწილეობენ. ინგა კალაძემ რეკონსტრუირებული პოემის ანალიზის შედეგად გამოფარა სპარსული ტექსტის საკუთარი და გეოგრაფიული სახელების მნიშვნელობა. კვლევის შედეგად დაასკვნა, რომ უნსურის „ვაშეცი და აზრა“, რომელიც ანტიკური სოფისტური რომანის გაშლილ სიუჟეტს ასახავს, მთლიანად არ ემთხვევა არც ერთ ჩვენამდე მოღწეულ რომანს და პოემა ბერძნული თემის მხოლოდ რემინისცენციას კი არ წარმოადგენს, არამედ უკავშირდება რომელიღაც კონკრეტულ მასალას, რაც ამოღებულს ჩვენამდე მოღწეულ ანტიკური რომანების სიუჟეტთა მწირ რიცხვს. მკვლევრის თქმით, უანრის ევოლუციის ისტორიაში ასეთ სიუჟეტს უნდა სჭეროდა შუალედური ადგილი ქარიტონსა და აქილეს ტატიოსს შორის (ი. კალაძე, „ორი უძველესი ხელნაწერის ბედი კულტურათა კვების გზაზე“. შ. „კადმოსი“ N3, თბ., 2011). აღნიშნულ თემაზე 1984 წელს ინგა კალაძის პუბლიკაცია იტალიურადაც გამოქვეყნდა. გაზეთი „თბილისი“ 1984 წლის 19 მაისის ნომრით ინგა კალაძის მონოგრაფიას შემდეგნაირად ეხმაურება: „ვაშეცისა და აზრას“ ყოველმხრივ გამოკვლევამ ი. კალაძე მიიყვანა თავისებურ აღმოჩენამდე: აღმოსავლეთმცოდნემ აღადგინა პოემაში ასახული ადრინდელი ანტიკური პერიოდის უცნობი რომანის ისტორიული სიუჟეტი. იგი განეკუთვნება იმ ტიპის სიუჟეტებს, რომლებიც დღეისათვის წარმოდგენილია სულ ორი თხზულებით - ხარიტონის „ხერე და კალიროიათი“ და ასირიის მეფის ნინის სემირამიდასადმი სიყვარულის ამბავის ფრაგმენტებით.“

მონოგრაფიას სამეცნიერო წრეებში დიდი რეზონანსი მოჰყვა. მას გამოეხმაურა ცნობილი ჩეხი აღმოს-ავლეთმცოდნე ირუი ბეჩკა. აღსანიშნავია ბერგენის უნივერსიტეტის პროფესორის, ანტიკური ფილოლოგიის თვალსაჩინო სპეციალისტის, ტომას ჰეგის 2 რეცენზია, ასევე ა.ბოლდირევის, ჯ. საიარის (სოფია) და სხვათა გამოხმაურებები.

ინგა კალაძის სამეცნიერო საქმიანობა მეტად მრავალფეროვანია. იგი იკვლევდა ლიტერატურათმცოდნეობის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს, მათ შორის, ლიტერატურათა ტიპოლოგიას, სპარსულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობებს, რუსთველოლოგიის აქტუალურ საკითხებს. მისი სამეცნიერო ინტერესის სფეროში შედიოდა

ლინგვისტური საკითხებიც (ლექსი-კოლოგია, ფრაგმენტოლოგია, ეტიმოლოგია). მისი კვლევის შედეგები ასახულია 100-მდე სამეცნიერო პუბლიკაციაში, ნაშრომებში, რომლებიც გამოქვეყნებულია არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც: თბილისში, ქუთაისში, მოსკოვში, სამარყანდში, ღუმანბეში, ბაქოში, თეირანში, ბულზონიში (Bulzoni -იტალია), ტრონტოში, ჰონკონგში, ნიუ-იორკში. მეცნიერის ერთ-ერთი ბოლო სამეცნიერო ნაშრომი «ვისრამინის» ქართული თარგმანის შესახებ დაიბეჭდა ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ გამოცემაში ირანისტიკის სფეროში ("The Georgian Translation of Vis and Rāmin: An Old Specimen of Hermeneutics." Journal of Persianate Studies 2, no. 2 (2009): 137-142).

ქალბატონ ინგას მნიშვნელოვანი პუბლიკაცია აქვს «ვეფხისტყაოსნის» პროლოგთან დაკავშირებით: „შუა საუკუნეების ეპიკური პოემის პროლოგის ტოპიკა და «ვეფხისტყაოსნის» უანრის კვალიფიკაციის საკითხი“. „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ მას სხვა სტატიებიც აქვს გამოქვეყნებული, მათ შორისაა: „სიყმე და მოცალეობა «ვეფხისტყაოსანში»“, „კვლავ ვეფხისტყაოსნის ქაჯთა სემანტიკისთვის“.

ინგა კალაძეს ნაკითხული აქვს მოხსენებები მრავალ ადგილობრივ და საერთაშორისო ფორუმზე. იგი ნაყოფიერად თანამშრომლობდა ქართულ ენციკლოპედიასთან, არის 16 საენციკლოპედიო სტატიის ავტორი.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ქალბატონი ინგას მთარგმნელობითი საქმიანობის შესახებ. მან ნაწი გიგანტიანთან ერთად შესანიშნავად თარგმნა და კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ინაიათ-ულ-ლაჰ-ქანბუს წიგნს «ერთგული და მოლაღატე ცოლები» (იგივე «ბაჰარე დანემ»), თარგმნა და გამოაქვეყნა «შაჰნამეს» მცირე მონაკვეთი «სიავეშის ამბიდან», თარგმნიდა თანამედროვე სპარსულ ლიტერატურას, ფოლკლორს.

მის მიერაა შედგენილი ალექსანდრე გვახარიასადმი მიძღვნილი მემორიალური კრებული, რომელიც 2003 წელს აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა გამოსცა. მოგონებებთან ერთად ტექსტში ჩართულია ალექსანდრე გვახარიას ჩანახატები და ჩანაწერები. ალექსანდრე გვახარიას გარდაცვალების შემდეგ ქ-ნი ინგა კალაძის ერთ-ერთ საქმიანობას მეცნიერის არქივის დამუშავება წარმოადგენდა, რის შედეგადაც „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონისა და „ვისრამინის“ ტექსტოლოგიურ საკითხებზე ალ. გვახარიას რამდენიმე კვლევა გამოქვეყნდა.

ქალბატონი ინგა კალაძე 2023 წლის 21 აპრილს გამოაკლდა ირანისტთა რიგებს, მისი სამეცნიერო ღვაწლი კი მარად დაამშვენებს ქართულ ირანისტიკას.

ავტორი ქეთევან ნიკოლაძე





დათო ტურაშვილის

„ჯინსების თაობის“ სპარსული თარგმანი




2022 წლის მიწურულს ირანში გამომცემლობა نشر فرهنگ ايليا (Farhang-e Iliia)-მ გამოაქვეყნა ქართველი თანამედროვე მწერლის - დათო ტურაშვილის რომანის - "ჯინსების თაობის" სპარსული თარგმანი, სახელწოდებით «پرواز از شوروی» („გაფრენა საბჭოთა კავშირიდან“). აღნიშნული თარგმანი შესრულებული ინგლისური დედნიდან.

დათო ტურაშვილის რომანი „ჯინსების თაობა“ 2008 წელს


გამოსცა ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ. რომანი მოგვითხრობს 1983 წელს მომხდარი თვითმფრინავის გატაცების მცდელობის შესახებ, რომელსაც რამდენიმე ადამიანი შეეწირა. რომანში სიუჟეტი „თვითმფრინავის ბიჭების საქმის“ გარშემო ვითარდება.

1983 წელს რამდენიმე ქართველმა ახალგაზრდამ საბჭოთა საქართველოდან თვითმფრინავის გატაცება და ამ გზით ამერიკაში მოხვედრა სცადა. მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა, რომელსაც მსხვერპლიც მოჰყვა თვითმფრინავის ეკიპაჟის წევრებსა და მგზავრებს შორის. დაიღუპნენ გამტაცებლებიც, მათი უმეტესობა კი სასამართლოს წინაშე წარსდგა. ტერორიზმის ბრალდებით დაპატიმრებულ ახალგაზრდებს, ფეხმძიმე გოგონას გარდა, საბჭოთა ხელისუფლებამ სასჯელის უმაღლესი ზომა, დახვრეტა მიუსაჯა. „თვითმფრინავის ბიჭების საქმე“ თანამედროვე, პოსტსაბჭოთა საქართველოში ჯერ კიდევ აქტუალურია.

აღსანიშნავია ისიც, რომ გამომცემლობა Farhang-e Iliia-მ 2021 წელს დასტამბა კრებული "ქართული მოთხრობები", რომელიც სპარსულად ინგლისური დედნიდან ითარგმნა. აღნიშულ კრებულში წარმოდგენილია 12 მოთხრობა ქართულენოვანი მწერლების შემოქმედებიდან. თარგმანის ავტორები მიზნად ისახავდნენ ქართული ლიტერატურის სპარსულენოვანი მკითხველისთვის გაცნობას.



კაუზანი



გიორგი ხელონაძე – მთარგმნელის ჩამოყალიბების სიტყვა აბდ ორ-რაჰმან ჯამის „ბაჰარესთან“ შესახებ



ახლახან გამომცემლობა „არტანუჯმა“ გამოსცა სპარსული ლიტერატურის კლასიკოსის, აბდ ორ-რაჰმან ჯამის (1414-1492) უმთავრესი დიდაქტიკური თხზულება „ბაჰარესთან“, რომლის ქართული თარგმანი შეასრულა ამ სტრუქტურის ავტორმა.

სანამ უშუალოდ ავტორსა და თარგმანის პროცესზე ვიტყვოდე ორიოდ სიტყვას, მინდა, კიდევ ერთხელ ვისარგებლო შემთხვევით და აურნალ „კალამის“ ფურცლებიდან გულწრფელი მადლიერება გამოვხატო გამომცემლობა „არტანუჯისადმი“, რომელიც დაინტერესდა აღნიშნული თხზულების თარგმანით. ასევე დიდი მადლობა წინამდებარე წიგნის რედაქტორს, ქალბატონ მარინა ალექსიძეს, რომელმაც თარგმანზე მუშაობის პროცესში მრავალმხრივ მნიშვნელოვანი, ფასეული რჩევები და შენიშვნები გამიზიარა.

აბდ ორ-რაჰმან ჯამი სპარსული ლიტერატურის ისტორიაში „პოეტთა ბეჭდის“ (ხათემ-ე შო'არა) საპატიო ტიტულით იხსენიება. ეს საპატიო ზედ-

წოდება მის მიმართ განსაკუთრებულ სიყვარულსა და მონივნებს მონიშნავს. ჯამიმ თანაბარი წარმატებით იღვანა, როგორც დიდმა ეპიკოსმა, ლირიკოსმა, დიდაქტიკოსმა და მისტიკოსმა. იგი სპარსული პოეზიის თეორეტიკოსადაც გვევლინება.

შუა საუკუნეების ირანულ კლასიკოსთა (ზოგადად, ისტორიულ პირთა) ცხოვრების შესახებ ძირითადად მწირი ან ნახევრადლეგენდარული ცნობები მოგვეპოვება. ჯამი, ამ მხრივაც, განგების რჩეულია. ჩვენამდე მოღწეული წყაროების, თეზეურების¹¹ და ცალკეულ ლექსებში გაბნეული ბიოგრაფიული ცნობების საფუძველზე მაინც შესაძლებელია პოეტის ბიოგრაფიის მეტნაკლებად სრული სურათის აღდგენა.

ნურ ედ-დინ აბდ ორ-რაჰმან იბნ აჰმად ჯამი დაიბადა 1414 წლის 7 ნოემბერს აღმოსავლეთ ხორასანში. მისი ნისბა² და ლიტერატურული სახელი უკავშირდება ქალაქ ჯამს. („ჯამი“ ნიშნავს ჯამელს, ჯამის მკვიდრს). პოეტის მამა ნიზამ ედ-დინ აჰმედი წარმოშობით ისპაჰანის სანახებიდან, ქალაქ დამთიდან ყოფილა. თუმცა, მოგვიანებით ხორასანში გადასახლებულა. ჯამიმ დაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო. მოგვიანებით იგი მამამ ჰერათისა და სამარყანდის ცნობილ სასწავლებლებში მიაბარა, სადაც ახალგაზრდა ჯამი დაეუფლა მუსლიმურ თეოლოგიას, არაბულ ენას და ყურანის კომენტარებს, ასევე ფილოსოფიას და ასტრონომიას. მის მოძღვართა შორის ასახელებენ იმჟამინდელ სახელგანთქმულ სწავლულს: ჯუნაიდ ოსულის, ხოჯა ალი სამარყანდელს, შაჰაბ ად-დინ ჯაჯარმის. სწავლის დასრულების შემდეგ ჯამი შეუერთდა ნაყშბანდიეს სუფიურ ორდენს, სადაც მისი მურშიდი (სულიერი წინამძღოლი) იყო საად ად-დინ ქაშყარი. ერთი ცნობით, პოეტმა ცოლად შეირთო ქაშყარის ასული. ჯამის პირადი ცხოვრებიდან ბევრი არაფერია ცნობილი. ვიცით ის, რომ ოთხი შვილიდან სამი მცირეწლოვან

¹ თეზეურე (არაბ: თაზჰირა) - პოეტთა ერთგვარი ანთოლოგია, სადაც რჩეულ ნაწარმოებთა გვერდით მოთავსებულია ბიოგრაფიული ცნობები. გარდა

ლიტერატურულია, არსებობს ისტორიული ხასიათის თეზეურეები.
² ნისბა - წარმომავლობის აღმნიშვნელი სახელი



ასაკში დაღუპვია. შერჩენია მხოლოდ ერთი ვაჟი - ზია-ედ დინ იუსუფი. სწორედ მის საწვრთნელად და დასამოძღვრად შეიქმნა „ბაჰარესთანი“.

აბდ ორ-რაჰმან ჯამის ეს დიდაქტიკური ნაწარმოები სპარსულენოვან ლიტერატურულ სამყაროში დღემდე ინარჩუნებს თავის დიდ მხატვრულ მნიშვნელობას და მომხიბვლელობას. ირანსა და მის ფარგლებს გარეთ არსებობს „ბაჰარესთანის“ მრავალი ლითოგრაფიული და ბეჭდური გამოცემა, აღჭურვილი სათანადო კომენტარებით.

ტრადიციულად, „ბაჰარესთანი“ საადის „გოლესთანის“ ლიტერატურულ მემკვიდრედ ითვლება. წიგნის შესავალში თავად ავტორი გვაუწყებს, რომ მან ეს თხზულება მცირეწლოვანი ვაჟის რჩევა-დამრიგებლობითი მიზნით დაწერა, რომელსაც იმჟამად „გოლესთანის“ ცალკეულ იგავებს ასწავლიდნენ. ჯამიმ განიზრახა, „გოლესთანის“ კვალობაზე შეექმნა ახალი ნაწარმოები, რომლის სტილი შედარებით გამარტივებული და ყმანვილთათვის იოლად აღსაქმელი უნდა ყოფილიყო. მან ეს მართლაც ზედმინეგნით შეასრულა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ „ბაჰარესთანი“ ვერ ჩაეცია მხოლოდ ყმანვილთა საწვრთნელი და დასამოძღვრი წიგნის ჩარჩოებში და ძალიან მალე სახალხო წიგნად იქცა მთელ მუსლიმურ აღმოსავლეთში. ამას მოწმობს მისი მრავალრიცხოვანი ხელნაწერები და მინიატიურები, რომელიც მრავალი ქვეყნის სიძველეთსაცავებში ინახება.

„ბაჰარესთანი“ საჯ'ით — რითმოვანი და რიტმული პროზით — განწყობილი მხატვრული ტექსტია. წიგნის შესავალში, ბოლოთქმასა და ლირიკულ ნიაღვრებში საჯ'ი და ჩუქურთმოვანი სტილი განსაკუთრებით თავბრუდამხვევი ხდება, იგავები კი შედარებით სადა სტილითაა შესრულებული. პროზაულ ნაწილს მოსდევს პოეტური. ერთმანეთს ენაცვლება კლასიკურ პოეზიაში გავრცელებული მყარი სალექსო ფორმები: რობაი, ყითა, მესნევი, ყაზალი. შევეცადე ეს განსხვავება და თავისებურებანი თარგმანშიც ასახულიყო.

„ბაჰარესთანი“ დაყოფილია რვა ბაღად. თითოეული ბაღი (ნაწილი) სხვადასხვა საკითხს ეძღვნება. ჩემთვის, როგორც მთარგმნელისთვის, განსაკუთრებით პრომატევადი, ამავდროულად საინტერესო და სიახლეებით სავსე აღმოჩნდა მეშვიდე ბაღი, რომელიც მთლიანად პოეზიას ეძღვნება. ამ ბაღის შესავალში ჯამი გვესაუბრება პოეზიის დანიშნულების შესახებ, ხოლო შემდეგ, რუდაქიდან მოყოლებული ალიშირ ნავის

ჩათვლით, ასახელებს ირანელ კლასიკოსებს, ასევე შედარებით ნაკლებად ცნობილ პოეტებს, გარკვეულწილად გვესაუბრება მათი ცხოვრების შესახებ, იძლევა შემოქმედების გარკვეულ შეფასებასაც და, რაც მთავარია, მოჰყავს მათი ლექსებიდან ცალკეული ფრაგმენტები. ასე რომ, ამ წიგნში მკითხველი არა მხოლოდ ჯამის, არამედ სხვა ირანელ კლასიკოსთა პოეზიის გარკვეულ ნაწილსაც გაეცნობა.



აბდ ორ-რაჰმან
ჯამი

ბაჰარესთანი

სსიპ
ქვეყნის

უნდა აღინიშნოს, რომ ჯამი ზოგჯერ მიმართავს ისეთ ალუზიებს, სიტყვათა თამაშს და ფრთიან გამოთქმებს, რომლებიც ძალზე ღრმადაა სპარსულენოვანი მკითხველის ცნობიერებაში შეჭრილი და სხვა ენაზე მსგავსი მხატვრული ეფექტის შექმნა რთულდება. თუმცა ამ სირთულეში ნამდვილად არის მიმზიდველობა.

ცხადია, ამ თარგმანის ავ-კარგი ჩემი განსასჯელი არ არის და ვერც ვისაუბრებ ამაზე. ამიტომ ამ მოკლე მიმოხილვას დავჯერდები. მკითხველის აზრს და შენიშვნებს დიდი სიამოვნებით მოვისმენ და გავითვალისწინებ.

ნანუკიბეი აბდო-ჩაჰმან ჯამის თხზულებიდან „ბაჰაჰისტანი“

მედინაში ერთი ბრძენკაცი ცხოვრობდა, სწორუპოვარი სწავლული და სჯულის საქმეთა ზედმინევიანი განმჩხრეკელი. ერთ დღესაც მონათა ბაზარში ჩაიარა და თვალი მოჰკრა მომღერალ მხევალს, რომლის გალობით თავად ასპიროზს ესობოდა შერის ეკლები, მზეს ანცვიფრებდა სახის შუქურ-ანარეკლებით. იმ ბრძენს წამისწამად მოედო ტრფობის ალები და მოინუსხა ხალითა და ზილფთა კავებით. მისი გალობით შეძრულმა არყოფნის უდაბნოში ჩამოჰხადა ყოფის ბარგი და ფარაჯა, მისი ჰანგებით გულდაბანგულმა გონიერების ვინროებიდან უგუნურების თემმარაზე გადმოალაჯა.

ყითა:

*მწყაზარ სახეს და ნარნარ გალობას
ძალუძს, გულს მყისვე მოჰგვაროს გზნება,
რაჟამს ეს ორი ერთვის ერთმანეთს,
მათთან თვით ბრძენიც ვერაფერს ხდება.*

მერე კი სიბრძნის ხალათი განიძარცვა სავსებით და შეიმოსა მოყვივნების ჯვალ-ფლასებით, მედინას ქუჩაბანდებსა და ბაზარში ასე შერცხვენილი დაეხეტებოდა. მეგობრებმა გაკიცხეს, მაგრამ ამაოდ. მთელი არსებით ამ სიტყვებს იმეორებდა და ამ თარანეს ღიღინებდა:

რობაი:

*სატრფოს სახება ვინც იხილა, ცხადად თუ ლანდად,
ვითარ დამშვიდდეს, შვება როგორ მონახოს ანდა,
მაჟანთა კიცხვა-საყვედური ქარის მსგავსია,
რომელიც უფრო გააღვივებს ტრფილის ღაღარს.*

ამ ამბავმა 'აბდ ალლაჰ ჯა'ფარის (ალაჰიმც იქნება მისით კმაყოფილი) ყურამდე მიაღწია. იმ მხევლის ბატონი იხმო და ორმოცი ათას დირჰემად მხევალი გამოისყიდა. მერე მხევალს იმ სიმღერის წამონწყება უბრძანა, რომელსაც ის ბრძენი შლეგად ექცია, ბოლოს კი ჰკითხა: ეს სიმღერა ვისგან ისწავლეო?

- ერთი მუტრიბისგან - მიუგო ასულმა.

'აბდ ალლაჰჰმა ის მუტრიბიც მოიხმო, მერე კი ბრძენი ახმობინა და ჰკითხა:

- გინდა, ის სიმღერა, რომლის მოსმენამაც ესოდენ მოგუნუსხა, იმ მხევლის ოსტატისგან მოისმინო?

- დიახ-მიუგო ბრძენმა.

'აბდ ალლაჰჰმა მუტრიბს სიმღერის დანყება უბრძანა. ჰანგის მოსმენაზე ბრძენი გულწასული დაეცა. ერთი პირობა ისიც კი იფიქრეს: ვაითუ, მოკვდაო.

'აბდ ალლაჰჰ იბნ ჯა'ფარმა (ალაჰიმც იქნება მისით კმაყოფილი) განაცხადა: დახეთ, ამ კაცის მკვლელობით ფეხი ცოდვაში ჩავდგივითო.

შემდეგ კი ბრძანება გასცა, გულწასულისთვის სახეზე წყალი ესხურებინათ და ისიც გონზე მოვიდა.

'აბდ ალლაჰჰმა უთხრა:

- ვერც კი წარმოგვედგინა, რომ ის მხევალი ამდენად გიყვარდა.

- ღმერთმანი - მიუგო ბრძენმა - დაფარული სჭარბობს აშკარას.

ისევ 'აბდ ალლაჰჰმა ჰკითხა: - გინდა, ის სიმღერა მხევლისგან მოისმინო?

- აკი ნახეთ რა მომენია, როცა ის სიმღერა სხვისგან მოვისმინე. თუკი ამ ჰანგებს სატრფოს ბავეთაგან მოვისმენ, თავად განსაჯე, რა დღეში ჩავვარდები.

- თვითონ ის რომ ნახო, იცნობ? - ჰკითხა 'აბდ ალლაჰჰმა.

ბრძენი ატირდა და მიუგო:

ბეითი:

*ვიცნობ თუ არა, ვინც გული და რწმენა წამგვარა?
მე მის თვინიერ არვის ვიცნობ ამ ცისქვეშეთში.*

'აბდ ალლაჰჰმა ბრძანა, მხევალი მოეგვარათ და ბრძენისთვის გადაეცათ:

- ეს ასული შენია. ვფიცავ უზენაესს, მისთვის სხვა თვალით არ შემიხედავს.

ბრძენი 'აბდ ალლაჰჰის ფერხითთ განერთხა და შეჰლაღაღა:

რობაი:

*ხელოვაშლილობით მიშველე და დარდს აღარ ვისევ,
შენ განშორების ზვირთებისგან დამიხსენ მყისვე,
გულს განაშორე მოლოდინი, ავი და მყისვე,
და ცრემლმონვიმარ თვალებს ძილი არგუნე ისევ.*

შემდეგ მხეველს ხელი ჩასჭიდა და მასთან ერთად სახლში გაეშურა. 'აბდ ალლაჰმა მონას უბრძანა, მათთვის ორმოცი ათასი ღირჰემი გაეგზავნათ, რათა მათ სულში ყოფიერი საზრუნავის მტვერი არ დალექილიყო და ერთმანეთთან განცხრომით დამტკბარიყვნენ.

* * *

ერთ ლამაზმანს, რომელსაც ათასი ბრძენის გული წარეტაცა და რომლის სახლთანაც ყოველ წუთას ათასი მეტრფე ალიაქოთს ტეხდა, პირნაზობის უამი წაუხდა და პირნასობის სავალალო ნიშნები დაეტყო. მიჯნურებმა სიამტკბილობის ფარდავი ამიდეს და მისგან ფეხი ამოიკვეთეს. ერთ მათგანს ვუთხარი:

- ეს ხომ იგივე სატრფოა, რომელსაც შარმან ეტრფოდით, ტრფიალით მდაგველს, ნახეთ: იგივე თვალ-წარბი აქვს, პირი და ბაგე. სწორედ იგივე ბანოვანი, ტანი-მალლა ამიდული, სხეული კი - უფრო ჯანოვანი. რას მივანეროთ თქვენი ეს ურცხვობა, უპირისწყლობა, ორგულობა და ნამარდობა, რომ მასთან შეხვედრის კალთა აიკაპინეთ და კეთილგანწობა დაივიწყეთ?

მან კი მომიგო:

- ვაგლახ, ამას როგორ ამბობ?! ეგ სული იყო, გულს და გონებას რომ მტაცებდა, იგი სუნთქავდა სხეულის ნაკვთთა სისწორით, ტანის სიფაფუკით, კანის სინატიფითა და ხმის სინარნარით. რადგანაც სულმა საბუდარი უკვე დატოვა, უსულო სხეული რატომ უნდა მიყვარდეს, რატომ უნდა მოვეპყრა თბილად, ანდა დამჭკნარ ვარდს რად გაუბა გალობა ტკბილად?!

რობაი:

*ვარდი დაჭკნა და ეკლის ხილვა არ მომინდებდა,
შემოშხვევია სულს ორკეცი სევდა ბინდებდად,
მშენიერება ჩიტი და სატრფო - ვალია,
როს ჩიტი წავა, ეს ვალია რაში მჭირდება?!*

* * *

ფირდოუსი³ (ალაჰმა შეინყალოს) წარმოშობით თუსელია. მისი სიდიადე და სრულყოფილება ყველას მოეხსენება. „შაჰ-ნამეს“ შემქმნელ კაცს სხვათა ქება-დიდება რაში სჭირდება.

გადმოგვეცემენ, რომ ფირდოუსი ერთ-ერთი დეჰყანთაგანი ყოფილა, ვილაცამ შეავინროვა და მანაც საჩივლელად ღაზნაში, სულთან მაჰმუდის სატახტო ქალაქში, გასწია. იქ მისულმა ნახა, სასახლის ბაღში ვილაც სამი კაცი ჩამომსხდარიყო და მუსაიფობდნენ. მიხვდა, რომ სულთნის კარის მოხელეები უნდა ყოფილიყვნენ. თავისთვის ჩაილაპარაკა: „ერთი, ამათთან მივალ და ვნახავ, საქმეს როგორი პირი უჩანსო“. მისი გამოჩენა დიდად არ ეპრიანათ. აქაოდა, ჩვენს თავყრილობას ჩაშლისო, ერთმანეთში ასეთი რამ მოითათბირეს: სჯობს, ვუთხრათ: ჩვენ ფადიშაჰის მგოსნები ვართ და, მგოსანთა გარდა, სხვას არ ველაპარაკებთ. სამივე თითო მისრას წარმოვთქვამთ, რომელსაც მეოთხე აკლია, მერე კი ვიტყვი: ვინც მეოთხე მისრით დააბოლოებს, საუბარს მხოლოდ მას გაუბამთ. თუ ამას შეძლებ, ხომ კარგი, თუ არადა - ჩვენ ბოლიში!

ფირდოუსი მათთან მივიდა თუ არა, სწორედ ისე უთხრეს, როგორც წინასწარ მოეთათბირებინათ.

- აბა, წამიკითხეთ თქვენი მისრები - განაცხადა ფირდოუსიმ.

ონსორიმ წარმოთქვა:

³ აბუ ლ-ყასემ ფორდოუსი (X-XI) - გენიალური ირანელი პოეტი, სპარსული პოეზიის უდიდესი წარმომადგენელი. ირანული ეროვნული ეპოსის „შაჰ-ნამეს“ ავტორი. დაიბადა ხორასანში, თუსის მახლობლად. „შაჰ-ნამეს“ წერა, მეცნიერთა გამოკვლევით, დაუწყია 964-969 წლებში. ბოლო რედაქცია 1010 წლით თარიღდება. პოემა მოიცავს 60 ათას ბეითზე მეტს (120 ათას სტრიქონზე მეტი). დაწერილია მესხვეთს (წყვილად გართული ტაეკები) სალექსო ფორმით. „შაჰ-ნამეში“ გადმოცემულია ირანის უძველესი მითოლოგია და ისტორია არაბთა შემოსევებამდე. პოემაში ასახულია კეთილ და ბოროტ საქმისთა შორის ბრძოლის ზორთასტრული კონცეფცია, კეთილი საქმის განსახიერებად გვევლინება ირანი, ბოროტს კი თურანი განსახიერებს. „შაჰ-ნამეში“ გვხვდება სამიჯნურო ეპიზოდებიც.

პოემა საქართველოში ძალიან პოპულარული იყო და შეიქმნა მისი პოეტური და პროზაული ვერსიები. პოეტური: ა) როსტომიანი ბ) ზაქიანი გ) უთრუთიან-საამიანი. პროზაული: ა) ფრიდონიანი ბ) უთრუთიან-საამიანი გ) წიგნი საამ ფალავნისა. შუა საუკუნეების საქართველოში განსაკუთრებით ცნობილი გახლდათ როსტომიანი.

შენს მწყაზარ ღანვთან მთვარის სხივის ნასახიც არ ჩანს.

ფაროხიმ:

ვარდნარსაც ჩრდილავ, შენს მშვენებას ათასგზის ვაშა!

ასჯადიმ:

შენი წამწამი ორად გაკვეთს უცვეთელ ჯავშანს,

ფირდოუსიმ, ეს სამი მისრა რომ მოისმინა, მეოთხე იქვე, სახელდახელოდ შეთხზა და უპასუხა:

ვით ბრძოლის ველზე გივის შუბი საბრალლო ფაშანს.

სახტად დარჩენილმა მსმენელებმა გივის და ფაშანის ამბავი გამოიკითხეს. მანაც დანვრილებით მოახსენა, მერე კი სულთნის კარზე გამოცხადდა და მისი კეთილგანწყობა მოიპოვა. სულთანმა უთხრა:

- შენი გამოჩენით ჩვენი თავყრილობა სამოთხედ აქციე.

ამიტომაც მეტსახელად ფირდოუსი⁴ უწოდა.

მცირე ხანი რომ გამოხდა, „შაჰ-ნამეს“ გალექსვა დაევალა. ათასი ბეითი შეთხზა, სულთანს მიართვა და დიდი ქება-დიდება დაიმსახურა, სულთანმა ათასი ოქროს დინარიც ფეშქაშად უბოძა. ფირდოუსიმ „შაჰ-ნამეს“ დასრულებას მთელი ოცდაათი წელი შეაღია, სულთანს მიართვა და უწინდელივით იმედოვნებდა, რომ თითო ბეითში თითო ოქროს დინარს მიიღებდა, მაგრამ საქმეში მემურნეები ჩაერივნენ და მბრძანებელს მოახსენეს: განა ვიღაც პოეტს ამხელა ჯილდო ეკუთვნისო?!

საბოლოოდ, გასამრჯელოდ სამოცი ათასი დირჰემი გადასცეს. ფირდოუსიმ ეს ყველაფერი ძალიან განიცადა. გადმოცემის მიხედვით, ფულის მიტანისას, აბანოში ყოფილა. იქიდან გამოსულმა ოცი ათასი დირჰემი მექისეს აჩუქა, ოცი ათასიც-სირაჯს, დარჩენილი ოცი ათასი კი მათ, ვინც ფული მიუტანა, ხოლო სულთანი ორმოცამდე ბეითით გაათახა. აი, მათგან რამდენიმე ბეითი:

მესნევი:

შაჰი რომ მეფის მოღვმის იყოს, წესით და რიგით,

მე დამადგამდა მყისვე თავის მოლოჯილ გვირგვინს.

თუმცა, მის გვარში არვის ეცხო მცირე ღირსებაც

და ამიტომაც დიდკაცს როდი შეეთვისება.

თუ ხეს უგვანო ფესვები აქვს და არა-სალი,

რა ბედენაა მისთვის წმინდა ედემის ბალი.

გინდაც სამოთხის წყარო რწყავდეს, ხენემს სრულებით,

იქვე მოჩქეფდეს რძის და თაფლის ნაკადულები.

კაცსაც ვერ ნახავ საბოლოოდ მისით კმაყოფილს,

მწარე იქნება უსათუოდ მისი ნაყოფი.

ამის მერე მიიმალა, რამდენიც არ ეძებეს, ვერსად იპოვეს. კარგა ხნის მერე სულთან მაჰმუდის ვეზირმა, ხოჯა ჰასან მეიმანდიმ, ნადირობისას, „შაჰ-ნამედან“ რამდენიმე ბეითი წაიკითხა. სულთანს ძალიან მოეწონა და ჰკითხა: ვისი ლექსიაო?

- ფირდოუსისა - მიუგო ვეზირმა.

სულთანმა საკუთარი საქციელი ინანა და ბრძანა, ფირდოუსისთვის სამოცი ათასი ოქროს დინარი და საპატიო ხალათები მოემზადებინათ და თუსში გაეგზავნათ. მაგრამ განგებამ სხვაგვარად ინება: როცა თუსის ერთი ალაყაფიდან სულთნის საბოძვარი შეჰქონდათ, მეორე ალაყაფიდან ფირდოუსის კუბოს მიასვენებდნენ.

ფირდოუსის ერთი ასული დარჩა. სულთნის საჩუქარი მას მიართვეს, მაგრამ დიდსულოვნება გამოიჩინა და მიღებაზე უარი განაცხადა: თავი რომ ვირჩინო, იმდენი ქონება კი მბაღია და ეს საბოძვარი არ მჭირდებაო.

სულთნის მიერ წარგზავნილმა მოხელეებმა თანხა იმ მხარის ქარვასლათა მოსაპირკეთებლად გამოიყენეს.

ყითა:

ხამს, რომ ვუნყოფეთ ამა ქვეყნად დიდკაცთა ყადრი,

თორემ ცარგვალაი ინისლება, წყრომით იესება,

ნარხდა მაჰმუდის დიდება და ის დარჩა ამბად,

რომ ვერ შეიყნო ფირდოუსის დიდი ღირსება.

თარგმნა გიორგი ხულონდავამ

⁴ فرودوس - სპარს. სამოთხე

თარგმანები კლასიკური სპარსული პოეზიიდან

მაგალი თოდუა (1927 - 2016)

მაგალი თოდუა იყო საოცრად თბილი და ემოციური ადამიანი, ჭირსა და ლხინში თანამდგომი, შეგვეგებებოდა ყოველთვის ღიმილით, იყო ხალისიანი და იუმორით საესე. ყოველთვის რაღაც ახალს გაიგებდი მისგან. მას ჰქონდა საოცარი უნარი ადამიანის აღმოჩენისა. იგი ალამაზებდა ცხოვრებას. მასთან ყოველი შეხვედრა იყო ზეიმი.

ირანისტიკაში თაობათა აღმზრდელი მაგალი თოდუა თავდაპირველად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობდა, შემდეგ კი - აკადემიკოს გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. მან, ძირითადად, ორი მიმართულებით იღვანა: სამეცნიერო და მთარგმნელობითი და ორივე სფეროში წარუშლელი კვალი დატოვა. ძალიან მნიშვნელოვანია მისი მეცნიერული ნაშრომები:

„XII საუკუნის ქართველ მეფეთა და სახელმწიფო მოღვაწეთა ტიტულები და სახელები“;

„XII-XIII საუკუნეების ქართველ მეფეთა და სახელმწიფო მოღვაწეთა მიმონერა მახლობელი აღმოსავლეთის სულთნებთან“;

„ზაჰირ ალდინ თაფრეშის საჯარო პაექრობანი მაკარიოს ანტიოქიელსა და სხვა ქრისტიან მოღვაწეებთან თბილისსა და ლილოში“;

„ქართული წარმოშობის სპარსელი პოეტები“;

„ქართული ნეკროპოლი ირანში“;

„ალექსანდრე ბატონიშვილის საფლავი“;

„უცნობი პოეტი იასე და მისი „სამეცნიერო“ და სხვა მრავალი.

ასევე, აღმოჩენის ტოლფასია და სენსაციური მაგალი თოდუას მიგნება ლიტერატურის სფეროში, რაც ეხება იესოსა და მარიამის სახეს სპარსულ პოეზიაში. სპარსელი პოეტები ხომ განადიდებენ მათ, მაგრამ მაგალი თოდუასგან გავიგეთ, რომ თურმე ზოგიერთი მათგანი თავის მხატვრულ სტრიქონებში იესოს უფრო ხშირად განადიდებს და ახსენებს, ვიდრე მოჰამადს.



ქართული ირანისტიკის, როგორც, ზოგადად, ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის, პრიორიტეტული მიმართულებაა ქართულირანული ურთიერთობების კვლევა. ამ მხრივ მაგალი თოდუა გახლავთ ბრწყინვალე გამგრძელებელი თავისი დიდი მასწავლებლების: იუსტინე აბულაძის, ვლადიმერ ფუთურძისა და დავით კობიძის გზისა. ამის დასტურია მისი ფუნდამენტური გამოკვლევანი - „ქილილა და დამანასა“ და „ვისრამიანის“ შესახებ, თუ ირანელ შაჰთა ფირმანების ქართული თარგმანები და სხვა.

რაც შეეხება მაგალი თოდუას, მთარგმნელობით მოღვაწეობას, იმ ქვეყანაში, სადაც რვა საუკუნეა ითარგმნება სპარსული პოეზია, სპარსული ლირიკის გემო პირველად მაგალი თოდუას თარგმანებით შეიტკბო ქართველმა მკითხველმა.



„სპარსული ლექსის თარგმნა ერთდროულად შემოქმედებასაა და კვლევაც, ხშირად მთარგმნელს უწევს არა მარტო, ჩვეულებრივსამებრ, სიტყვის, ფრაზის ან შინაარსის ერთი ენიდან მეორე ენაზე ლექსად გადატანა, არამედ ორიგინალის ურთულესი პოეტური სახეების ქვეტექსტებში გარკვევაც, რაც ღრმა და ფართო ირა-ნისტიკულ განათლებას მოითხოვს...“ - წერდა ბატონი მაგალი.

არადა, რა ჰაეროვნად, რა ნათლად და რა ფრთიანად ლებულობს მსოფლიოში განთქმულ სპარსულ პოეზიას ქართველი მკითხველი მაგალი თოდუას თარგმანების საშუალებით?! მათ რომ კითხულობ, იქმნება ილუზია, თითქოს, ქართველ პოეტთა ლექსებს ენათგებოდე მშობ-ლიურ ენაზე.

მაგრამ მარტო ლირიკის თარგმნით არ შემოფარგლულა მაგალი თოდუა. მან ქართულად გადმოიღო ნიშაში განჯელის პოემები: „ლეილი და მაჯნუნი“, „ხოსროვი და შირინი“, „შვიდი მზეთუნახავი“ და არაერთი თავი ფერდოუსის „შაჰნამედან“.

გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე კი ამ დაუღალავმა მხატვრული სიტყვის ოსტატმა გამოაქვეყნა აბდ ორ-რაჰმან ჯამის პოემა „იოსები და ზოლეიხას“ თარგმანი პროზად, რომელიც, ალბათ, სხვა მის თარგმანებთან ერთად ოქროს ასოებით შევა ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის ისტორიაში.

მაგალი თოდუა არ ვახლდით სენაკში ჩაკეტილი ფოლიანტებში თავჩარგული ბერი, არამედ იყო მეტად აქტიური და ინიციატივიანი საზოგადო მოღვაწე.

წლების განმავლობაში იგი იყო ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, სადაც მისი ინიციატივით დაარსდა დიალექტოლოგიის ინსტიტუტი, რომელიც გამოსცემს ყოველწლიურ საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალს „ქართველური მემკვიდრეობა“ და რომლის 24 ტომი ამშვენებს დღეს ქართული წიგნის თაროს.

ასევე, მისი თაოსნობით დაუმეგობრდა ერთმანეთს ქუთაისისა და გილანის უნივერსიტეტები და პირველად დაირწა გილანის უნივერსიტეტში, ანუ ირანში, ქართველოლოგიის აკვანი.

მაგალი თოდუას იდეითა და მისსავე პნკარედულ თარგმანზე დაყრდნობით, თარგმნა ირანელმა პროფესორმა, მოჰამად ქაზემ იუსეფ ფურმა, სპარსულად „ვეფხისტყაოსანი“.

მაგალი თოდუას თავკაცობით რვა საუკუნის მერე აღდგენილ იქნა გელათის მეცნიერებათა აკადემია, რომლის პრეზიდენტიც თავად იყო წლების განმავლობაში. მაგალი თოდუა იყო დამაარსებელი და რედაქტორი ჟურნალებისა: „გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი“, „ქართველოლოგია“ და „არმაღანი“.

მაგალი თოდუამ არამატერიალურთან ერთად, მატერიალური ძეგლიც დაუტოვა ქვეყანას. ორი ათეული წლის წინ, რექტორობის დროს, მისი ინიციატივით ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში საფუძველი ჩაუყარა ეკლესიის მშენებლობას, რომლის სამრეკლოდან უკვე რამდენი წელია გაისმის ზარების ხმა.

გთავაზობთ კლასიკური სპარსული პოეზიის მაგალი თოდუასეულ თარგმანებს:

რუდაქი
(860- 941წწ.)
* * *

ამას რას ვხედავ, შენი მშვენებით
თვითონ მშვენება არა ჩანს მშვენად.
ვინც შენთა ზილფთა ფშვენა ისუნთქა,
გადაავიწყდა მუჰკ-ამბრის ფშვენა.
გული კი არა ქვა გიღვეს მკერდში,
ქვაზე ათასჯერ ცივი და მძიმე,
კარგად ვიცი მე, და მინც ხედავ? –
ისე გიფიცავ, ვითარცა ზენას.
შენ არ გეგონოს მე შენგან რამე
წყალობას ანდა სიკეთეს ველი,
სად გაგონილა, გულქვას უღმობდეს
გულს გულდამწვართა გულების ქმენა!
შენზე ათასჯერ შევჩივლე ზენას
და იმას შეველა ათასჯერ ვთხოვე,
მაგრამ რა ვპოვე, თურმე ღვთაებას
არ ეუბები, ღვთაებავ შენა.
მე თუნდ ათასი მეფე მამონონ,
რა თავში ვიხლი ასეთ წყალობას,
შენ ამიყვანე ყურმოჭრილ მონად
და ეს იქნება ნამდვილი შველა.
* * *

რა არის წუთისოფელი,
ეს ჩვენი ინიბინია,
სიზმარი არის, ძმობილო,
თორემ ეს სხვებმაყ იყიან.
ვინც აქ სიავე დათესა,
სიკეთეც იმან იწენია,
ხოლო სიკეთის მოქმენდი
გოგირდის ცეცხლში იწვიან.
შენ აქ სიმშვიდეს ეძებდი,
ამქვეყნად მიტომ დასახლდი?
იცია, ვინც ის იძია,
თავზე რა ჭირი იწია?
საჭვრეტად არის საამო,
თორემ ბუნებით უნდოა,
იერთ არის კეთილი,
თორემ ბუნებით ბილწია.
* * *

ცხოვრებას კარგად შეხედე,
გონს მოდი, იყავ ჭკვიანი,
ზერელედ ნუკი უყურებ,
გზები იცოდე გზიანი.
ზღვასა ჰკავს ჩვენი ცხოვრება
და რომ არ ნახო ზიანი,
სიკეთის გემი ააგე
და გაღმა გახვალ სვიანი.
* * *

თმას რომ ვიღებავ, სიჭაბუკეს მე განა ვლამობ,
ან მსურს კვლავ ცოდვა ჩავიღინო სულისთვის
ამო?



არა, ისე ვით ძაძას იცვამს ჭირისუფალი,
ჩემს სიყრმეს ვგლოვობ და ვიშავებ წვერს ამის გამო.

* * *

ღრო მხიარულად გაატარე შავთვალა ქალთან,
ცხოვრება ზღაპრის მაგვარია, მსგავსია ქართა.
ალარასოდეს დღე წარსული არ გაიხსენო,
მომავლისაგან სხვას ნუ ელი კეთილის გარდა.
მივდივარ მასთან, ზილფზე უდის სუნი რომ უდის,
მივდივარ მასთან, სილამაზით ფერიის გვართან.
ბედნიერია, ვინც გასცა და შეჭამა თავად,
უბედურია, ვინც ცხოვრება ასე არ მართა.
ქართა და ღრუბელთ მსგავსად უთქვამთ საწუთრო ჩვენი,
მოიტა ღვინო, რაც გვეწევა, გვეწინოს მთვრალთა.

შაჰიდ ბალხელი (IX-Xსს.)

* * *

ნარგიზი და ვარდია გონება და ქონება,
ერთად რომ არ ხარობენ, ალბათ გაგვეგონება.
ის, ვინც გონიერია, მას ქონება ცოტა აქვს,
ხოლო ვინც მდიდარია, მას ცოტა აქვს გონება.

* * *

ღარდს რომ ცეცხლივით კვამლი სდიოდეს,
ბნელს მიეცემა ქვეყანა მარად,
ვერ ნახავ ჭკვიანს, რომ დადიოდეს
და არ ჩიოდეს ღარდსა და ვარამს.

* * *

ბალი ივინის, ქალწულივით ჰყვავის და ბრწყინავს,
ღრუბელი ტირის, თითქოს მისი სურვილი ჰქონდეს.
ქუხილი გრვეინავს ისე ძლიერ, როგორც მე ვგმინავ,
განთიადისას სიყვარულზე როდესაც ვგოდებ.

ქესაი მარაველი (X ს.)

* * *

ვარდი სამოთხის საჩუქარია
და უფლის გახლავთ წყალობა დიდი.
ვარდის წყალობით კეთილშობილი
გახდება კაცი, რომც იყოს ფლიდი.
ვარდის გამყიდვლის გამკვირვებია,
ასეთ ზარალზე თვითონ რომ მიდის:
ვარდზე უკეთესს სხვას რას იყიდის
ფულით, რაზედაც ის იმ ვარდს ჰყიდის.

* * *

თმას რომ ვიღებავ
და ეს მოხუცი
ყრმასავით შავი წვერით დავდივარ,
თქვენ რა გკონიათ, რატომ ვიღებავ,
ამ საძრახ საქმეს რატომ ჩავდივარ?
რატომ და, ხალხი თეთრწვერა მოხუცს
ბრძენ კაცად რაცხავს და ჭკუას ჰკითხავს,

მეც ვშიშობ, ვინმემ ჭკუა არ მკითხოს,
მე ხომ ცეტი და ჩკუამჩატე ვარ!

ფეროხი სისტანელი (XI ს.)

* * *

რა კარგია, როცა გიყვარს
და გულს გიძრავს მისი ვნება,
რა კარგია, დედაკაცის
მძიმე დალაღებით ება!
რა კარგია, ძმაკაცებში
ფეხის მორთხმა, ნოხის გება,
შეჰყვე სმას და ტკბილზე ტკბილი
ღვინო წრუპო ნება-ნება.
სანამ გიღულს სიჭაბუკე,
სანამ სისხლი თვისას შერება,
თორემ, როცა დაბერდები,
შვებაც მშვიდად მოგეშვება.
არ ეგების ჭაბუკისთვის
სიჭაბუკის მუქთად დება,
იმის ქება როგორ ითქმის,
ვინც არ იხდის ტრფობის სნებას!
ბაგე შენი ქალის, ლალის
ბაგეებზე თუ არ დნება,
რალა შენი ქვეყნად ყოფნა,
რალა გზაზე ჭირკის გდება!
სიყვარული შვების ტაძარს
აბია და კარგად ება,
მაშ, შეაღე შენც ეს კარი,
მაშ, იგრძენი შენც ეს შვება.

ნასერ ხოსროვი (1004-1088წწ.)

* * *

ჰეი, ღმერთო, ეს ხომ შენ ხარ
ჩვენი შემოქმედი?
შენ დაგვბადე, შენვე თვითონ
დაგვინერე ბედი.
ეჭვი მიპყრობს, შემოქმედო,
ხომ არ დააშავე,
როცა ზოგი თეთრად შობე,
ზოგი გააშავე!
კარგის შექმნა თუ შეძელი
და ვით შექმენ ავი?
რომაელი არის თეთრი,
ხოლო ზანგი – შავი.
ზოგის გული სამოთხეს ჰგავს,
ზოგის – წარღვნას მოჰგავს.
ზოგი მეჩეთს ემონება,
ზოგი – სინაგოგას.
რატომ? ასე განსხვავება
რისთვის დაგვებედა,

რატომ, როცა შენ ხარ ჩვენი
ერთადერთი დედა?!
ერთს რად მიეც ზღვა ქონება,
მეორეს კი ნავსად
ქვეყნად რატომ აწანწალებ
ვით აწყვეტილ ნავსა?!

* * *

ჰე, ყარიბო მოგზაურო,
შენ თუ მართლა გული გერჩის,
ადე, ზეზე, წინ გზა გიღვეს,
ამ ძველ ფუნდუკს როგორ შერჩი!
ეს სანუთრო ის ხილია,
არყოფნა რომ გადახიდეს,
ხიდზე ბინას ვინ იკეთებს,
ჩქარა უნდა გადახვიდე.

**ომარ ხაიაში
(1040-1123წწ.)**

* * *

მეჩეთში რომ ვართ, კვლავ ლოთები განა არა ვართ,
განა ალაჰის იმედების ანაბარა ვართ! –
აქ გუშინ მოლას სალოცავი ნოხი მოვპარეთ,
ისევ მოვედით ახალ ნოხის მოსაპარავად.

* * *

შაბანის თვეში თუ დავთვრებით, ღმერთს ეწყინება
და ლოთებისთვის მან რეჯების თვეც არ ინება,
კარგი, ბატონო, რამაზანის თვეში დავთვრებით,
ოღონდ მაშინაც არ დავგინწყოთ ლანძღვა-გინება.

* * *

ვინ გადაურჩა უცოდელი დღეების დენას,
ვინც არ შესცოდა, როგორ შესძლო მან თავის რჩენა?
მე რომ ცუდს ვშვრები და შენ კიდევ ცუდად რომ მიხდი,
შე დალოცვილო, ღმერთი ხარ თუ კაცი ხარშენა?!

* * *

ერთ ჩემ ნაცნობ მექოთნესთან ვიყავ გუშინ დილას,
ჯერე მინა მოზიდა და მერე ქუსლით ზილა.
უცებ ფეხქვეშ აუყვირდა მინა: „ჰეი, ძმაო,
მეც შენსავით კაცი ვიყავ ერთ დროს, ცოტა
ფრთხილად“!

* * *

ეს დოქი, ალბათ, სიყვარულით დამწვარა ერთ დროს,
ეს თავი, ალბათ, მას საყვარლის გულ-მკერდზე ედო,
ეს ხელი, ალბათ, მას მიჯნურის წელზე ეხვია,
ვაიმე, ასეთ ბედისწერას ვით უნდა ენდო!

* * *

ო, ვის უნდა, რაში უნდა, ყოფნა ამისთანა,
ეი მოდის, მეორისთვის იღვსება დანა.
ჩვენი ბედი რომ იცოდე, არშობილო ჯერეთ,
ქვეყნაზე დაბადებას ისურვებდი განა?!

* * *

იმ სასახლეში, სადაც ბაჰრამს ეჭირა ჯამი,
დღეს ტურა ჰკივის, ხედავ, როგორ იცვალა უამი?
ჰე, იმ ადგილას, სანადირო რომ ჰქონდა ბაჰრამს,
დღეს მინას დარჩა სანადიმოდ ბაჰრამის გვამი.

* * *

საცოდავია, ვისაც ტრფობის ჭირი და სნება
არ განუცდია, არ ჰქონია ამისგან ვნება.
ვისაც ამქვეყნად უცხოვრია უსიყვარულოდ,
მე ვცხოვრობდიო, ამისი თქმის არა აქვს ნება.

* * *

არც სინაგოგა, არც მეჩეთი, არც ეკლესია,
არ მნამს არცერთი, მათი გმობა ჩემი წესია!
მე არც სამოთხის იმედებით მოვსულვარ ქვეყნად,
არც ჯოჯოხეთის მოლოდინით დამიკვნესია.

**ნიზამი განჯელი
(1141-1209წწ.)**

* * *

ნუ იმსახურებ ნურასდროს
შაჰის ჯარსა და დივანში,
გული შაჰისკენ ნუ გინეფს,
ცეცხლი ნუ გიძევს თივაში!
თბილია მეფის სასახლე,
მნათობნი მისი ნათობენ,
მანაც გახსოვდეს, მეფის კარს
არ გაეკარო სათოფედ!
შეხედე ბეჩავ ფარვანას –
ეს მცნება რომ არ დაიკვა,
სანთლის აღს გაეთამაშა,
დაითუთქა და დაინვა.
მნდევ, ხედავ? სუნთქვა გაჭირდა,
ამდენმა დარდმა დამადნო,
ლეთის მადლსა, ცოტა დამისხი,
საქმე მიქენი სამადლო
ვინ იცის, იქნებ დამიხსრეს
მაგ თეთრი ღვინის ბადაგით
გული დარდსა და ვარამში
უღვთოდ ნანვი და ნადაგი.

* * *

კარგია მოგზაურობა,
მით უფრო უცხო მხარეში,
შორეულ გზებზე ყიალი,
შორეულ გზებზე თარეში.
მოივლი ცას და ქვეყანას,
რას არ ნახავ და გაიგებ,
სად არ გაათევ ღამეებს
და ნაბადს სად არ დაიგებ.
გაიგებ, სად რა აცვიათ,



ვის რა ადათი ჰქონია,
მრავლის მნახველი იქნები
და ეს კარგია მგონია.
მაგრამ თუ ჩაუკვირდები,
სიმართლე გამოვლინდება:
მხოლოდ მამულში ეწევა
კაცი ვვირგვინს და დიდებას
შენს სამშობლოში იცხოვრო
ჭირსა თუ სიმწუხარეში,
გერჩიოს, ვიდრე განცხრომით
მეფობდეს უცხო მხარეში.

* * *

ამოა სიტყვა კაცისა,
მაგრამ არ ვარგა მოჭრილი
სიტყვა მოქნილი სჯობია,
მოკლე სხარტი და მოჭრილი.
სიტყვა თუმც წყაროს წყალსა ჰგავს,
ზოგი ამოად ირჯება, –
ბევრი ჭიჭყინით გაგვყიპავს
და გული მოგვეყირჯება.
ცოტა თქვი, მაგრამ კარგად თქვი,
ვით მარგალიტი ჭიოტა.
რა დაუდგება კარგ ნათქვამს,
თუ ხალხში ერთხელ იოტა.
ბევრს თუ იყბედებ, მოსმენის
დაგეკარგება ხალხისი,
მარგალიტი გაქვს, გგონია,
თურმე გქონია ალიზი.
კოპწია კონა ვარდისა
თავისი ქორთვა ქათიბით,
თივას ყოველთვის სჯობია,
თუნდ იყოს მთელი სათიბი.

* * *

ცხოვრებაში თავს გველივით
ნუ წამოჰყოფ, შენ იცოდეს,
თორემ ტალღა თავს წაგაწყვეტს
და კაცი არ შევიცოდებს!
თუნდ შეიდთავა დევიც იყო,
დიდხანს როდი დაგაცლიან
და ლამაზად შეიდივე თავს
თითო-თითოდ წაგაცლიან.
განა რაა ქედმაღლობა,
რომ იმისთვის გაისარჯო,
ჯერ ამოად დაიხარჯო
და მერე კი დაისაჯო?!
ნურც ძალიან იბლინძები,
თორემ გელის მეტი დარდი:
მინას მწარედ დაასკლები,
თუ მალლიდან ჩამოვარდი.
თავზე მტვერი დაიყარე,
ნუ აიკვლ მთა და ბარი
და იყავი, როგორც მინა
მდიდარი და თავმდაბალი.

* * *

იქნება არც კი იცოდეს,
ჩემო დილაჲ და რიჟრაჟო,
რომ სიტყვის ზვირთებს ვაზვირთებ
და ჩანჩქერით ვგიჟმარებ,
რომ ოქრომჭედელს ვგავარ და
ოქროპირი ვარ თავადა.
ვინც ჩემი ლექსი ისმინა,
ნამეხარით დავარდა.
თუ გინდა გულით დაიპყრო
ღვთისნიერ კაცთა გულები,
შენი ოქრო და ფულები
უმაქნისია სრულებით.
არ შეიყვარო ოქრო და
არ დაიღუპო თავადა.
ოქრო ზინათად თუ ვარგა,
მოსაკაზმ-მოსართავადა.
ის, ვინც ოქროებს ინახავს,
ვერ მოისვენებს წამითაც,
ფულებზე ვიძით სულს დაღვეს,
ქურდთაგან შიშის ჭამითა.
ბევრი ფული და ქონება
ბევრი ჯავრი და ჭირია.
ცოტა ქონება იკმარე,
ცოტა ნუხილი სჭირია.

* * *

ამოა სიტყვა კაცისა,
მაგრამ არ ვარგა მოჭრილი.
სიტყვა მოქნილი სჯობია,
მოკლე, სხარტი და მოჭრილი.
სიტყვა, თუმც წყაროს წყალსა ჰგავს,
ზოგი ამოად ირჯება, –
ბევრი ჭიჭყინით გაგვყიპავს
და გული მოგვეყირჯება.
ცოტა თქვი, მაგრამ კარგად თქვი,
ვით მარგალიტი ჭიოტა,
რა დაუდგება კარგ ნათქვამს,
თუ ხალხში ერთხელ იოტა.
ბევრს თუ იყბედებ, მოსმენის
დაეკარგებათ ხალხისი.
მარგალიტი გაქვს გგონია,
თურმე გქონია ალიზი.
კოპწია კონა ვარდისა,
თავისი კოხტა ქათიბით,
თივას ყოველთვის სჯობია,
თუნდ იყოს მთელი სათიბი.

* * *

როცა დიადი არა ხარ,
მისმინე, ნუ ხარ ზვიადი,
დიადის ადვილს ნუ ეძებ,
როცა არა ხარ დიადი.
თუ სიდიადე გენება,
არ გაჭრის მართო ქენება,
წინაპრებს ეცი ჰატივი,
იცოდეს მათი ხსენება.

* * *

მართლაცდა რაა სანუთრო,
რომ მისი ქება გაჭირდა?
უნდა ეცადო, მაგ ცბიერს
გაუსხლტდე მაცდურ კლანჭიდან.
ნუთისოფელი ხე არი,
ოთხფესვა და ექვსტოტება,
ჩვენ ამ ხეზე ვართ ჯვარცმულნი
და გვმართებს მისგან ოტება.
როდესაც ჭირხლი წამოვა,
ქარი უბერავს ცივია,
ცვივიან ჩვენი ფოთლები
და სულ ცვივიან, ცვივიან.
ნუთუ ამ ბაღში მოესულვართ
მართლა მნახველთა დარადა,
არა და კაცი ვერ ვნახე,
რომ აქ ეცხოვროს მარადა.
ამ წალკოტს მუდამ ასხია,
ტოტიც გაცლილი როდია.
ასეა: ერთნი მიდიან
და მეორენი მოდიან.
არა არის რა ამქვეყნად
ღირდეს შოვნად და ოხვრადა:
ჩვენ წავალთ მოუსავლეთში,
ის კი დაგვრჩება ოხრადა.

* * *

კარგია მოგზაურობა,
მით უფრო უცხო მხარეში,
შორეულ გზებზე ყიალი,
შორეულ გზებზე თარეში.
მოივლი ცას და ქვეყანას,
რას არ ნახავ და გაიგებ,
სად არ გაათევ ღამეებს
და ნაბადს სად არ დაიგებ.
გაიგებ, სად რა აცვიათ,
ვის რა ადათი ჰქონია,
მრავლის მნახველი იქნები
და ეს კარგია მგონია.
მაგრამ თუ ჩაუკვირდები,
სიმართლე გამოვლინდება:
მხოლოდ მამულში ეწევა
კაცი გვირგვინს და დიდებას
შენს სამშობლოში იცხოვრო
ჭირსა თუ სიმნუხარეში,
გერჩიოს, ვიდრე განცხრომით
მეფობდე უცხო მხარეში.

ჯელალ ედ-დინ რუმი
(1207-1273წწ.)

* * *

დღე ამას ვდარდობ, შუმი და სადა,
ღამით ფიქრები ამიდის ცადა, –
რატომ არ ვიცი, ვინ ვარ და რა ვარ,

ასე რეგვენი რადა ვარ, რადა?
რაისთვის მოველ ამ ქვეყანაზე,
აქეთ ვინ მხადა, ან რატომ მხადა,
საით მომინევს აქედან წასვლა,
სამკვიდრო ჩემი სად არის სადა?
მიკვირს და მიკვირს, რატომ დამბადა,
ამ ქვეყანაზე ვინც მე დამბადა
და თუ დამბადა, რატომ დამფერფლა,
ამქვეყნად მოსვლა ღირდა კი ანდა?
ბარგი-ბარხანა ავიკრა უნდა,
გასამგზავრებლად რომ ვიყო მზადა,
იმქვეყნად მივალ, ამქვეყნად ყოფნის
გავიდა ყველა ყავლი და ვადა.
ნეტავი იმ დღეს, შენს შესაყრელად,
როცა ვიქნები გასული გზადა!
ნეტავი იმ დღეს, საიმნექტარო
უკვე აღმძრა აქედან მადა!
ვინ არის ის, ვინც მომაჰყრა სმენა
კაცს გადაქცეულს მღერად და ხმადა?
გზა საით მიძევს, არაფინ მითხრა,
ქვეყნად ჰატივი არაფინ მცა და,
თავად უმწეო გონებამ ჩემმა
შერცნობა მისი ამაოდ სცადა.
დამათვრე ღვინით, დამათვრე ღვინით,
რომ გაღეშილმა ვთქვა: „მიდი ჰკა! და
მარადისობის დილეგის ბჭენი
წიხლების ცემით დავლენო მთლადა.
აქ ნებით ჩემით როდი მოვსულვარ,
ან როდი დავალ ბარად და მთადა,
ვინც მომიყვანა, წაყვანად მოვა,
ვითა მთესველი – თავთავთა მკადა.
თუ არ ვსვი ღვინო, როგორ ვიმღერო?
რომ დავლევ მყისვე ვიქცევი სხვადა.
ლექსის სათქმელი ენა მიშრება,
მასვი, ლექსები ვადინო ზღვადა!
ეჰ, შამსე თაბრიზ, ოლონდ მეჩვენე,
ოლონდ გამეცი შორიდან ხმა, და
მზად ვარ, ეს მძორი, დავაგდო აქვე,
დრო დადგა, ხანჯლის მოვსინჯო ვადა.

საადი შირაზელი
(1203-1292წწ.)

* * *

ეს სანუთრო, ჩემო ძმაო,
სხვას ვის დარჩა, შენ რომ დაგრჩეს?!
მე შენს საშველს აქ ვერ ვხედავ,
მიეკედლე ისევ გამჩენს!
როგორ გინდა, სოფელს ენლო,
ამ სოფელმა, იცი, როცა
შენისთანა ბევრი ზარდა,
მაგრამ ყველა ამოხოცა.
სული გაყრას რომ დავინწყებს,
რა აზრი აქვს მაშინ ვინ ხარ,



სახელმწიფო ტახტზე ზიხარ,
თუ მათხოვრად მტვერში გდიხარ.

* * *

ხომ დაგინახავს, ღამღამობით
მინდვრად და ველად
ნაპერნკალივით რომ დაეღავს
ციცინათელა?

–ციცინათელა, ღამით მნათო, –
ვიღაცამ ჰკითხა, –
რატომ არის რომ არ გამოხვალ
მინდორში დღითაც?

შეხე, ამ შუქის მქონებელმა
მწერმა პატარამ

როგორ მიუგო და ბრძენს თავი
როგორ აღარა:

–მე ამ მინდორში როგორც ღამით,
დღისთაც ველავ,
მაგრამ მზის შუქზე მიხუნდება
უნარი ყველა.

* * *

შეიყვარე ორი ვინმე,
შვილო, აი, ჩემი რჩევა:
ვისაც ღმერთმა დააკისრა
კალმის მოსმა და ხმლის ქნევა.

ო, ამ ორი კაცის მიმართ
ნუ იქნები გულით მკაცრი,
გნამდეს ხმალი და კალამი
და ხმლისა და კალმის კაცი!
ვინც საომრად ხმალს არ ფერავს
და საწერად კალამს არ თლის,
რომ კვდებოდნენ, ახიც არის,
არ ინაღვლო, შვილო, მათი.

ვაუკაცური იარაღი
მათი მეტად ბასრი არის,
აბა, მუტრიბს რას გაუგებს,
ქალია თი კაცი არის!

* * *

ძალღს თუ ერთხელ ძვალს გადუგდებ,
ახსოვს მისი გემო,
იმ ამავს არ დაგივიწყებს,
შემდეგ თუნდაც სცემო.
და კაცი კი, ზოგი კაცი,
რომ გადაჰყვე თანაც,
სულ პატარა წყნის გამო
გულს გაგიყრის დანას.

ჰატეში შირაზელი
(1325-1390)

* * *

გაზაფხულია, მოდი მწვანეზე,
გავიხალვათოთ, რა დროს რიღია!
აქ დაჯდომას და შექცევას რა სჯობს, –
აქ სადღაც ახლოს ღვინოს ჰყიდიან.
ხომ ნახე უკვე წუთისოფელი
რარიგ ბილწი და რარიგ ფლიღია,
დრო ცოტა დაგვრჩა, მოვასწროთ თორემ
ცოტა გვახაროს, ისიც დიღია.
საწუთროს ნუ სწუხ, მასზე ვინუხოთ, –
ეგ ჩვენი გზები საით მიდიან,
ხვალ რა მოგველის, არავინ ვუწყით, –
სიცოცხლე ჩვენი ბენგზე ჰყიღია.

* * *

ირიჟრაჟა! მერიქიფევე,
მომანოდე ღვინის ჯამი,
ჩქარა, თორემ ეს საწუთრო
არ დაიცდის ერთი წამიც!
ჩქარა, თორემ ეს სიცოცხლე
გაფრინდება, გაიქცევა,
ჩვენ წაუიქცეთ მანამ, სანამ
დედამინა დაიქცევა.
ალისფერი ღვინო მოსჩქეტს
ამ დალოცვილ დოქიდანაც,
აღე, თუ გსურს გაიხარო,
ძიღმა რალა მოგიტანა!
ვინც აქ ვლოთობთ, ყველა წავალთ,
ისევე ველარ წამოვდგებით.
ჩვენგან დოქი გააკეთეთ,
ღვინის ჭურჭლად გამოვდგებით.
უკვე თავი მოგვაბეზრა
ღვთისმოსავთა დარიგებამ,
ჩქარა ღვინო ჩამოგვისხი,
ჩქარა მორჩი ჩარიგებას!
ჰათეშ, ჭკუას მიტომ გიქებ,
ღვინის ჯამს რომ ეტანები,
მაშ, დალიე ტკბილი ღვინო
და აღივსე ნეტარებით.

* * *

მემთვრალეთ აუგს ნუ იტყვი,
განდიგილ მამას ამას გთხოვ,
განა თქვეს შენზე, მემთვრალეთ –
ცოდვა მოგვითხოთ ამასო?
შენ რას დაეძებ, მე რა ვარ,
რას სდევ მართალს და მრუდესა?
სუყველამ იგი მოიმკას,
მას რისი თესლიც უთესავს!

სპარსულიდან თარგმნა მაგალი თოდუამ

თამარ აბულაძე - „შაჰ-ნამეს“ დასთანები სპარსულ ხელნაწერთა შუა აზიურ კოლექციაში



ფირდოუსის „შაჰ-ნამე“ უდიდესი გავლენა იქონია ირანისა და მთელი აღმოსავლეთის კულტურულ-ლიტერატურულ პროცესებზე. საუკუნეთა განმავლობაში, XI საუკუნიდან მოყოლებული, პოემა ივსებოდა ჩანარებითა და ინტერპოლაციებით. იქმნებოდა მისი პროზითი და ლექსითი ვერსიები, ცალკეულ ეპიზოდებზე, პოემის გმირთა ციკლებზე, ძირითადად კი, მითოლოგიურ და საგმირო ნაწილებში შემავალ ეპიზოდებზე დამყარებული მხატვრული თხზულებები, მათ შორის, ქართული ვერსიებიც, რომლებიც აღორძინების ხანას, XVI – XVIII საუკუნეებს განეკუთვნება.

პოემის ინტერპოლაციები, ძირითადად, XI-XII საუკუნეებშია შექმნილი. მოგვიანებით კი (XV-XVII სს.) ჩნდება „შაჰ-ნამეს“ დამოუკიდებელი ვერსიები, რომელთაგან ზოგიერთი უშუალოდ ფირდოუსის თხზულებიდან მომდინარეობს, ნაწილი კი ფოლკლორულ და ზეპირ გადმოცემებს - დასთანებს უკავშირდება. უნდა აღინიშნოს, რომ, უმეტეს შემთხვევაში, არ არსებობს ამ ვერსიათა კრიტიკული გამოცემები, რაც ართულებს ტექსტების გამოყოფას ძირითადი ტექსტისგან, თუ ისინი ჩართულია პოემაში და მათი, როგორც ცალკეული ვერსიების, იდენტიფიკაციას.

პოემის ვერსიების, ისევე, როგორც თავად ფირდოუსის თხზულების ცენტრალური ფიგურა სწორუპოვარი ფალავანი როსტომია. მისი და, ასევე, მისი წინაპრებისა (საამის - როსტომის ბაბუის, ზაალის - როსტომის მამის) და შთამომავლების (სოჰრაბის და ფარემორზის, ბარზუს - როსტომის შვილიშვილის) გმირობის

ამსახველი ეპიზოდები უკავშირდება სისტანის ციკლის ეპოსს, რომელიც, თავის მხრივ, სათავეს იღებს ახალი სპარსული მწერლობის ადრეული პერიოდით დათარიღებული სისტანის ლოკალური ისტორიის ამსახველი პროზითი ვერსიებიდან („თარხ-ე სისტან“ და „იაჰია აღ-მულუქ“ (Gazerani 2015: 30-31). ამ მდიდარი ნარატიული მასალიდან ფირდოუსი მხოლოდ ნაწილს იყენებს. „შაჰ-ნამეს“ ვერსიების ავტორები კი, უმეტესად ანონიმები, ძირითადად, ამ ციკლს ეყრდნობიან და განავრცობენ მას ახალ ფორმატში („შაჰ-ნამეს“ მოთეყარების მეტრში). ამ რიგის პოემებს „მეორად ეპოსს“, ასევე, „გვიანდელ ეპოსს“ უწოდებენ. სისტანის ისტორიასთან დაკავშირებული ეპიკური თხზულებები, დაჯგუფებული ამავე ტიპის სხვა პოემებთან, „სპარსული ეპიკური ციკლის“ სახელითაა ცნობილი (Van Den Berg 2012: 18). ამ რიგში შედის: „ბარზუ-ნამე“ - „შაჰ-ნამეს“ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ჩანართი თუ დამოუკიდებელი თხზულება როსტომის შვილიშვილის გმირობებისა და ცხოვრების შესახებ, რომელიც გავრცელებული მოსაზრებით XI საუკუნეშია დაწერილი¹ და „სამ-ნამე“ - გერშასპის შვილიშვილის, ზაალის მამისა და როსტომის ბაბუის, დაუმარცხებელი სისტანელი ფალავნის, სისტანის (ზაბულისთანის) მმართველის ცხოვრების ეპიზოდების ამსახველი ტექსტი.

პოემის ვერსიებისა და მასთან დაკავშირებული თხზულებების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს სპარსული ხალხური დასთანები წარმოადგენს. ეს არის ხალხური თხრობა, სათავგადასავლო, რომანტიკული, დიდაქტიკური ამბები, ხშირად „ხალხურ წიგნებად“, „ხალხურ რომანებად“ გაერთიანებული; ასევე, ცალკეული, უკვე არსებული ფოლკლორული და ლიტერატურული წყაროებისა და თქმულებების ციკლიზაციის შედეგად შექმნილი ზეპირი, ან დროთა განმავლობაში ლიტერატურულ თხზულებებად

¹ ამ სიუჟეტის გვიანდელი, დასთანებიდან მომდინარე, ვერსიები ფართოდაა გავრცელებული ცენტრალურ აზიაში (Paksoy 1955).

გაფორმებული ნაწარმოებები (Бертельс 1960: 239). მათში საგრძნობია ზღაპრულ-საგმირო ეპოსის ტრანსფორმაციის შედეგად შექმნილი უძველესი ირანული ეპიკური სტადიების კვალი (ქაიუ-მარსის, ჯემშიდის, ფერიდუნის, როსთამის გმირობებთან დაკავშირებული თქმულებები) (Мелетинский 1963: 443).

დასთანების ჟანრი გვიანდელი ფენომენია, რომელიც წარმოადგენს ინდივიდუალური და ხალხური შემოქმედების ნაზავს. მათ კითხულობდნენ პროფესიონალი მთქმელები, მთხრობელები. ეს ინსტიტუტი ირანში უძველესი დროიდანაა ცნობილი. ეს იყო ხშირად კლასიკური ჰანგებით შეზავებული წარმოდგენები, რომლებიც იმართებოდა ქუჩაში, ყავახანაში, ქარვასლაში, ბაზარში, ზოგჯერ შაჰის კარზეც. მაგალითად, ცნობილია შაჰ-აბას I-ის პირადი ყისახანი მოლა ბიხუდი ჯონაბადი (მოჰამედ თაჰერ ნასრაბადის “თეზქერეს” მიხედვით), რომელიც ისევე, როგორც იმდროინდელი სხვა მთქმელები, ძირითადად, „შაჰ-ნამეს“ ამბებს კითხულობდა (გვახარია 1973: 48-49, 79). ზეპირი ეპოსის ჟანრი უაღრესად პოპულარული იყო სპარსულენოვან და თურქულენოვან ხალხებში, მთელ ახლო აღმოსავლეთში (Chadwick, Zhirmundsky 2010: 315-316).

ჟანრულად მრავალფეროვანი და მრავალგვარ წყაროზე დამყარებული დასთანების მთქმელთა/ მკითხველთა რეპერტუარი ძალიან ფართო იყო. არსებობდა მოკლე კონსპექტები, ასევე, მდიდრულად გაფორმებული, მინიატურებით შემკული, ვრცელი ხელნაწერები და ხმარებისაგან გაცვეთილი ნუსხებიც, რომლებითაც სარგებლობდნენ მთხრობელები, გადმომცემები და სხვ. (Борщевский 1963: 18).

„შაჰ-ნამე“ თავისი წყაროებით, გარკვეულწილად, წერილობით ძეგლებთან ერთად დაკავშირებულია ზეპირ შემოქმედებასთანაც, მათ შორის, ზემოთ ჩამოთვლილ თქმულებებთან. თავის მხრივ, პოემა იქცა სათავედ არაერთი გადამუშავებისა, რომლებიც შემდგომ, XVI საუკუნიდან, სპარსული ხალხური დასთანების

განვითრების მეორე პერიოდში, საფუძვლად დაედო სეფიანთა ხანის და შემდეგი დროის ყისახანების (მთხრობელების) რეპერტუარში შემავალ დასთანებს. (გვახარია 1973: 79-80).

ამრიგად, „შაჰ-ნამეს“ ინტერპოლაციები და მის თემატიკაზე შექმნილი დამოუკიდებელი თხზულებები თუ ვერსიები ემყარება როგორც



წერილობით, ისე ხალხურ გადმომცემებს². ამ მრავალი შრის შემცველ მასალაზე იქმნება დასთანები, ზეპირი ეპოსი - თხრობის სრულიად განსაკუთრებული, კომპლექსური ვარიანტი. ხშირ შემთხვევაში, მთხრობელების მიერ გამოყენებული ტექსტი ხელნაწერების სახითაა შემონახული, რომლებიც ილუსტრირებულია და ასახავს „შაჰ-ნამეს“ მხატვრული რეპერტუარის გავრცელებულ სიუჟეტებს.

ერთ-ერთი ასეთი ნუსხაა კორნელი კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სპარსული კოლექციის შუააზიური ხელნაწერი PAC- 462. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ხელნაწერმა მოიცვა ფირდოუსის პოემის და, ზოგადად, დასთანების მთელი თავისებურებები, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

ხელნაწერი XIX ს.-ის I ნახევრისაა; შეიცავს 337 ფურცელს; ნაკლულია; გადაწერილია ნასთალიყით სქელ ლურჯ ქაღალდზე; ტექსტში ჩართულია 61 მინიატურა.

ჩვენი ხელნაწერი ბევრი კომპონენტით ავლენს მსგავსებას სომხეთში, მატენადარანში დაცულ

² ამ ტიპის ინტერპოლაციები, ძირითადად, განიცდის ორი სახის ტრანსფორმაციას: 1) დე-კონტექსტუალიზაციას, როდესაც ორიგინალური ტექსტი ნაწილობრივ ან მთლიანად იცვლება, თუმცა, თავად

ციტატები პოემიდან უცვლელი რჩება; 2) შეცვლა/ჩანაცვლება, როდესაც ციტატებიც იცვლება ფაბულის შესაბამისად (Rubanovich 2015)

„შაჰ-ნამეს“ ერთ სრულ ნუსხასთან, რომელიც შეიცავს ილუსტრირებულ „ბარზუ-ნამეს“ (მატენადარანი, არაბულ-სპარსული ფონდი, # 535). ამის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ PAC-462-ის მინიატურებზე მსჯელობისას. მატენადარანის ხელნაწერი ფათჰ-ალი ხანის პერიოდით (1797-1834წწ.), 1830 წლით თარიღდება. ვფიქრობთ, ჩვენი შუაზიური ხელნაწერიც ამ ეპოქაშია შექმნილი, რაზეც მიუთითებს ხელნაწერის სტრუქტურა, გაფორმების სტილი, ილუსტრაციები³.



ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის შუაზიური სპარსული ხელნაწერების აღწერილობაში მითითებულია, რომ ხელნაწერი, სავარაუდოდ, „როსტომ-ნამეს“ წარმოადგენს (კატალოგი 1977: 106). პირველად კატალოგში (დავთარში) აღნიშნული ნუსხა „შაჰ-ნამეს“ პროზით ვერსიადაა მიჩნეული. 2005 წელს სპარსულ ენაზე გამოიცა სეიფულა მოდაბბერისა და მაია მამაცაშვილის მიერ შედგენილი სპარსულ ხელნაწერთა PAC კოლექციის აღწერილობა, რომელშიც PAC-462 ნუსხაში შემავალ თხზულებად „როსტომ-ნამე“ – „პოემის გამოკრებილი დასთანები“ - მითითებული (აღწერილობა 2005: 222-223).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს „დასთანის“, როგორც ტერმინის, პოლისემურობა: დასთანებს უწოდებენ ცალკეულ ეპიზოდებს ეპიკური თხზულებებიდან, აგრეთვე ავტორისეულ პოემებს, ლეგენდებს, თქმულებებს, ფოლკლორულ ნიმუშებს. ს. მოდაბბერისა და მაია მამაცაშვილის აღწერილობაში მითითებული დასთანები გულისხმობს „შაჰ-ნამეს“ ცალკეულ ამბებს და არა

ქანრს. ჩვენ ვიყენებთ აღნიშნულ ტერმინს „ხალხური წიგნების“ მნიშვნელობით. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ხელნაწერში შემავალი ტექსტის სამივე დასახელება, გარკვეულწილად, სწორად მიუთითებს თხზულების რაობას, არცერთი მათგანი არ არის ამომწურავი. საჭიროა გარკვეული დაზუსტება.

ტექსტი წარმოადგენს პროზას, რაც, დამახასიათებელია დასთანებისათვის, რომლებიც, ძირითადად, პოეტური ვერსიების პროზად გარდაქმნა, თუმცა, ხშირია ლექსნარევი, რიტმული პროზა. ის დასთანები, რომლებიც ლექსადაა, სავარაუდოდ, პროზითი ვერსიების შემდგომი გალექსვის შედეგადაა შექმნილი (გვახარია 1973: 79).

ტექსტში მეტ-ნაკლები სისრულითაა გადმოცემული „შაჰ-ნამეს“ ეპიზოდები პოემის მითოლოგიური ნაწილიდან, დაწყებული ჯემშიდის თხრობიდან, დამთავრებული ბარზინის და ბაჰრამ გურის ეპიზოდით. სიუჟეტი ხშირად არ არის თანმიმდევრული და სცდება „შაჰ-ნამეს“ ძირითად ქარგას. როგორც ჩანს, ტექსტის შემდგენლისათვის, რომელიც მიჰყვება უშუალოდ ყისახანის თხრობას, უმთავრესი კონკრეტული გმირების ამსახველი ეპიზოდების გადმოცემა და არა მათი ზუსტი თანმიმდევრობის დაცვა. მართალია, ტექსტის ცენტრალური ფიგურა როსტომია და დანარჩენი ამბები, ძირითადად, მის ირგვლივ ვითარდება, როგორც თავად „შაჰ-ნამეში“, მაგრამ ტექსტი მაინც აღრეულია, მაგალითად, საამის ნაწილი არაერთხელაა გახლეჩილი და ხშირად უადგილოდაა ჩართული, ისევე, როგორც ბარზუსთან დაკავშირებული ეპიზოდები.

როგორც გაირკვა, „შაჰ-ნამეს“ ძირითად ტექსტთან შედარებით, ხელნაწერში ბევრად მეტია მოთხრობილი როსტომის შვილიშვილის, ბარზუს შესახებ, რაც მოიცავს მის აღზრდას ირანის სამტროდ დაპირისპირებულ თურანში, შემდეგ მის ბრძოლებს ირანელ ფალავნებთან, მის დატყვევებას, როსტომთან სამ შეხვედრას და ბარზუს დედის მიერ მის გადარჩენას, როდესაც იგი როსტომს უამბობს, რომ ბარზუ მისი შვილიშვილი, მის მიერ ტრაგიკულად მოკლული

³ მატენადარანის ხელნაწერის, მისში ჩართული „ბარზუ-ნამეს“ ილუსტრაციების შესახებ იხ.: *Амирбекия* 1999.

სოკრატის შვილია. ტექსტი მიჰყვება უშუალოდ „ბარზუ-ნამეს“ და, ვფიქრობთ, მისგან მომდინარეობს.

„ბარზუს წიგნი“ ჩართულია „შაჰ-ნამეს“ ერთ-ერთ ქართულ ვერსიაში, გალექსილ „როსტომიანში“. ტექსტი გამოცემულია (ქართული ვერსიები 1934) და ემყარება A რედაქციას, რომელიც სამ ხელნაწერშია დაცული: A-858, S-428, S-1504. წუსხები XVII-XVIII სს.-ებისაა. ბარზუს ეპიზოდები ცალკე წიგნად ამ ვერსიაში არ არის გამოყოფილი, ისინი მოთავსებულია როსტომის აქვან დევთან შერკინებისა და ბეჟან-მანიჩეს ეპიზოდებს შორის. „ბარზუ-ნამეს“ ჩანართები ფირდოუსის პოემის სპარსული ტექსტის ძირითად ნაწილშიც სწორედ ბეჟან-მანიჩეს რომანტიკულ ამბავს უძღვის, თუმცა წინა ეპიზოდები სხვადასხვა ვერსიების მიხედვით. ქართული ტექსტი მოიცავს „გულოვანი ბარზუს“ ბრძოლებს ირანელ ფალავნებთან – ფარემურზთან და ტუსთან, მის მიერ ამ გამირების შეპყრობას, როსტომის მიერ მათ გამოხსნას, თურანის მმართველის -აფრასიობისათვის ამ ამბის შეტყობინებას, ბარზუსა და როსტომის სამ ბრძოლას; მესამე შებრძოლებისას ბარზუს დედის მოსვლას. ამ ვერსიაში, განსხვავებით აღნიშნული სპარსული ინტერპოლაციისა, არ არის ბარზუს სიკვდილის სცენა. იგი მოთავსდება ნადიმით როსტომთან და მის წინაპრებთან.



PAC-462- ში შემავალი საამის ეპიზოდები „საამ-ნამეს“ უნდა უკავშირდებოდეს, თუმცა ძნელი სათქმელია, საიდან მომდინარეობენ ისინი - „საამ-ნამეს“ ვერსიიდან თუ პოემის ჩანართიდან. ჩვენ არ გვქონდა საშუალება შეგვესწავლა „საამ-

ნამეს“ სპარსული ტექსტი, თუმცა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში სტუმრობისას, „შაჰ-ნამეს“ ცნობილმა მკვლევარმა, პოემის საერთაშორისო პროექტის ხელმძღვანელმა ჩარლზ მელვილმა მთელი ხელნაწერი „საამ-ნამედ“ მიიჩნია, რასაც ვერ დავეთანხმებით, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ტექსტის მნიშვნელოვანი ნაწილი „ბარზუ-ნამეს“ თხრობას მიჰყვება. საამის ამბები კი, სავარაუდოდ, „საამ-ნამეს“⁵.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ფირდოუსის პოემის გამირთა ეპიზოდებზე შექმნილი დასთანების ტექსტებში შეუძლებელია მათი წყაროების მკვეთრი გამოიჯნვა, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ეს ზეპირი ეპოსია, დამყარებული წერილობით და ფოლკლორულ მასალაზე, როგორც გარკვეულწილად თავად „შაჰ-ნამე“.

ხელნაწერში ფირდოუსის სახელი საგანგებოდ, წითელი მელნითაა გამოყოფილი; ასევე, სიტყვები *ყისსა (გადმოცემა, თხრობა), ბეით (სალექსო სტრიქონი) და ნაზმ (ლექსი)*. განსაკუთრებით ხაზგასმულია და პერიოდულად მეორდება – *ყისსა გადმოგვეცემს, ყისსა მოგვითხრობს* და ა. შ. გამოყოფლია შინაარსობრივად მნიშვნელოვანი მომენტებიც. ტექსტი წარმოადგენს ლექსნარევ პროზას, რომლის ბოლო ნაწილში სალექსო ჩანართები უფრო ბევრია.

ნუსხაში ზოგიერთი გვერდი არასწორადაა ჩაკინძული (შებრუნებულია), ერთ გვერდზე (213 r) ტექსტი წადმაა, მინიატურა კი უკუღმაა ჩაკრული. ზოგან მინიატურა არ შეესაბამება ტექსტის შესაბამის მონაკვეთს.

როგორც აღვნიშნეთ, ტექსტში 61 მინიატურაა, თუმცა მათი მიმდევრობა არეულია. როგორც ჩანს, ტექსტის გადამწერი და მისი ილუსტრატორი ცალ-ცალკე მუშაობდნენ ნუსხაზე, რაც ხშირად ხდება სპარსულ ხელნაწერებში. ყოველ მინიატურას აქვს განმარტებითი წარწერა.

ხელნაწერში წარმოდგენილი ილუსტრაციები, უმრავლეს შემთხვევაში, სიუჟეტის კონკრეტული ეპიზოდების დადგენილ დასურათებას მიჰყვება, კერძოდ: ზოჰაქის შიათანთან გასაუბრება, ფაქტიურად, ყველა ბატალური სცენა თუ შერკინება, დევებთან ბრძოლების ამსახველი

⁴ „ბარზუ-ნამეს“ ძველი და ახალი ვერსიების შესახებ იხ. რავშან რაჰმონის სტატია კრებულში: Melville 2012:

291-302. აქვეა მოტანილი ამ თხზულების დეტალური შინაარსი თავების მიხედვით.

⁵ ეს ეპიზოდები ქართულ ვერსიებში ან ცალკეა თავმოყრილი, ან „როსტომიანში“ ჩართული.

ილუსტრაციები, რომანტიკული სცენები (როს-
თამი და თაჰმინე, ბეჟანი და მანიჟე და სხვ.).

ზოგიერთი ილუსტრაცია მხოლოდ კონკრეტული თხზულებისა თუ ჩანართისთვისაა დამახასიათებელი, მაგალითად, როსტომისა და ბარზუს ბრძოლის ამსახველი მინიატურა, რომელსაც შეაჩერებს ბარზუს დედა და ამცნობს როსტომს, რომ ბარზუ მისი შვილიშვილია. ეს მინიატურა მხოლოდ „ბარზუ-ნამესთვისაა“ დამახასიათებელი (სურ 1).

მინიატურა ინდური ტიპისაა, კომპოზიციის ქვედა ნაწილში მასშტაბურად გამოსახული გმირებით. ბარზუ წევს, სახეზე ტანჯვის კვალი ამჩნევია, რაც შექმნილი წარბეითაა გადმოცემული. წვეროსანი როსტომი დახრილია და ხელში მოკლე დანა უჭირავს, რომლითაც უნდა განგმიროს ბარზუ. მარჯვნივ შაჰრუს გამოსახულებაა, რომელიც ცდილობს როსტომის შეჩერებას. ფიგურები შუქ-ჩრდილების მოდე-
ლირებითაა გადმოცემული, რისთვისაც გამოყენებულია შავი ფერის საღებავი და ძირითადი ფონისგან განსხვავებული უფრო მუქი ფერები. მთელი კოლორიტი აგებულია ყაჯარული მინიატურისათვის დამახასიათებელი მკვეთრი, კონტრასტული ფერების და ნიუანსების აქცენტირებით. ამას ხაზს უსვამს გმირთა ჩაცმულობა, რომლის გამოსახვისას ჭარბობს ყვითელი, ფორთოხლისფერი, ცისფერი და მოწითალო ფერები.

ხელნაწერის სხვა მინიატურები, როგორც აღვნიშნეთ, „შაჰ-ნამეს“ ილუსტრირების მიღებულ რეპერტუარს წარმოგვიდგენს. მოვიტანთ რამდენიმე მინიატურას, რომლებიც პოემის ძირითადი ტექსტის, მისი ინტერპოლაციებისა თუ ცალკეული ვერსიების გმირების ცნობილ ეპიზოდებს ასახავს: როსტომისა და შავი დევის ბრძოლა (სურ. 2), საამ ფალავნის შერკინება მოედანზე (სურ. 3), ზაალის შეხვედრა მის აღმზრდელ სიმორდთან (ფასკუნჯთან) (სურ. 4), ფარემურზისა და ჯეჰანგირის შეხვედრა (სურ. 5).


სპარსული ხელნაწერების შუაზიური კოლექციის ხელნაწერი PAC-462 შეიცავს სპარსული დასთანის ჟანრის პროზით „შაჰ-ნამეს“, რომელშიც შედის „საამ-ნამესა“ და „ბარზუ-ნამეს“ ინტერპოლაციებისა თუ ამ პოემების ცალკეული ვერსიების საკმაოდ ვრცელი მონაკვეთები, ჩართული როსტომის ციკლის თხრობაში. ნუსხა ყაჯარული პერიოდისაა. ტექსტი წარმოადგენს ყისახანების (მთხრობელების, წამკითხველების) ტიპურ თხრობას, რაზედაც მიუთითებს თავად ხელნაწერში ჩართული ფრაზები (ყისა მოგთხრობს, ყისა გვეუბნება და ა.შ.). ნუსხის ილუსტრაციები ასახავს ფირდოუსის პოემისა და მისი გავრცობა/გავრმელებების დასურათების მიღებულ ტრადიციას.



ნიკა თარხანიძე – ყავახანებიან თანამედროვე ქაფახანები

(ირანის კულტურული ცხოვრების ისტორიიდან)

ნაწილი პირველი



ყავახანური კულტურა ირანში საუკუნეებს ითვლის და სეფიანთა პერიოდიდან (1501-1722) იღებს სათავეს. მრავალსაუკუნოვანი სპარსული კულტურის წიაღში აღმოცენებული დეკლამირების ხელოვნებაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით ყავახანებს, რომლებიც მწერლებისა და პოეტების, ხელოვანთა და წარჩინებულთა შეკრების ადგილი იყო. პოეტები აქ უზიარებდნენ ერთმანეთს იდეებს და თავიანთ შემოქმედებას აცნობდნენ მსმენელს. ყავახანები ეროვნულ ტრადიციებს ინახავდა და მომავალ თაობას გადასცემდა. აქ იცა ხელოვნებად ირანელთა „მთავარი წიგნის“ - ფირდოუსის „შაჰნამეს“ მხატვრული კითხვა („შაჰნამეხანი“). ამდენად, ყავახანები მხოლოდ გასართობი კი არა, ირანის კულტურული ტრადიციების შეხვედრისა და გადაკვეთის ადგილიც იყო.

აღსანიშნავია, რომ ყავახანები არა მხოლოდ ირანული, არამედ მთელი წინა და შუა აზიის კულტურის ნაწილს წარმოადგენს. სეფიანთა პერიოდში ირან-საქართველოს აქტიური ურთიერთობების გათვალისწინებით, ყავახანური კულტურის კვლევა ჩვენი ქვეყნის ისტორიისთვისაც საინტერესო უნდა იყოს.

XVIII-XIX საუკუნეებში, ოსმალეთის იმპერიის მარცხთან ერთად, როდესაც ევროპელები თურქულ კულტურას გაეცნენ, ყავის გემოთი და ყავახანის ატმოსფეროთიც მოიხიბლნენ. პირველი ევროპული ყავახანები ვენეციაში თურქული ანალოგიით ჩამოყალიბდა. ჩარლზ II-მ (1630 – 1685) პირადად გასცა განკარგულება ბრიტანეთში ყავახანების აშენების თაობაზე. ფრანგებმა სახელგანთქმული „სპარსული კაფეები“ ოსმალეთში, ირანსა და ეგვიპტეში ნანახის საფუძველზე ჩამოაყალიბეს. XIX საუკუნეში კი თურქული ყავის სურნელმა სწრაფად მოიცვა ევროპა. საფრანგეთის რევოლუციის დროს ახალგაზრდები კაფეს მაგიდებზე შედგებოდნენ ხოლმე და სიტყვით გამოდიოდნენ; მხატვრები ვენეციის კაფეებში პორტრეტებს ხატავდნენ; ოქსფორდის მცხოვრებლები კაფეებში შექსპირის თხზულებებს კითხულობდნენ...ეს ადგილები კი ახლოაღმოსავლური ყავახანების ანალოგიით შექმნილი და

განვითარებული ნიმუშები გახლდათ (მ. ფულავანი 2011).

ვაჰლავანთა მმართველობის (1925-1979) დროს ევროპაში განათლებამიღებულმა ახალგაზრდა ირანელებმა თანამედროვე კაფეები რეგულარული შეკრებების ადგილად გაიხადეს და, ფაქტობრივად, გააგრძელეს სეფიანთა პერიოდის ყავახანებში არსებული კულტურული ტრადიცია. ამ ახალგაზრდებს, რომლებიც გამუდმებით ფიქრობდნენ საკუთარი ქვეყნის ბედ-იღბალზე, დიდი წვლილი მიუძღვით ახალი სპარსული მწერლობის ჩასახვისა და განვითარების საქმეში.

ყავის გავრცელება და პირველი ყავახანები წინა აზიაში

ყავის ხის სამშობლოდ ეთიოპიის ერთ-ერთი პროვინცია კაფა მიიჩნევა, სადაც პირველად შეამჩნიეს ამ მცენარის მატონიზირებელი ეფექტი და მისი მოხმარება დაიწყო. სიტყვა „ყავა“ არაბული qahwa¹-დან უნდა მომდინარეობდეს, რომლის ძირი ზუსტად ცნობილი არ არის. ზოგი ავტორის მოსაზრებით, ეს სიტყვა ყავის ხის სამშობლოს სახელწოდებიდან („კაფა“) მოდის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეთიოპიაში და მის მეზობელ ქვეყნებში ყავის ხეს, მის ნაყოფსა და მისგან დამზადებულ სასმელს ხጠ-ს უწოდებენ. ეს სიტყვა იმავე ფორმით არაბულშიც დამკვიდრდა და მხოლოდ ყავის ხესა და მის ნაყოფს აღნიშნავს.

მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ qahwa-ს ძირი უნდა ყოფილიყო iqha'², რაც უმადობასა და საჭმლისადმი ზიზღს აღნიშნავს. Qahwa არაბულ ენაში ძველთაგანვე გამოიყენებოდა შავი ღვინის მნიშვნელობით, ამიტომ სრულიად შესაძლებელია, რომ სუფიზმის მიმდევრებმა, რომლებმაც პირველებმა დაიწყეს ყავის მოხმარება იემენში, ამ სასმელს სიმწარისა და სიშავის გამო qahwa უწოდეს.

დაახლოებით XVI საუკუნეში ყავა არაბეთის ნახევარკუნძულიდან გავრცელდა შუა აზიაში, სპარსეთში, ოსმალთა იმპერიაში. აქედან სწრაფად მოიკიდა ფეხი ბალკანეთსა და იტალიაში, შემდგომ კი მთელ ევროპაში და ბოლოს ამერიკაში.

როგორც რამდენიმე არაბული ლექსიდან ვიტყობთ, 1511 წლისთვის მექაში ყავას სვამდნენ და იქ ყავახანაც არსებობდა, რომელსაც baīt al-qahwa³-ს უწოდებდნენ. მექის მოსახლეობა, მათ შორის, ქალებიც ყავახანაში დადიოდნენ, ყავას მიირთმევდნენ და მუსიკის მოსმენითა და ჭადრაკის თამაშით თავს იქცევდნენ. თანდათანობით ფანატიკოსები ყავახანის მუშტრებს აუმხედრდნენ და 1511 წელს ეგვიპტის ჩერქეზი სულთნის, ალ-მალიქ ალ-აშრაფ კანსუ ღვარის მიერ დანიშნულმა მექის დარულამ, ხა'იერ ბეიგმა, შეკრიბა ისლამის სამართალმცოდნეთა ერთი ნაწილი, რათა ყავის აკრძალვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიეღოთ. მათაც იმ მიზეზით, რომ ორმა ექიმმა ყავა ჯანმრთელობისთვის მავნებლად მიიჩნია, მისი მოხმარება აკრძალეს. მიუხედავად ამისა, ქალაქის დიდმა მუფთიმ ეს ფეთვა არ დაამტკიცა. დარულამ ყავის გამყიდველთა და მომხმარებელთა ნაწილი შეიპყრო და მექის საწყობებში დაბინავებული ყავა ცეცხლს მისცა. თუმცა ერთი წლის შემდეგ ყავახანები კვლავ გაიხსნა, ხალხი კი ყავის სმას დაუბრუნდა.

კაიროში ყავის სმა XVI საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო, აქედან კი სირიაში, რუმის

სასულთნოსა და ირანში გავრცელდა. სულთან სულიმან ბრწყინვალეს (შაჰ თაჰმასპ I-ის თანამედროვე) მმართველობისას ყავა სტამბოლში და ოსმალთა სულთნების ევროპულ სამფლობელოებშიც ხდება პოპულარული; პირველი ყავახანები ამ ქალაქში ორმა სირიელმა - დამასკოელმა და ალეპოელმა - 1554 წელს გახსნა. ამ ქალაქის ყავახანები მალევე იქცა გემოვნებიანი ხალხის თავშეყრის ცენტრებად; განსაკუთრებით კი თურქი პოეტები და ლიტერატორები იკრიბებოდნენ აქ და დროს წიგნებისა და ლექსების კითხვაში, ნარდისა და ჭადრაკის თამაშში ატარებდნენ, ამიტომ ყავახანას „მისტიკოსთა სკოლასაც“ უწოდებდნენ. შეითხზა ყავის სახობო ლექსები და მალევე სულთნის ადმინისტრაციაში სპეციალური ყავახანაც დაარსდა, სახელმწიფო მოხელეთა რიგს კი

¹ Qahwa (არაბ. قهوة) - ყავა

² Iqha' (არაბ. إقهة)

³ baīt al-qahwa (არაბ. بيت القهوة) - ყავის სახლი

„ყავეჩიბაშის“ (მეყავახანეთუხუცესი) თანამდებობაც დაემატა.

ირანში ყავის შესვლის ზუსტი თარიღი უცნობია, თუმცა ის გარემოება, რომ შაჰ-აბას I-ის (1587-1629) მმართველობის დასაწყისში ირანში ყავახანები უკვე არსებობდა, შესაძლებელს ხდის, ვივარაუდოთ, რომ ყავის მოხმარება შაჰ თაჰმასპ I-ის (1524-1576) დროს გავრცელდა (ნ. ფალსაფი 1954).

ყავახანები სეფიანთა ირანში

შაჰ-აბას I-ის მმართველობის პერიოდში ყავახანები ირანის დიდი ქალაქების, განსაკუთრებით - ყაზვინისა და ისპაჰანის - ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. ისპაჰანის ცნობილი ყავახანები უმეტესწილად ნაყშ-ე ჯაჰანის მოედნის, ჩაჰარ-ბაღისა და ყეისარიეს ბაზრის გარშემო მდებარეობდა.

ყავახანის ატმოსფერო ყველა კლასის ადამიანისთვის მიმზიდველი აღმოჩნდა. არისტოკრატით, სამეფო კარის მოხელეებითა და ყიზილბაშთა მეთაურებით დაწყებული, პოეტებით, ლიტერატორებით, მხატვრებითა და ვაჭრებით დამთავრებული, დროის გასატარებლად, მეგობრებთან შესახვედრად, ყავახანური თამაშების სათამაშოდ, პოეტურ პაექრობაში მონაწილეობის მისაღებად, „შაჰნამეს“ ლექსების, იგავებისა და ზღაპრების მოსასმენად, ცეკვების სანახავად და სხვა გასართობებისთვის ყავახანებს მიაშურებდნენ ხოლმე.

ყავახანური კულტურის აყვავება სეფიანთა პერიოდის ირანში დაკავშირებულია მთელ რიგ ფაქტორებთან, რომელთაგანაც უმნიშვნელოვანესია ურბანიზაცია და ქალაქის მოსახლეობის ზრდა, რასაც თან სდევდა გზების გაუმჯობესება და საკომუნიკაციო სისტემის განვითარება. სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლების, მათ შორის, მუმების, ვაჭრებისა და ხელოსნების ერთ სივრცეში თავმოყრის შედეგად საჭირო გახდა ისეთი ადგილების არსებობა, სადაც შეკრებას, საუბარსა და თავისუფალი დროის გატარებას შეძლებდნენ.

ამასთანავე, სეფიანთა პერიოდის თანმდევი პოლიტიკური სტაბილურობა, რელიგიური უთანხმოებების არარსებობა და საზოგადოების შეკავშირება კონკრეტული რელიგიური იდეოლოგიის საფუძველზე (შიიტური ისლამი) იმ მნიშვნელოვან ფაქტორებად გვევლინება, რომლებმაც განაპირობა ყავახანური კულტურის გავრცელება ირანში.

დაბოლოს, ირანში ჯერ ყავის და შემდგომ ჩაის შემოსვლა, რასაც სეფიანთა ეპოქამდე ადგილი არ ჰქონია, ყავახანების გახსნისთვის ერთგვარი წინაპირობა იყო (ნ. ხოსრაფი 1963).

როგორც უკვე აღინიშნა, პირველი ყავახანა, სავარაუდოდ, შაჰ თაჰმასპის ხანგრძლივი მმართველობის დროს გაიხსნა, თუმცა ამის შესახებ წყაროებში არაფერია.

ნათქვამი. ჩვენამდე მოღწეული ცნობებიდან ირკვევა, რომ ყავახანური კულტურა განსაკუთრებით განმტკიცდა და განვითარდა შაჰ-აბას I-ის მეფობის დროს. სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა სეფიანთა ეპოქის ცნობილი ყავახანები: „არაბი“, „ბაბაფარაში“,

„ჰაჯი იუსუფი“, „ბაბაშამს თიში ქაში“ და „თუფანი“⁴.

ჩვეულებრივ, ყავახანებს საკმაოდ ფართო ტერიტორიაზე, ერთმანეთის გვერდიგვერდ აშენებდნენ ისე, რომ მათ შორის კედელი ან ფარდა არ არსებობდა, ერთი ყავახანიდან მეორე ჩანდა და იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ყველა ერთ მთლიან ნაგებობას წარმოადგენდა. ყავახანის შიდა სივრცეში მოფარდაგებული ქვის სკამები და ნიშები იყო მოწყობილი, სადაც სტუმრები სხდებოდნენ და ყავას ან ჩაის მიირთმევდნენ. ყავახანის შუაგულში წყლით სავსე აუზი იყო. სადამოობით კი ყავახანის შიდა სივრცის გასანათებლად ჭერზე ჩამოკიდებულ ლამპრებსა და აუზთან დაწყობილ ჩირაღდნებს ანთებდნენ (ნ. ფალსაფი 1954).

სეფიანთა პერიოდის ყავახანების შესასწავლად უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს უცხოელ მოგზაურთა და დიპლომატთა (დონ გარსია დე სილვა ფიგეროა, პიეტრო დელა ვალე, ჟან-ბატისტ ტავერნიე, ჯემელი-კარერი, ჯონ ფრაიერი, ფედოტ კოტოვი და სხვ.) ჩანაწერები. მათ შორის არის

⁴ როგორც ჩანს, იმხანად ყავახანების სახელდება მათი მფლობელის სახელის მიხედვით ხდებოდა.

ცნობილი ფრანგი მოგზაური, ჟან შარდენი, რომელიც ირანში 1660-70-იან წლებში ცხოვრობდა და ყავახანების დეტალური და მრავალფეროვანი აღწერილობა დაგვიტოვა:

„ეს სახლები - სხვადასხვა ფორმის დიდი, ფართო და მაღალი დარბაზები - ჩვეულებრივ, ქალაქის ყველაზე ლამაზ შენობებს წარმოადგენს, რამდენადაც ეს არის ადგილები, სადაც ხალხი ერთმანეთს ხვდება და ერთობა. ზოგიერთ მათგანში, განსაკუთრებით, დიდ ქალაქებში, შენობის შუაგულში წყლის აუზები გაუმართავთ. ოთახების გარშემო, სივრცის შესაბამისად, 3 ფუტი სიმაღლისა და, დაახლოებით, 3-4 ფუტი სიგანის მერხებია, რომლებსაც ქვისგან ან ხისგან ამზადებენ და მათზე აზიური წესით სხდებიან. ისინი [ყავახანები] დილით ადრე იღება და გვიანობამდე მუშაობს - ამ დროს აქ ყველაზე დიდი ხალხმრავლობაა...“ [რ. მეთი 2011: 21]

შაჰ-აბას I-ის დროს ყავახანაში სამუშაოდ, ძირითადად, სასიამოვნო გარეგნობის ქართველ, ჩერქეზ და სომეხ ყმაწვილებს ირჩევდნენ. მათგან ნაწილი სტუმრებს ემსახურებოდა, ნაწილი კი გრძელი დალალებითა და გამომწვევი ტანისამოსით ცეკვავდა და მუშტარს ართობდა. სწორედ ამიტომ ყავახანები, უმეტესწილად, ამქვეყნიურ სიამეთა მოყვარულების, სენტიმენტალური პოეტებისა და ავხორცთა თავშეყრის ადგილი იყო⁵.

თუფანის ყავახანამ სწორედ იქ მომსახურე სანდომიანი გარეგნობის ყმაწვილთა გამო გაითქვა სახელი და პოეტთა და მიჯნურთა თავშეყრის ადგილს წარმოადგენდა. ზოგჯერ ამ ადგილს თვით შაჰიც სტუმრობდა.

ბაბაშამს თიშის ყავახანა შაჰ-აბასმა სპეციალურად დაუარსა. ეს კაცი თავდაპირველად მოხეტიალე მსახიობი იყო შირაზში და ხალხს ჭიდაობით, ჟონგლიორობით, დაკვრით, სიმღერითა და სხვა თამაშებით ართობდა და ლუკმაპურის ფულს შოულობდა. დახლოებით 1603 წელს ბაბაშამს თიში შირაზიდან ისპაჰანში გადასახლდა და თასნიფების თხზვაში, სიმღერასა და საზზე დაკვრაში დაოსტატებულმა შაჰ აბასის ყურადღებაც მიიპყრო.

ბაბაშამს თიშის ყავახანასა და მეიხანაში⁶ ღვინის სმა, შაჰის ბრძანებით, ყოველთვის ნებადართული იყო, მიუხედავად იმისა, რომ აბას I-მა ღვინის სმა რამდენჯერმე აკრძალა და შემდეგ ისევ დაუშვა. ყველას, ვინც იქ ღვინოს სვამდა, ხელისგულზე ბეჭედს არტყამდნენ, რათა ისპაჰანის დარუღას ხელქვეითებს არ შეეწუხებინათ.

შაჰ-აბასს ზოგჯერ მნიშვნელოვანი უცხოელი სტუმრები და ელჩები ყავახანაში მიჰყავდა და იქ უმასპინძლებოდა. მაგალითად, 1619 წლის 8 ივნისს, შაჰმა ხან ალამი - ინდოეთის მეფის, ნურ-ად-დინ მოჰამად ჯაჰანგირის ელჩი, დონ გარსია დე სილვა ფიგეროა - ესპანეთის მეფის, ფილიპ III-ის ელჩი, რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიის ელჩები და, აგრეთვე, რამდენიმე ქრისტიანი სასულიერო პირი ნაყმ-ე ჯაჰანის მოედანზე მდებარე ერთ-ერთ ყავახანაში წაიყვანა. იქ შაჰ-აბასი ყავახანის ერთ-ერთ ოთახში ხალიჩაზე დაბრძანდა, ესპანელ ელჩს კი, რომელსაც არ შეეძლო ირანელთა წესისამებრ ხალიჩაზე ჯდომა, თავის პირდაპირ სკამზე დაბრძანების ნება მისცა. ოსმალეთის ელჩი შაჰის მარცხნივ მოკალათდა. მეზობელი ნიშა რუსეთის დესპანმა, მისმა მდივანმა და რუსმა ღვთისმსახურმა დაიკავეს. ინგლისის წარმომადგენელი, რომელსაც იმ დროისთვის ირანში დიდი ავტორიტეტი არ ჰქონდა, თავის თანამგზავრებთან ერთად უფრო მოშორებით დაჯდა, შაჰის სხვა სტუმრებიც: ქრისტიანი ღვთისმსახურები, მექის შარიფის ნათესავი, სახელმწიფოს მეთაურთა და დიდგვაროვანთა ნაწილი შაჰის გარშემო ნიშებში დასხდნენ. ხან ალამი, ინდოეთის მეფის ნათესავი და ელჩი, რომელიც მეტად

⁵ ირანელი მეცნიერის ნასროლა ფალსაფის ნაშრომის ის ნაწილი, რომელშიც ეს ინფორმაცია დასტურდება, ქართულ ენაზეც არის თარგმნილი: "შაჰ-აბასის დროს ყავახანებისთვის, ძირითადად, ქართველ, ჩერქეზ და სომეხ ლამაზ ყმაწვილებს ირჩევდნენ ხოლმე. მათგან ზოგიერთი უშუალოდ მუშტარს ემსახურებოდა, ნაწილი კი, გრძელი ზილფ-კულულებით დამშვენებული და ლამაზად ჩაცმული, ცეკვით ან სხვა თამაშობებით ართობდა ხოლმე სტუმრებს. ამის გამო ყავახანები, უმთავრესად, სილამაზის თავყვანისმცემელთა და ავხორც პოეტთა თავშესაყარი იყო". იხ.: ნასროლა ფალსაფი, შაჰ-აბას პირველის ცხოვრება, ფრაგმენტები საქართველოსა და ქართველების შესახებ, სპარსულიდან თარგმნა ლ. ჟორჟოლიანმა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო პროფ. ჯ. სტეფანაძემ, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2003, გვ. 18.

⁶ mey-khāneh (სპარს. میخانه) - ღვინის სახლი - ადგილი, სადაც ღვინითა და ალკოჰოლური სასმელებით ვაჭრობდნენ ან სვამდნენ.

პატივსაცემი კაცი იყო, შაჰის მოპირდაპირედ დაბრძანდა.

ამის შემდეგ, შაჰის ბრძანებით, ყავახანის ორმა მოცეკვავე ყმაწვილმა - ჩერქეზმა და ისპაჰანელმა - ქალის ტანისამოსში გამოწყობილებმა, დაირისა და ჟღარუნების თანხლებით, ცეკვა დაიწყეს. თითოეულ მათგანს ჰყავდა გულშემატკივარი და მომხრე, რომლებიც მათ ხელოვნებასა და ოსტატობაზე სანაძლეობებს დებდნენ და მათთვის ლოცულობდნენ. დონ გარსიას მოგზაურობის დღიურების თანახმად, ამ ორი მოცეკვავის მოძრაობები ქალის მოძრაობებზე უფრო ფემინური იყო და ცეკვაში ირანელ, ქართველ, ინდოელ და თათარ მოცეკვავებზე უფრო დახელოვნებულნი ჩანდნენ. სწორედ ამ დროს შაჰისა და დესპანების წინ პატარა სუფრა გაშალეს და ვახშამი მოიტანეს. შაჰმა რამდენიმე ლუკმა მიირთვა, მაგრამ ელჩებმა დანაყრებულობის მომიზეზებით ან იმის გამო, რომ ყავახანაში ვახშმობა თავიანთი თანამდებობისთვის შეუფერებლად მიიჩნიეს, არაფერი იგემეს, ყავის დაღვევაზე თავი შეიკავეს და მხოლოდ ღვინოს დასჯერდნენ. შაჰმა დესპანებთან ერთად მათი მეფეების ჯანმრთელობის სადღეგრძელო შესვა, ხელები ოქროს თასში დაიბანა, ხელ-პირი ხელსახოცით გაიმშრალა და სტუმრებთან ერთად ყავახანიდან გავიდა (ნ. ფალსაფი 1954).

როგორც უკვე აღინიშნა, ყავახანები, უმეტესწილად, პოეტების, ლიტერატორების, ხელოვანთა და სუფიზმის მიმდევართა თავშეყრის ადგილი იყო. ისინი თითქმის ყოველდღე სტუმრობდნენ ამ ადგილებს, აუდიტორიას საკუთარ შემოქმედებას

წარუდგენდნენ, ეცნობოდნენ სხვა პოეტების ლექსებს, განიცდიდნენ ერთმანეთის ზეგავლენას... ამიტომ, ყავახანა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ეროვნული ლიტერატურის განვითარების საქმეში.

ზოგჯერ პოეტები რასაც გამოიმუშავებდნენ ყავახანაში ხარჯავდნენ. მაგალითად, ცნობილმა პოეტმა ამინა ნაჯაფიმ შაჰ-აბასისგან ბოძებული ფული - 100 თუმანი - მცირე დროში არშიყობაში გაანიავა. ადჰამ ბეიგ თორქმანიმ კი ჰაჯი იუსუფის ყავახანაში თავისი აღვირახსნილობით თავი მოიჭრა (ნ. ფალსაფი 1954).

შაჰ-აბას I-ის მემკვიდრეების მმართველობის დროს ირანში ყავახანური კულტურა კიდევ უფრო განმტკიცდა და განვითარდა. გართობისა და თავშექცევის არაერთი საშუალება ყავახანურ სივრცეს მჭიდროდ დაუკავშირდა. აღსანიშნავია, რომ შაჰ სეფი I-ის (1629-1642) მმართველობის პერიოდში, როგორც ამას ევროპელი მოგზაურები იუწყებიან, ისპაჰანში ყავახანების გარდა ჩაის სმის ცენტრებიც არსებობდა, რომელთაც ჩაიხათაიხანას (სპარს. چای ختای چین - ხატაური (ჩინური) ჩაის სახლი) უწოდებდნენ. ამ დაწესებულებას, ძირითადად, არისტოკრატები სტუმრობდნენ, რომლებიც ჩაის მიირთმევდნენ და ჭადრაკს თამაშობდნენ. შაჰ აბას II-ის (1642-1666) მმართველობის პერიოდში დიდი ვეზირის, ხალიფე სოლთანის ბრძანებით, ყავახანებში სასიამოვნო გარეგნობის ყმაწვილთა მუშაობა, უმგავსო ცეკვა და სიმღერა აიკრძალა, რის შემდეგაც ყავახანის კლიენტები თავს ყავისა და ჩაის სმით, სხვადასხვა ყავახანური თამაშებით იქცევდნენ. მიუხედავად ამისა, ამ აკრძალვებმა დიდხანს ვერ გასტანა (ნ. ფალსაფი 1954). სეფიანთა დინასტიის უკანასკნელ წლებში კი ყავახანებში სხვადასხვა სახის ნარკოტიკებისა და ოპიუმის მომხმარებაც დაიწყეს. ეს ჩვევა იმდენად გავრცელდა, რომ ყავახანები გარყვნილებისა და უკანონობის ბუდედ აღიქმებოდა, სადაც დარბაისელი ადამიანი ფეხს არ შედგამდა.

ყავახანური კულტურა ყაჯართა პერიოდის ირანში

სეფიანთა დინასტიის დაცემის შემდეგ, ქაოსისა და არაულოლობის ეპოქაში, ყაჯართა დინასტიის (1996-1925) გაბატონებამდე და, განსაკუთრებით, ნასერ-ად-დინ შაჰის (1848-1896) მმართველობის შუა ხანებამდე, ყავახანების შესახებ არანაირი ინფორმაცია არ მოგვეპოვება. თუმცა ცნობილია, რომ ჩაის მოხმარება გაიზარდა და,

ფაქტობრივად, ყავა ჩანაცვლა. ყავახანებმა დაკარგა ის თავისებურება, რომელიც სეფიანთა პერიოდში ჰქონდა და სხვა ფუნქციები შეიძინა. ისინი უმეტესწილად, საშუალო სოციალური ფენების, ვაჭრების, ხელოსნებისა და მუშების თავშეყრის ადგილად იქცა.

1797 წელს დინასტიის დამაარსებელმა ალა მოჰამად-ხან ყაჯარმა დედაქალაქი ისპაჰანიდან პატარა დასახლებაში - თეირანში გადაიტანა. იმის გამო, რომ ხალხი მოკლებული იყო გართობისა და

თავშექცევის ახალ საშუალებებს და ისეთ ადგილს ეძებდა, სადაც თავისუფალ დროს გაატარებდა, თანდათან თეირანის სხვადასხვა ნაწილში მომრავლდა ყავახანები.

ნასერ-ად-დინ შაჰის ეპოქიდან ყავახანის ფლობა და მასთან დაკავშირებული საქმიანობა დიდ ქალაქებში, განსაკუთრებით თეირანში, მიღებული და სოლიდური პროფესია გახდა. თავდაპირველად ყავახანები გაჩნდა ბაზრებში, ქალაქის ცალკეულ უბნებში, მნიშვნელოვანი ამქრული კომპლექსების (თონების, საყასბოების, საქაბაბეების, საბაყლოების, აბანოების და მისთ.) გვერდით, რომელთა ერთიანობა უბნის პატარა ბაზარს ქმნიდა. მოგვიანებით, როცა ყავახანები საზოგადოებისთვის უფრო მისაღებად იქცა, ისინი ყველა კუთხე-კუნჭულში აშენდა: ხელოსნებისა და მუშების თავშეყრის ადგილებში, ქარხნებთან, სასტუმროებთან, ქალაქის შესასვლელებში, ქარვასლებთან (ა. ბოლუქბაში 1996).

თეირანულ ყავახანებს განსაკუთრებული ფორმა და სახე გამოარჩევდა. ყოველ მათგანს შედარებით დიდი სივრცე ეკავა, სადაც აგურისა და ქვის სკამები იყო მოწყობილი და თითქმის ყოველთვის კლიენტებით იყო გადავსებული. ჩვეულებრივ, ქვის სკამების პირდაპირ რკინისფეხებიან გრძელ მერხებს დგამდნენ. ამასთანავე, ყავახანებს განსაკუთრებული პავილიონებიც ჰქონდა, რომელსაც „შაჰნეშინს“ („მეფეთა დასაბრძანებელ ადგილს“) უწოდებდნენ. ზოგიერთი ყავახანის მთელი კედლები, 1-1,5 მეტრის სიმაღლეზე, ირანის ლეგენდარული და ისტორიული მეფეების (მაგ: ქეიხოსროვი, ჯამშიდი, ჰუშანგი, არდავანი, ნერსე, ანუშირვანი და სხვ.) გამოსახულებიანი შორენკეცით იყო მორთული. მეფეების სურათების გარდა, ყავახანის ყოველ კედელზე შიიტთა იმამებისა და მეფეების სურათებიც ეკიდა. ხშირად, გლოვის დღეებში, ყავახანის ფასადს შავად რთავდნენ და ქადაგებისთვის კათედრასაც აღმართავდნენ ხოლმე (ა. გორგანი... 1960).

დაახლოებით ოთხასწლიანი ისტორიის მანძილზე, ყავახანებს, კონკრეტული ეპოქის სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გათვალისწინებით, გარკვეული როლი და ფუნქცია ჰქონდა. საწყის ეტაპზე, განსაკუთრებით, სეფიანთა ეპოქაში, ისინი გართობის მოყვარული ხალხის - საზოგადოების უზრუნველყოფილი ფენების, მწერლების, პოეტების, სამეფო კარის მოხელეების, მიწათმფლობელებისა და მეომრების თავშეყრის ადგილს წარმოადგენდა. ყავახანური კულტურის განმტკიცების, ფართო მასების მიზიდვისა და ქალაქების განვითარების კვალდაკვალ, ყავახანები ყველა კლასისა და ჯგუფის ადამიანისთვის ხელმისაწვდომი გახდა და თანდათან ზოგიერთი მათგანი ხალხთა ერთი გარკვეული ჯგუფისა თუ ამქრული გაერთიანების თავშეყრის ადგილად ჩამოყალიბდა. მაშინ იყო, რომ ყავახანები ქალაქურ საზოგადოებაში პროფესიული გაერთიანებების სახით მოგვევლინა და განსაკუთრებული, კონკრეტული სოციალურ-კულტურული ფუნქციის მქონე სტრუქტურად იქცა (ა. ბოლუქბაში 1996).

ყაჯართა პერიოდის ყველაზე ცნობილი ყავახანა „იუზბაში“ შამს-‘ოლ-ემარეს⁷ უკან მდებარეობდა და, ძირითადად, უფლისწულების, დიდგვაროვნების, სამხედრო მეთაურების შეკრების ადგილი იყო. სუსქის გზაჯვარედინზე მდებარე ყავახანა

„თამბალს“⁸ კი ქუჩის ბიჭები, უბრალო ხალხი და ლოთბაზარები სტუმრობდნენ. ხუროთმოძღვრები და შენობათა ტექნიკურ სამუშაოებზე მომუშავენი ნასერ ხოსროვის გამზირზე მდებარე სახელგანთქმულ „ყამბარში“ იყრიდნენ თავს. სხვა პროფესიულ გაერთიანებებსაც - მეპურეებს, ყასბებს, მეწაღეებს, სახურავის ხელოსნებსა და მღებავებს

- ჰქონდათ ისეთი ყავახანები, სადაც რეგულარულად იკრიბებოდნენ.

პროფესიული გაერთიანებების გარდა, თეირანში ყველა რეგიონის მცხოვრებლებსაც ჰქონდათ განსაკუთრებული თავშეყრის ადგილები. მაგალითად, თეირანში მცხოვრები არაქელები შამს-‘ოლ-ემარეს მახლობლად მდებარე „ფანჯეზაშიში“ იკრიბებოდნენ. ამ ყავახანაში შესულ ყველა არაქელს შეეძლო, რომ თანაქალაქელები ენახა და თავისი მხარის ამბები მოეყოლა.

ამ პერიოდისთვის ყავახანები სხვა მნიშვნელოვან ფუნქციასაც ასრულებდა. კერძოდ,

⁷ შამს-‘ოლ-ემარე (არაბ.-სპარს. شمس‌العمارة) - ყაჯართა მმართველობის პერიოდში აშენებული ისტორიული ნაგებობა თეირანში, რომელიც გოლესთანის სასახლის კომპლექსის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს.

⁸ თამბალი (სპარს. تنبل) - ზარმაცი

დამქირავებლები სამუშაოს გარეშე დარჩენილი მუშების ასაყვანად იქ მიდიოდნენ. გარდა ამისა, სადამოებით, სამუშაო დღის დასრულების შემდეგ, დამქირავებლები და მუშები ანგარიშის გასასწორებლად კვლავ ამ ადგილებს სტუმრობდნენ (ა. გორგანი... 1960).

ყაჯართა პერიოდში არაერთი ყავახანა გაიხსნა, რომელთაგანაც ზოგიერთი თეირანელებს შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა და დიდი ავტორიტეტი მოიპოვა. ყველაზე ცნობილ და ლამაზ ყავახანა „იუზბაშს“ უფლისწულები, მაღალჩინოსნები და დიდგვაროვნები სტუმრობდნენ და „შაჰნამესა“ და

„ისქანდერნამეს“ დეკლამირებით ტკბებოდნენ. რომელიმე პოეტი ლექსს რომ დაწერდა, იქ მიდიოდა და ყაჯარი მეფის ახლობლებს უკითხავდა. თუკი ღირსად მიიჩნევდნენ, მას მეფეს წარუდგენდნენ, რის შემდეგაც პოეტი საჩუქარს, ჯილდოს ან „მალექ-აშ-შოარას“⁹ ტუტულს იღებდა.

ნასერიეს გამზირზე მდებარე ყავახანა „ყამბარი“ ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული და ავტორიტეტული ყავახანა იყო ძველ თეირანში. მისი მფლობელი გახლდათ ეთიოპიელი შავკანიანი, სახელად ყამბარი, რომელმაც შემდგომში ყავახანის მეპატრონეობა ჩაის დამტარებელს, ესმა'ილს გადაულოცა.

აღსანიშნავია, რომ იმ დროისთვის შავკანიანები თეირანის მოსახლეობის დიდ ნაწილს შეადგენდნენ. თითქმის ყოველი მდიდარი ვაჭრისა და ჩინოსნის სახლში რამდენიმე შავკანიანი მაინც მსახურობდა. თავდაპირველად, ადგილობრივები ყამბარისყავახანას მიაშურებდნენ და თავს შავკანიანთა დაცინვით ირთობდნენ. ყავახანის მეპატრონეს ეს ამბავი აწუხებდა, მაგრამ გამოსავალი ვერ მოენახა. სამაგიეროდ, ჩაის დამტარებელმა ესმა'ილმა ყავახანაში დეკლამატორი მიიწვია, რომელიც გამჭრიახი გონების პატრონი აღმოჩნდა. მან თავის პირველივე წარმოდგენაზე მსმენელებს ყამბარ ღულამ ალის ამბავი უამბო, რამაც თანდათანობით შეცვალა ხალხის დამოკიდებულება შავკანიანთა მიმართ და ყავახანის მეპატრონეც პატივსაცემი პიროვნება გახდა. ყამბარმა მადლიერების ნიშნად თავისი ყავახანა ესმა'ილს გადაულოცა. აქ გაზეთების კითხვას კრძალავდნენ, თუმცა დერვიში რაჯაბი ყოველ ღამე და ზოგჯერ დღისითაც მუშტრებს ახალ ამბებს აცნობდა. ხშირად ყამბარის ყავახანის უკან, მოხეტიალე მსახიობთა ფარდულში, ფაჰლავან ქაჩალისა¹⁰ და გოლზადან ხანომის¹¹ წარმოდგენებიც იმართებოდა.

ყავახანა „არში“¹² ჩერად-ბარყის გამზირზე მდებარეობდა. მთელ ქალაქში ეს იყო გამზირზე აშენებული ერთადერთი ორსართულიანი შენობა, რის გამოც მას „არშს“ უწოდებდნენ. ამ ყავახანის ერთმანეთში გამავალი 12 ოთახი, რომელიც 24 საათი ემსახურებოდა კლიენტებს, უმეტესწილად, ოპიუმის მწვევლთა და არყის მსმელთა თავშეყრის ადგილი იყო. „სარგოზარი“¹³, „ბალ-ე ანარი“¹⁴, „თოლომბე“¹⁵, ყავამ ად-დოულეს, ჰოსეინ დამავანდის, აბულ-ყასემისა და ნასრათის ყავახანები ასევე ყაჯართა პერიოდის პოპულარული ადგილები იყო (ჯ. შაჰრი 1992).

ყაჯართა დინასტიის მმართველობის მიწურულს ყავახანები, ფაქტობრივად, წარსულსა და მომავალს შორის ერთგვარ ხიდს წარმოადგენდა, რადგან ძველი ტრადიციების მნიშვნელოვანი ნაწილი აქ ინახებოდა და მომავალ თაობას გადაეცემოდა. ყავახანათა ღამის წვეულებებზე, განსაკუთრებით რამაზანის ღამეებში, რომლის დროსაც დეკლამატორთა, „შაჰნამეხანთა“, „მარსიეხანთა“¹⁶ წარმოდგენები და ყავახანური თამაშობები იმართებოდა, ჩვეულებრივ, ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი იყრიდა თავს. აქ მათ ერთმანეთთან მეგობრულ და კულტურულ-ლიტერატურულ გარემოში ურთიერთობის საშუალება ეძლეოდათ. ამგვარად, ყავახანა სოციალურ-კულტურულ

⁹ მალექ-აშ-შოარა (არაბ. مالک الشعرا) - პოეტთა მეფე

¹⁰ ფაჰლავან ქაჩალი (სპარს. فلولان کچال) - სიტყვ. მელოტი ფალავანი; ირანის ეროვნული თოჯინების თეატრი, რომლის მთავარი პერსონაჟია მელოტი ფალავანი.

¹¹ გოლზადან ხანომი (სპარს. گل بد خانم) - სიტყვ. ვარდტანა ქალბატონი.

¹² არში (არაბ.-სპარს. عرش) - ზეცა

¹³ სარგოზარი (სპარს. سر گزر) - სიტყვ. [გასასვლელი] ადგილი

¹⁴ ბალ-ე ანარი (სპარს. بال غل) - ბროწეულის ბაღი

¹⁵ თოლომბე (თურქ.-სპარს. تلمبه) - ტუმბო

¹⁶ მარსიეხანი (არაბ.-სპარს. مرثیه خوان) - შიიტი იმამების მოწამეობრივ ცხოვრებზე შეთხზული ლექსების კითხვა

ინსტიტუტად იქცა, ერთგვარი სკოლის სახე მიიღო, სადაც ეროვნული ხელოვნების, კულტურისა და ლიტერატურის სფეროში ტალანტების წრთობა ხდებოდა.

კომუნიკაციებისა და პრესის განვითარებასთან ერთად, ყავახანათა თავდაპირველი ფუნქცია დავიწყებას მიეცა და ისინი მხოლოდ ხალხთა ჯგუფების, უმეტესწილად, დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლებისა და მუშების მოსასვენებელ ადგილად იქცა, სადაც დასვენებისა და ჩაის სმის გარდა არაფერზე ფიქრობდნენ. ამავდროულად, ყავახანების დიდმა ნაწილმა ადგილი დაუთმო თანამედროვე კაფეებს სკამებითა და მაგიდებით. ყალიონის ბუყბუყის, დეკლამატორისა თუ მეხოტბის ხმაც მუსიკალურმა ჩანაწერებმა ჩაანაცვლა. ხალხიც შეიცვალა. ურთიერთობების გაღრმავებამ და ახალი ელემენტების გაცნობამ შედეგად განსაკუთრებული აზროვნების ჩამოყალიბება მოიტანა. ამ პროცესს თან ახლდა ინტელექტუალთა გამოჩენა და მათი მცდელობის კვალდაკვალ - მოემბნათ შეკრებებისთვის შესაფერისი გარემო სხვადასხვა საკითხებზე სასაუბროდ - შეიქმნა ინტელექტუალთა თავშეყრის არაერთი ადგილი, რომელსაც, ძირითადად, თანამედროვე კაფეები წარმოადგენდა (მ. ფულავანი 2011).

გართობა და თავშეყვევა ყავახანებში



ყავახანის სივრცემ თავიდანვე ხელოვნების ორი მიმართულების განვითარებას შეუწყო ხელი: ერთი იყო დეკლამირება და სიტყვის ოსტატობა, ხოლო მეორე - სახვითი ხელოვნების სკოლა, რომელიც „ყავახანური მხატვრობის“ სახელით არის ცნობილი. ყავახანების გაჩენამდე დეკლამატორები თავიანთ წარმოდგენებს, უმეტესწილად, ქუჩებში, მოედნებსა და გზაჯვარედინებზე მართავდნენ და სტაბილური შემოსავალი არ გააჩნდათ. სეფიანთა ეპოქიდან კი დეკლამატორებმა ყავახანური სივრცე საქმიანობისთვის შესაფერის ადგილად მიიჩნიეს. თავის მხრივ, დეკლამატორთა წარმოდგენების გამართვა ყავახანის მეპატრონეებისთვისაც სარფიანი საქმე იყო, რადგან ასეთ წვეულებებს უამრავი ხალხი ესწრებოდა. ამდენად, ზღაპრების, ეპიკური თხზულებებისა თუ ამბების თხრობა ოდითგანვე დაუკავშირდა ყავახანურ სივრცეს და, ორმხრივი დაინტერესების შედეგად, მისი განუყოფელი ნაწილი გახდა.

დეკლამირება რამაზანის თვეში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული წარმოდგენა იყო, რომელიც ყავახანების უმეტესობაში იმართებოდა. წერა-კითხვის მცოდნე ხალხი ათასობით ბეთს, თავილს, გამოცანას, შარადას, მუსამათს, ყაზალს, ყასიდას, რობაისა და მარსიეს კითხულობდა. შედარებით მრავალრიცხოვანი მეორე ჯგუფი კი, რომელთა შორისაც ნაკლებად მოიძებნებოდა წერა-კითხვის მცოდნე, აღტაცებითა და სიამოვნებით უსმენდა დეკლამირებას, ხშირად, გაცეცხისგან პირდაღებულები გონს რომ მოეგებოდნენ, აღმოაჩენდნენ, რომ თავზე დასთენებიათ და ცისკრის ტრაპეზის დროც დამდგარა.

დეკლამირებას გაბაასების („მუნაზირა“) სახე ჰქონდა. რამაზანის ღამეებში ხალხი, განსაკუთრებით, ხელოსნები, დროის უმეტეს ნაწილს - ხსნილიდან განთიადის საუზმომამდე და ცისკრის ნამაზის შესრულებამდე - ყავახანაში ატარებდნენ. შა'აზანის თვის უკანასკნელ ღამეს დეკლამატორთა ხელმძღვანელს ყავახანაში საკუთარი

„ინვენტარი“ მიჰქონდა და იწყებდა ე.წ. „ტყავის გაკვრის“ რიტუალს. დეკლამატორის ინვენტარს შეადგენდა: კათედრა, ვეფხვის, ავაზისა და შვლის, ხანაც - ცხვრის ტყავი; სხვადასხვა პროფესიული გაერთიანების სიმბოლოები, რომლებიც ყავახანის კედელზე მაგრდებოდა; „დერვიშთა ნივთები“: ჯაჭვი, ქაშქული, ალუბარდა, დერვიშის კვერთხი, საყვირი, „კმაყოფის ქვა“¹⁷ და ა. შ.

დღეს დეკლამირება ყავახანებისთვის ჩვეული მოვლენა აღარ არის, თუმცა არც თუ ისე დიდი ხნის წინათ თეირანის ყავახანებში ეს წარმოდგენები იმართებოდა და ზოგან კვლავაც განაგრძობს არსებობას.

დეკლამატორებს თავისებური იდეოლოგიური სტრუქტურა ჰქონდათ; ყველანი დერვიშები იყვნენ, განსაკუთრებული სუფიური სამმოს მიმდევრები, რომელსაც თავიანთ წრეში „აჯამის“¹⁸ სამმოს“ სახელით მოიხსენიებენ. მათი თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ უნდა ჰქონოდათ პროფესია, არ ემათხოვრათ და არ ეხეტიალათ. ჩვეულებრივ ტანისამოსს ატარებდნენ და არანაირი სიმბოლიკა (როგორცაა: თმების დაწვნა ან სუდარის ჩაცმა) არ გააჩნდათ.

იმ ყავახანის კედელზე, რომელიც დეკლამატორის წარმოდგენისთვის ემზადებოდა, 17 ამქრის სიმბოლოს ჰკიდებდნენ შემდეგი თანმიმდევრობით: ჯერ ტყავს (შვლის, ვეფხვის, ავაზას), შემდეგ რომელიმე ამქრის სიმბოლოს, შემდეგ - სხვადასხვა ტყავს და სხვა ამქრის სიმბოლოს. თავის მხრივ, ეს სიმბოლოები პატარა ზომის საგნები (რომელთაც კონკრეტული პროფესიის წარმომადგენელი სამუშაო იარაღად იყენებდა) იყო, რომელსაც კედელზე, ქვაზე ან ქსოვილზე ჰკიდებდნენ ან ლურსმნით აჭედებდნენ. ზოგიერთი ასეთი პროფესიული გაერთიანება იყო: 1. ხაზაზი (ლაგაშის მცხობელი), 2. დალაქი, 3. მოჭიდავე 4. ყასაბი, 5. მეუნაგირე, 6. ჩალვადარი, 7. მეთულუხჩე, 8. ჩავუში, 9. მკერავი, 10. დერვიში, 11. მიცვალეულთა გამბანველი (ამ პროფესიული გაერთიანების სიმბოლო საპონი და ღრუბელია), 12. „როლუხეხანი“ (ქადაგი, რომლის სიმბოლოა კათედრა) 13. გამნიავებელი (იგულისხმება მარცვლეულის გამნიავებელი), 14. ყავახანის მეპატრონე და ა. შ.

თავდაპირველად, დეკლამირება შიიტური სკოლის პროპაგანდისა და გავრცელების მიზნით ჩამოყალიბდა, მაგრამ შემდგომში დანიშნულება შეიცვალა და რელიგიური ხასიათი დაკარგა.

წარმოდგენა შემდეგი თანმიმდევრობით მიმდინარეობს: დეკლამატორი მიდის კათედრასთან; მას შემდეგ, რაც საკმაო რაოდენობის პუბლიკა შეიკრიბება, იღებს თავის ხელჯოხს და რომელიმე დამსწრეს გადასცემს. ეს იმის ნიშანია, რომ ამ პირმა ლექსი უნდა წაიკითხოს ან იმღეროს. იმისათვის, რომ სიჩუმემ დაისადგუროს, წარმოთქვამს დალოცვის ფორმულებს და აღნიშნული პირი ლექსის კითხვას იწყებს. ეს ქმედება რამდენჯერმე მეორდება და დეკლამატორის ჯოხი ხელიდან ხელში გადადის, რათა საფუძვლიანად მიიპყროს ხალხის ყურადღება. ამის შემდეგ იწყება დეკლამატორისა და მისი მეტოქის (რომელიც, ჩვეულებრივ, ერთ-ერთი დამსწრეთაგანია) დიალოგი, რომლის დროსაც თითოეული ოპონენტი ცდილობს მოწინააღმდეგის მოედნიდან გაძევებას. თავის მხრივ, ეს წარმოდგენაც სიმბოლოურ დატვირთვას ატარებს და ემსახურება დეკლამირების მთავარი მიზნის წარმოჩენას ანუ შიიტური

¹⁷ კმაყოფის ქვა - ერთგვარი ქვა, რომელსაც ძლიერი შიმშილის დროს მუცელზე იბამდნენ დასაამებლად.

¹⁸ აჯამი (არაბ. *أجام*) - არაარაბი, სპარსი, უცხო

სკოლის დამკვიდრებასა და სუნიტური მოძღვრების მცდარობის მტკიცებას.

ზოგიერთ დღეებში ყავახანებში სხვადასხვა სახეობის ჰაშიშს ეწოდნენ და იმპირთა უმეტესობას, რომლებიც ამ ადგილებს სტუმრობდნენ, სურდა, რომ მთხრობელის ან დეკლამატორის ისტორიების მოსმენასთან ერთად ე. წ. „ყალაჯიანი“ ჩიბუხიც მოეწიათ. სიტყვაში „ყალაჯ“ მოიაზრება გამაბრუებელი ჰაშიშის დიდი ნაფაზის დარტყმა. აღსანიშნავია, რომ ჰაშიშით სავსე ჩიბუხის დერვიშის ხელიდან აღება დიდ პატივად მიიჩნევა.

დეკლამატორები ზოგჯერ მთლიანად გართიმულ ლექსს კითხულობენ - უმეტესწილად, მუხამასის ან მუსამათის სახით, ზოგჯერ კი მიმართავენ ლექსნარევ პროზას, რომლის დროსაც ჯერ მუხამასის ან მუსამათის ერთ სტროფს წარმოთქვამენ და შემდეგ თავილისას, რომელიც იმავე თემას ეძღვნება. ამის შემდეგ კვლავ მუხამასის სტროფს ამბობენ და მონოლოგის დასრულებამდე ასე გრძელდება.

როგორც აღინიშნა, ჩვეულებრივ, დიალოგს მოჰაქერის სახით წარმოდგენილი ერთ-ერთი დამსწრე იწყებს. მას შემდეგ, რაც პაქერობაში ახლადჩართული პირის სიტყვადასრულებს, შიშველ მხრებზე დროშამეხობვეული დეკლამატორი დგება და მოწინააღმდეგის მიერ წარმოთქმული დალოცვის ფორმულის პასუხად კვლავ დალოცვის ფორმულას იმეორებს და მის ყაზალს ან მუსამათს ისეთივე რითმითა და რიტმით პასუხობს. ასევე, საკუთარი თავის უშურველად ქების შემდეგ ითხოვს ნებართვას, რომ მეტოქეს პასუხი გასცეს. ეს ორმხრივი პოლემიკა რამაზანის ღამეებში შუალამიდან პირველი მამლის ყვილამდე გრძელდება. წარმოდგენის დროს თუ დეკლამატორი დაიღლება ან წასვლა მოუნდება, თავის ნაცვლად სხვას ამწესებს.

იმისათვის, რომ დეკლამატორად იქცეს, პრეტენდენტმა ყაზალი ან მუსამათი ზეპირად უნდა ისწავლოს და განსაკუთრებული ინტონაციით წაიკითხოს. მაყურებელმა იცის, ამ დროს ყაზალის ნაცვლად მუსიკალური მონაკვეთი შეასრულოს თუ ყაზალს მისალმებისა თუ მოციქულთა დალოცვის ფორმულები ააყოლოს. ამდენად, წინასწარ სწავლობენ რამდენიმე როზაის, რომელიც „სალამსა“ და „ბისმილას“ შეიცავს, აგრეთვე, მათ პასუხებსაც, რათა, როცა დეკლამატორი ჯოხს მათ მხარეს გაიშვერს, შეძლონ საკუთარი ხელოვნების წარმოჩენა და მთელი მუსიკალური ნაწარმოები შეასრულონ. ამის შემდეგ ადგენენ რვეულებს, საიდანაც სწავლობენ ლექსებს და დეკლამატორთან საპაქეროდ ემზადებიან.

„აჯამის სამომო“ შვიდ საფეხურს იცნობს. სუფიათა გზაზე შემდგარი პირი ამ ერთ-ერთ საფეხურზე იმყოფება. ეს საფეხურები ხარისხისა და ტიტულის მიხედვით განსხვავდება. ესენია: 1. აბდალ - ღვთის რჩეული, 2. მოფრედ - მარტომყოფი ანუ დაყუდებული, 3. ყაზაზ - აღმსარებელი, 4. თავისუფალი დერვიში, 5. მებაირახტრე, 6. წინამძღვრის თანაშემწე 7. წინამძღვარი. „აბდალი“, ჩვეულებრივ, სხვა დერვიშებს ემორჩილება და დეკლამატორთა წარმოდგენების დროსაც უმეტესწილად, მას ავალეებენ რაიმე საქმის შესრულებას. თუ გარკვეული დროის შემდეგ ორდენის წინამძღოლი „აბდალს“ დაწინაურების ღირსად მიიჩნევს, მას „მოფრედის“ ტიტულს ანიჭებს.

„მოფრედს“ აღარ ევალეება დერვიშის შეგირდობა და მისი ბრძანებების შესრულება. „ყაზაზი“ უფლებამოსილია, რომ სხვადასხვა საქმეები შეაჩეროს ან დაასრულოს.

„ყაზაზი“, დაწინაურების შემთხვევაში, „თავისუფალი დერვიშის“ წოდებას იღებს. თუ

„თავისუფალი დერვიში“ ყავახანაში შევა და რომელიმე დეკლამატორს გაჩერებას უბრძანებს, მის ბრძანებას დაუყოვნებლივ აღასრულებდნენ. სუფიზმის მიმდევართა ტრადიციაში უმაღლეს ჩინს „მებაირახტრე“ ფლობს, რომელიც ძალაუფლებით მხოლოდ წინამძღვარს ჩამორჩება. „წინამძღვრის თანაშემწე“ „აჯამის სამომოს“ წინამძღოლის განკარგულებების შემსრულებელია და ერთგვარ „აღმასრულებელ ხელისუფლებადაც“ მოიაზრება (ა. გორგანი...1960).

„შაჰნამეხანებს“ თავიდანვე მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდათ გმირული სულისკვეთებისა თუ საბრძოლო აღტყინების განმტკიცების საქმეში. ერთ-ერთი იმ ადგილთაგანი, სადაც სეფიანთა ეპოქაში ფირდოუსის ლეგენდარულ პოემას კითხულობდნენ და მას საბრძოლო სულისკვეთების ასამაღლებლად იყენებდნენ, ყავახანა იყო. ყავახანები, გასართობზე მეტად, სულიერი წრთობის ადგილი იყო. სეფიანთა საზოგადოებაში არსებობდა განსაკუთრებული სამხედრო ფენა (ყიზილბაშები), რომლის

ძირითადი ფუნქცია ომებში მონაწილეობა და მოსახლეობაში საბრძოლო სულის გაღვივება იყო. შემდგომ პერიოდებშიც „შაჰნამეხანი“ ყავახანებში ხალხის თავშექცევის, გმირული სულისკვეთების ამალღებისა და ეროვნული ტრადიციების გაცნობის წყაროს წარმოადგენდა.

„შაჰნამეს“ გარდა, ყავახანებში სხვა ეპიკურ ნაწარმოებებსაც კითხულობდნენ. ამ წარმოდგენებს ხალხის დიდი ნაწილი ესწრებოდა. „შაჰნამეხანი“ ადვილი საქმიანობა არ იყო. ამ პოემის მკითხველები ხშირად თავადვე იყვნენ პოეტები და ლიტერატორები. ცნობილია, რომ შაჰ-აბას ფირდოუსის „შაჰნამე“ ძალიან უყვარდა და მის წვეულებებზე ცნობილი პოეტები სასიამოვნო მუსიკის თანხლებით კითხულობდნენ ამ პოემას.

„შაჰნამეს“ ერთ-ერთი ასეთი დეკლამატორი იყო კალიგრაფი აბდ-ორ-რეზაყ ყაზვინი, რომელიც გასამრჯელოდ წლიურად 300 თუმანს იღებდა; ასევე, მოლა ბიხოდი გონაბადი, რომელიც ცნობილი იყო „შაჰნამეს“ მხატვრული კითხვით და 400 თუმანი ეძლეოდა. იმ პოეტთა შორის, რომლებიც ფირდოუსის პოემას კითხულობდნენ, იყო მოლა მუშენ ქაშანი, მეტსახელად „იექ სავარ“¹⁹, რომელიც განსაკუთრებული სამოსითა და მანერებით გამოირჩეოდა. ეს კაცი ფერადი არშიებით მორთული ესტამპის ყაბით იმოსებოდა, თავზე ქაღალდის გრაგნილს იხვევდა და ყავახანებში „შაჰნამეს“ ასე კითხულობდა. ამ დაწესებულებებისთვის ზღაპრებისა და ამბების თხრობა, იმამ ალის ქება და რელიგიური საუბრები ჩვეული რამ იყო. პოეტები, დეკლამატორები და მეხოტბენი წვეულების დროს კათედრაზე ან ტაბურეტზე დგებოდნენ და ლექსს თუ ამბავს მხატვრულად კითხულობდნენ; განსაკუთრებულ მომენტებში ხელჯოხს ჩართავდნენ ხოლმე საქმეში. იმ დროის ყველაზე სახელგანთქმული მსახიობი ესმა'ილ ბაზაზი იყო, რომელიც ზოგჯერ ყავახანებშიც მართავდა წარმოდგენებს. მსახიობთა ყველაზე ცნობილი დასი „მო'აიერი“ თავის შემოქმედებას, უმეტესწილად, რამაზანის თვეში, მთელი თვის განმავლობაში (ყოველდღამე ერთ სეანსს), ამირ ბაჰადარის ხიდზედა კაზაკთა სამთავრობო კომპლექსის გვერდით, ზოგჯერ კი ყავახანებში წარმოადგენდა(ს. სალიმი 2011).

„ყისახანი“²⁰ იმ ხელობათაგანია, რომელსაც განვითარებასაც ყავახანამ დიდად შეუწყო ხელი. ყისახანი - კაცი, რომელსაც ექსპრესიული ხმა ჰქონდა და დეკლამირების ანაბანაში ერკვეოდა, სადამოობით, როცა ხალხი ყოველდღიური სამუშაოდან ბრუნდებოდა და განტვირთვისათვის ყავახანას მიაშურებდა, ირანის ეროვნული გმირების ამბებს შთამბეჭდავად და მიმზიდველად გადმოსცემდა. ყისახანი ხმის ინტონაციას სხვადასხვა დროს თემის შესაბამისად ცვლიდა. ზოგიერთმა ყისახანმა

„შაჰნამეს“ ძირითადი ნაწილები ზეპირად იცოდა. ამ საქმეში დახელოვნებული პირები ლექსებს წამღერებით კითხულობდნენ. ისინი „შაჰნამეს“ გარდა სხვა წიგნებსაც კითხულობდნენ: „რომუზ-ე ჰამზეს“²¹, „ისქანდერნამეს“, „ჰოსეინ ქორდის“²² და „ხავარან-ნამეს“²³, რომელთაც რელიგიური ხასიათი ჰქონდა. ამასთანავე, ჰყვებოდნენ იმამ ალის კეთილშობილების შესახებ.

დეკლამირების გარდა, ყავახანებში გავრცელებული იყო გართობისა და თავშექცევის სხვა საშუალებებიც, როგორცაა: ჭადრაკი, ნარდი, „ფიჩაზი“, ბანქო,

„კვერცხების დაჭიდება“, კაცისა და დათვის ჭიდაობა, მაიმუნის ცეკვა, ქერბალას ამბების ამსახველი ტილოების თვალიერება და ა. შ. ბანქოს ფურცლებს ამზადებდნენ ხისგან, რომლებზეც ნახატებს ზოგჯერ დახელოვნებული ოსტატები ხატავდნენ. როგორც ჩანს, კარტის რაოდენობა 90 იყო და შედგებოდა 8 განსხვავებული ფერისგან.

„ფიჩაზს“ ჭადრაკის დაფის მსგავსი მაუდის ქსოვილისგან დამზადებული დაფა ჰქონდა, რომელზეც სადაფის ქვებით თამაშობდნენ. თეირანის სამხრეთ ნაწილში მდებარე ყავახანებში კი ფართოდ იყო

¹⁹ იექ/იექე სავარ - (სპარს. یك سوار) - მარტოხელა მხედარი.

²⁰ ყისახანი (სპარს. قصه خوان) - ზღაპრის (ამბის) კითხვა

²¹ იგივე „ჰამზა-ნამე“, „ყესე-იე ჰამზე“ ან „დასთან-ე ამირ ჰამზე“ - პროზაული ამბავი, რომლის ჩაწერის თარიღი უცნობია. არსებობს მისი ლექსითი ვერსია სახელწოდებით „საჰეზერან-ნამე“.

²² „ჰოსეინ ქორდის დასთან“ - პოპულარული ხალხური დასთან, რომლის ერთადერთი ხელნაწერი 3.1255 (1839/1840) წ.-ით თარიღდება. ცნობილია ამ დასთანის არაერთი ლითოგრაფიული გამოცემა. მასში მოთხრობილია შაბესთარელი ქურთი მეზრძოლის - ჰოსეინ ქორდის გმირობები.

²³ დაიწერა 1426 წ. ავტორი: იბნ-ჰასამი. მასში საუბარია იმამ ალის ბრძოლებზე ხავარანის მეფე ყობადთან.

გავრცელებული „მეფე-ვაზრობანა“, რომელიც ხალხში „თორნაბაზის“²⁴ სახელით იყო ცნობილი.

„კვერცხების დაჭიდება“, რომელიც დღესაც გავრცელებულია ირანში, სეფიანთა ეპოქაში ცნობილი თამაში იყო. უფრო მეტიც, შაჰ-აბასიც კი, ზოგჯერ, უბრალო ხალხს უჭიდებდა კვერცხებს. ჯალალ ად-დინ მოჰამად იაზდი, შაჰის რჩეული ასტრონომი, ამის შესახებ წერს:

